


600  
957

# მეცნიერება და ტექნიკა

საქალანო გელოს სასკ მეცნიერებათა აკადემია

თემათი

1·9·5·7



# გენერალუბა და ტექნიკა

ს ა რ ა მ თ ვ ა დ რ ს ს ს ხ მ ე ც ნ ი ე რ ე ბ ა თ ა ს კ ა დ ე მ ი ს რ ა გ ა ნ წ

შოთა რეზონა გაცემა - პოლიტიკური  
ჟურნალი ეროვნული  
Nº 2 თებერვალი 1957  
გამაცემის IX წალი

## საბჭოთა საქართველოს ცისქვეშ

მიმდინარე წლის 25 თებერვალს ჩვენი რესპუბლიკის მშრომელებმა დიდი სიხარულით აღნიშნეს საქართველოში საბჭოთა წყობილების დამყარების ოცდამეთევესმეტე წლისთავი.

ოცდათევესმეტი წლის წინათ, 1921 წლის 25 თებერვალს, ახალი ფურცელი გადაიშალა ქართველი ხალხის ისტორიაში. კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობით რევოლუციურ ბრძოლებში გამოწრთობილმა ჩვენი ქვეყნის მუშათა კლასმა, რომელსაც მხარს უჭერდა მშრომელი გლეხობის უდიდესი უმრავლესობა, დიდი რუსი ხალხის ძმური დახმარებით ბოლო მოუღო მემამულებისა და კაპიტალისტების ბატონობას, დამხმა იმპერიალისტური რეაქციის მიერ დაქირავებულ ქართველ მეშევიერა ძალაუფლება და საქართველოში გამარჯვების წითელი ღროშა აღმართა.

საბჭოთა წყობილების დამყარებით სამუდამოდ ბოლო მოეღო ქართველი ხალხის კლასობრივ და კოლონიურ ჩაგვარას და დასაბამი მიეცა მის თავისუფალ ცხოვრებას, რომელიც პიროვნების შემოქმედებითი ძალების განვითარების უსაზღვრო შესაძლებლობას იძლევა და ყველა პირობას ქმნის ქვეყნის მატერიალური და კულტურული ყევავებისათვის.

მოძმე საბჭოთა რესპუბლიკების სოციალისტური ურთიერთდახმარებისა და მეგობრული თანამშრომლობის პირობებში გაიფურჩნა და აყვავდა საქართველო. რუსეთის იმპერიის ჩამორჩენილი შხარიდან იგი გადაიქცა მძლავრ სოციალისტურ რესპუბლიკად, რომელსაც აქვს განვითარებული მძიმე ნდუსტრია, მაღალპროდუქტიული სოფლის მეურნეობა, ჰესების მოწინავე ინტელიგენცია. საბჭოთა ხელისუფლების არსებობის 36 წლის მანძილზე შეიქმნა ახალი სამრეწველო ცენტრები. იხელმძღვანელეს რა დიდი ლენინის გენიალური მითითებებით მძიმე მრეწველობის უპირატესი განვითარების შესახებ, საქართველოს მშრომელებმა წარმატებით განახორციელეს მენშევიკების მიერ გაჩანაგებული სახალხო მეურნეობის აღდგენის უდიდესი სამუშაოები. ამისათვის ფრიად სერიოზული მნიშვნელობა ჰქონდა რუსი ხალხის მიერ ჩვენი რესპუბლიკისად სხვადასხვა ღროს გაწეულ დახმარებას. საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების არსებო-

ბის მანძილზე აშენდა და ამუშავდა ვ. ი. ლენინის სახელობის ზემოავტობის, ი. ბ. სტალინის სახელობის რობინის, აგრეთვე ხრამის, ტყიბულის ჰიდროელექტროსადგურები, ქუთაისის სავტომობილო ქარხნის თბოლექტროცენტრალის პირველი რიგი და ადგილობრივი მნიშვნელობის მრავალი სხვა ელექტროსადგური.

საქართველოს სოციალისტური სახალხო მეურნეობის კოლონიალური განვითარების უტყუარი მაჩვენებელია მძიმე ინდუსტრიის წამყანი დარგების — მეტალურგიის, მანქანათმშენებლობის, საავტომობილო და ქიმიური მრეწველობის შექმნა და განმტკიცება.

არა მარტო საბჭოთა კავშირში, არამედ მის ფარგლებს გარეთაც იგზავნება ისეთ სამრეწველო საჭარითა პროდუქცია, როგორიცაა ი. ბ. სტალინის სახელობის ამიერკავკასიის მეტალურგიული კომბინატი, ზესტაფონის ფეროშენანდნობთა ქარხანა, ქუთაისის სავტომობილო ქარხანა, თბილისის კიროვის სახელობის ჩარხსამშენებლობრივი ქარხანა და სხვ.

დღემდე არნახულ სიმაღლეზე ავიდა წიაღისეულ სიმდიდრეთა მოპოვებისა და დამუშავების საქმე. ჩვენი რესპუბლიკის სამთამაღნო მრეწველობა ახლა დიდი რაოდენობის მარგანეცა და ქვანაშირის აწვდის ქვეყანას.

ელექტროფიკაციისა და მძიმე ინდუსტრიის განვითარების შედეგად გაუმჯობესდა მსუბუქი მრეწველობის საჭარმოების მუშაობა, მათი შეიარაღება თანამედროვე ტექნიკით, მოხმარების საგნების დამაზადებელი ახალი ფაბრიკა-ქარხნების მშენებლობა. საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამკვიდრების ჯერ კიდევ პირველ წლებში აშენდა ქუთაისის მაუდის ფაბრიკა, რომელიც საქართველომ საჩუქრად მიიღო რუსი ხალხისაგან. რამდენიმე ხნის წინათ დამთავრდა გორის ბამბეულის კომბინატის პირველი რიგის მშენებლობა. მეტუთე ხუთწლედის მანძილზე აშენდა და რეკონსტრუირებულია საფეიქრო და კვების მრეწველობის 100-მდე საჭარმო.

სასიხარულოა ის ფაქტი, რომ ჩვენს რესპუბლიკში სულ უფრო და უფრო იზრდება სამრეწველო პროდუქციის რაოდენობა. საქართველოს მრეწვე-



ლობის მიერ 1956 წელს გამოშვებული საერთო პროდუქციის მოცულობა 1913 წელთან შედარებით ორ ათეულჯერ და მეტჯერ გადიდდა. 70-ჯერ და მეტჯერ გაიზარდა ამ პერიოდში მძიმე მრეწველობის პროდუქციის გამოშვება.

მძიმე მრეწველობის უპირატესი განვითარების იმ ბრძნული პოლიტიკის განუხელად გატარებამ, რომელსაც კომუნისტური პარტია ვ. ი. ლენინის მითითებათა საფუძველზე ახორციელებს, სათანადო წინამდღვრები შექმნა რესპუბლიკის სოფლის მეურნეობის სოციალისტური აღმავლობისათვის. საბჭოთა ხელისუფლების არსებობის წლებში ჩამოყალიბდა ასობით კოლექტიური და საბჭოთა მეურნეობა. ამ უდიდესი სახელმწიფო ბრივი მნიშვნელობის მქონე ლონისძიების გატარებამ კი საგრძნობლად გააადვილა სოფლის მეურნეობის სამუშაოთა მექანიზაცია, სათესი ფართობების გადიდება და, ყოველივე ამის საფუძველზე, ნათესი და მრავალწლიანი კულტურების მოსავლიანობის გაზრდა. მხოლოდ საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ მოხერხდა ჩვენში იშვათ ტექნიკურ კულტურათა დამკვიდრება. ჯეროვანი ყურადღება დაეთმო შავიზღვისაირა რაიონების ათვისებას — ამ ნოვიერ აღგილებში ჩას, მანდარინის, ლიმონისა და სხვა ძვირფასი კულტურების გაშენებას, რასაც უდიდესი ეკონომიკური მნიშვნელობა აქვს ჩვენს ქვეყანაში კვების პროდუქტების სიუხვისათვის.

საბჭოთა წყობილების პირობებში აყვავდა და გაიფურჩქნა შინაარსით სოციალისტური და ფორმით ნაციონალური ქართული კულტურა. საქართველოს სოფლები და ქალაქები დაფარულია ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების ფართო ქსელით, რომელიც საყოველთაო-სავალდებულო სწავლების კანონის გატარების აუცილებელი პირობაა. თბილისში და რესპუბლიკის სხვა წამყვან ქალაქებში შეიქმნა საინჟინრო, სასოფლო-სამეურნეო, ბედა-გოგიური ინსტიტუტები, სამეცნიერო ინსტიტუტი, ტექნიკურები, სახელოსნო სასწავლებლები.

მრავალდარგიანი მრეწველობის, სოფლის მეურნეობის, კულტურის განვითარებასთან ერთად ამაღლდა რესპუბლიკის მშრომელთა მატერიალური კეთილდღეობის დონე. კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა მთავრობის შეუნელებელი ზრუნვის შედეგად ყოველწლიურად ფართოვდება სამუშაოები ქალაქისა და სოფლების კეთილმოსაწყობად, იზრდება საბინო მშენებლობის მასშტაბი, დიდდება ჯანმრთელობის დაცვის კერძის — საავადმყოფოებისა და პოლიკლინიკების რიცხვი, შენდება დასასვენებელი სახლები და სანატორიუმები. მშრომელთა კულტურული დასვენებისა და გართობის საქმეს ემსახურება მრავალრიცხვოვანი ბიბლიოთეკები და სამკითხველოები, კლუბები და კულტურის სახლები, თეატრები.

ჩვენი რესპუბლიკის ყოველ ქალაქში, ციტულში, მის თითოეულ დასახელებულ კუნძულში შეიძლება დავინახოთ ქართველი ხალხის მიღწევა.

საქართველოს მუშების, გლეხებისა და ინტელიგენციის სახელოვანი შრომით წარმატებები, როგორც დიდი ნივთი პატარა სარკეში, დაინახება ქალაქ რუსთავისა და მისი ადამიანების შრომისა და ცხოვრების ფაქტებზე დაკვირვებით.

რუსთავი ნამდვილად განასახიერებს საბჭოთა აღმამინების ერთობლივ შრომით თავდადებას, მათ შეუპოვარ წინსვლას კომუნიზმისაკენ. ესაა საბჭოთა ხალხების ლენინური მეგობრობის გამომხატველი ქალაქი—მონუმენტი, რომლის ასაგებად ერთნაირი თავგანწირებით შრომიბდნენ ქართველები და რუსები, უკრაინელები და აზერბაიჯანელები, ბელორუსები და სომხები...

ძეველ დროში, როდესაც საქართველო მეფის რუსეთის კოლონია იყო, ასეთი ქალაქის გაშენებაზე ოცნებასაც ვერავინ გაბედავდა. მთელი საუკუნე იქნებოდა საჭირო იმ სამუშაოების შესასრულებლად, რომლებიც ამ ქალაქის აშენებას დასჭირდა. ახლა კი, საბჭოთა საზოგადოებრივ და სახელმწიფო ბრივებრივ წყობილებათა პირობებში თანამედროვე ტიპის ეს შესანიშნავი ქალაქი სულ რაღაც ათიოდე წლის მანძილზე იყო.

ადგილი, სადაც ამჟამად რუსთავია, ნაქალაქევია. ძეველადაც ყოფილა აქ ქალაქი, სადაც თურმერების დამუშავება და ფოლადის ღნიბის საიღმოლებები იცოდნენ. მტრებს აღუგვიათ იგი მიწისპირიდან... მაგრამ, რაც საუკუნეების წინათ მტრობამ დაანგრია, ახლა იგი საბჭოთა ხალხების ურთიერთისიყვარულმა ააშენა.

და აი, ქართველ მეტალურგთა ქალაქი უკვე არსებობს; ხელახლა დაიბადა იგი მას შემდეგ, რაც ი. ბ. სტალინის სახელობის ამიერკავკასიის მეტალურგიული კომბინატი აშენდა.

თვით ასეთი კომბინატის აგება უდიდესი მოვ-



რუსთავის ხედი



რუსთავის ცენტრალური პროსპექტი

ლენა იყო ჩვენი ხალხის ცხოვრებაში. მხოლოდ საბჭოთა ხელისუფლების არსებობის წლებში სათბობისა და ნედლეულის მდიდარი წყაროების, სათანადო მატერიალურ-ტექნიკური პირობების შექმნითა და საჭირო კადრების მომზადებით შესაძლებელი გახდა ამ გიგანტის აშენება და მოწინავე მოქმედ საწარმოთა რიგში ჩაყენება.

მეტალურგიული კომბინატის უება საამქროების მუშაობაში მთელი ძალით იგრძნობა საქართველოს და აგრეთვე ზოგი მოძმე საბჭოთა რესპუბლიკის სამთამაღნო მრეწველობის საწარმოთა მაჯისცემა, ქართველ და აზერბაიჯანელ მაღაროელთა და მეშაბტეთა საქმიანობა.

ამ საქმიანობის სასიხარულო შედეგებს დავინახავთ იმ ფაქტებში, რომ რუსთავში ყოველდღიურად მოდის სატეირო მატარებლები ტყიბულისა და ტყარჩელის შახტებიდან ამოღებული ქვანახშირით, თბოელექტროსადგურისათვის საჭირო სათბობით, დაშექსანის რკინის მაღნით, ჭიათურის მანგანუმით. კომბინატის მეტალურგიული საჭიროებისათვის რუსთავში იგზავნება კირქვა საღამოს მექანიზებული კარიერებიდან. მარტენის ღუმელის ქვედის დასაღულებლად აქ ეზიდებიან სადგურ აბანოს მახლობლად მოპოვებულ დოლომიტს, რომელიც მაგნეზიტის მაგივრად გამოიყენება. აჯამეთიდან და შროშიდან კომბინატი იღებს ქალცედონს და თიხებს ცეცხლგამძლე აგურის დასამზადებლად, საყალიბების თიხებს — საჩერიდან და შუქრუთიდან, ფერმუნადნობებს — ზესტაფონის ქარხნიდან და სხვ.

კომბინატში მრავალი საამქროა. მათ შორის მთავარია საბრძმელე, მარტენის, საგლინავი და მილსაგლინავი საამქროები, საღაც ხორციელდება ძირითადი პროცესები. მზა პროდუქციის მისაღებად, თითოეული ეს საამქრო თავისი მოცულობისა და სამუშაოთა მასშტაბის მიხედვით დიდ საწარმოს მოვაგონებს და დიდებულ სანახაობას წარმოადგენს.


გილრე საბრძმელე საამქრომდე მივიღოდეს  
ნედლეული, სათანადოდ უნდა დამუშავდეს რდება  
მომზადებეს. ამ დამუშავებაში იგულისხმება მას და  
ლის დამტვრება, გამდიღრება, გასაშუალება და  
სხვ., რაც მასალის მოპოვების აღგიღილზევე ხორციელდება. ნედლეულის მოსამზადებელი დამუშავების უმიშვნელოვანესი პროცესია მისი აგლომერაცია. ამისათვის კომბინატთან არსებობს სააგლომერაციო საამქრო, საღაც წარმოებს დამტვრეული რკინის მაღნისა და კოქსის წვრილმანის შეცნობა. ნედლ მასალასთან შედარებით აგლომერაცის მნიშვნელოვანი უპირატესობა აქვს. მისთვის დამახასიათებელია სვრეტიანობა, აირგამტარობა და, მაშასაღამე, ბრძმედებში უკეთესი აღდგენის უნარი. ამის შესაბამისად, რაც უფრო მეტია აგლომერატი ბრძმედები, მით უფრო დიდია ამ უკანასკნელის მწარმოებლობა.

ნედლი მასალის მოსამზადებელი სამუშაოების მნიშვნელოვანი ნაწილი ხორციელდება აგრეთვე კოქს-ქიმიურ საამქროში. ცნობილია, რომ ჩვეულებრივ ქვანახშირზე ბრძმედები ვერ მუშაობს. სათბობს, რომელიც გამოსაღევია თუჭის გამოსაღნობად, მაღალი თბოელნარიანობა, სვრეტიანი აღნაგობა და მექანიკური სიმტკიცე უნდა ახასიათებდეს. მასში არ უნდა იყოს მავნე მინარევები: გოგირდი, ფოსფორი. ასეთი სათბობი ბუნებაში არ მოიპოვება. ამიტომ საჭიროა მისი ხელოვნურად მიღება. ტყიბულისა და ტყვარჩელის ნახშირების კაზმისაგან კომბინატის კოქს-ქიმიური საამქროს მიერ მიღებული კოქსი სწორედ ასეთი მაღალთვისებიანი ხელოვნური საწვავია, რომელიც ბრძმედებში წვის დროს მაღალ ტემპერატურას ავითარებს და უზრუნველყოფს თუჭის გამონდნობას.

თხევადი თუჭის მიღების ურთულესი პროცესი ხორციელდება საბრძმელე საამქროს ორ უზარმაზარ ბრძმედები, საღაც ყოველდღიურად ათასობით მაღნის, კოქსის და კირქვის გადამუშავების შედეგად ასობით ტონა თუჭი მიღება.



რუსთავის შეტალურგთა კულტურის სასახლე



ცენტრის ქარხანა რუსთავში

ბრძმედში გამომდნარი თუჭი სპეციალურ გაგონებზე დადგმულ ციცქებში ჩაისხმის და მარტენის სამქროში გადაიგზავნება. ეს სამქრო ყველაზე ღილა მეტალურგიულ კომბინატში. მას რამდენიმე განყოფილება აქვს. მათ შორის საკაზმე ეზო, ბოკების ამწყობი, საჩამოსხმო, სალუმელე და სხვ., სადაც სამუშაოთა პროცესების ღილი უმრავლესობა მექანიზებულია. საბრძმედე სამქროდან მიღებულ თხევად თუჭი აქ, პირველ ყოვლისა, ას-ხამენ ცილინდრისებრ ღიღ ჭურჭელში ე. წ. მიკ-სერში, რომელსაც შიგნიდან ამოგებული აქვს ცეცხლგამძლე აგურები. აქ იგი გასაშუალდება. ამასთან ეს ხდება ისე, რომ თხევადი თუჭი არ ციცლება. შემდეგ იგი გადაისხმება სპეციალურ ციცხვებში, სადაც ხიდური ამწევების საშუალებით ჩაისხმება მარტენის ღუმელებში.

მარტენის ღუმელებში ხდება ფოლადის გამოდნიბა, რისთვისაც საჭიროა  $1600^{\circ}$  ტემპერატურა.

მიღებული ლითონის ზოდების დამუშავება წარმოებს საგლინავ სამქროში. ისევე როგორც სხვა სამქროებში, აქაც თქვენ ნახავთ საბჭოთა მანქანათსაშენებლო ქარხების მიერ გამოშვებულ რთულ მანქანებს. საგლინავ სამქროში მოქმედი მარტო ერთი ასეთი მანქანა—ბლუმინგი, რომელიც ომისშემდგომ პერიოდში რუსთავისათვის დამზადა ნოვო-კრამატორსკის მძიმე მანქანათსაშენებლო

ქარხანამ, 4500 ტონას იწონის და ბრწყინვალედ გამოხატას საბჭოთა მანქანათსაშენებლო და მეტალურგიული ტექნიკის განვითარების მიზანზე.

ეს და სხვა მანქანები — საგლინავი და სატეციანი ჩარხები, რომლებიც განლაგებულია საგლინავ და მიღებული სამქროებში, გავარვარებული ლითონის მასას თხელ ფურცლებად, რელსებად ან სხვადასხვა ზომის მიღებად გარდაქმნის. ამგვარად ხდება ის, რომ კოქს-ქიმიურ და აგლომერაციის მოსამზადებელ სამქროებში მიღებული რკინის მაღანი, მანგანუმი, ქვანახშირი, აგრეთვე სხვა სამქროებში მიტანილი ჯართი ფოლადის რელსების, კოქსების, ფურცლების, მიღებისა და მავთულის სახით გამოიშვება და იგზავნება ჩვენი სოციალისტური სახალხო მეურნეობის საჭიროებათა დასაკმაყოფილებელად.

მეტალურგიული კომბინატის არსებობამ განპირობა რუსთავში მეორე ღიღი ქარხნის — აზოტ-ტუკის ქარხნის აგებაც. ეს უზარმაზარი ქარხანა სულ რაღაც ორი წელია ჩადგა მშენებრში. მისოვთის საჭირო ნედლეულს მეტალურგიული კომბინატის კოქს-ქიმიური სამქრო უშვებს. ესაა კოქსის აირი, რომელიც ქვანახშირის დაკოქსვის პროცესში გამოყოფა, როგორც თანანაწარმი. მისი გაღამუშავებით აზოტ-ტუკის ქარხანა-გიგანტი ახლა ღიღიდალ ხელოვნურ სასუქს უშვებს და ამით მას ძვირფასი წვლილი შეაქვს ნათესების მოსავლიანობის გაზრდის საქმეში.

\* \*

ჰეშმარიტად ღიღებული საწარმოებია რუსთავში. კარგი, ტექნიკის უკანასკნელი მიღწევების მიხედვით შექმნილი მანქანა-დანადგარებით აღჭურვილია ისინი. მაგრამ უფრო უკეთესია ადამიანები — მუშები, ინჟინრები და ტექნიკოსები, რომლებიც ამ საწარმოებში შრომობენ, უზარმაზარ მანქანებს მართავენ და თუჭის და ფოლადის გამოღნობის თუჭიმიური სასუქების დამზადების რთულ ტექნოლოგიურ პროცესებს აწესრიგებენ.

ახლა, როდესაც მოელი ჩვენი ქვეყანა ემზადება ღიღი აღტომბრის სოციალისტური რევოლუციის 40 წლისთვის ზემისათვის, რუსთაველმა მეტალურგებმა გადაწყვიტეს 7 ნოემბრამდე ზეგეგმით გმოუშვან 1200 ტონა მეტალურგიული კოქსი, 1500 ტონა თუჭი, 3500 ტონა ფოლადი, 4000 ტონა მზან ნაგლინი, 750 ტონა მიღები; 1957 წელს ქარხანა ქვეყანას მისცემს შარშანდელზე მრავალი ტონით მეტ თუჭის, ფოლადის, ნაგლინს და მიღებს; მიაღწევს 4 მლნ მანეთის, აგრეთვე მაზუთის, ელექტროენერგიის ეკონომიას, საწარმო დანაკრამატების მნიშვნელოვნად შემცირებას და შრომის ნაყოფიერების საგრძნობ გაღიღდებას.

ამდეს რა აღნიშნული სოციალისტური ვალდებულებები, რუსთაველმა მეტალურგებმა მოწოდების წერილით მიმართეს ჩვენი რესპუბლიკის მრეწველობის საწარმოთა ყველა მუშას, ინჟინერ-ტექნიკურ მუშაკსა და მოსამსახურეს — გააჩალონ სოციალისტური შეჯიბრება დიდი დღესასწაულის შესახებრად. მაგვარად რუსთაველი მეტალურგები წინასაოქტომბრო შეჯიბრების ინიციატორები არიან და ისინი ამ დღეებში თავდადებულად შრომობენ ახალი საწარმოო წარმატებების მოსაპოვებლად.

მაგრამ ჩვენს ქვეყანაში მარტო შრომა როდი უყვართ, აქ იციან დასვენებაც, ოჯახური ცხოვრების სიხარულიც. ამისათვის ყველაფერია მეტალურგთა ქალაქ რუსთავში. 1947-დან 1957 წლამდე აქ აგებულია 2, 3, 4 და 5-სართულიანი სახლები, რომელთა კეთილმოწყობილ ბინებში ათასობით მშრომელები ცხოვრობენ.

ამ ლამაზი სახლების რიგთა შორის გაშლილია შვანე ნარგავებით დამშვენებული 3 ვრცელი მოედანი, ცენტრალური პროსპექტი, მშენებელთა, კომკავშირის, პიონერის, სადგურის, მეტალურგების, ი. ჭავჭავაძის, თბილისის ფართო ქუჩები და 70-ზე მეტი სხვა დიდი და პატარა ქუჩა, რომლებზეც განუწყვეტელ ნაკადად მიმოედინება მსუბუქი და სატვირთო ავტომანქანები, სამგზავრო ავტობუსები.


რუსთავის მშრომელთა დასასვენებლად ქალაქში არსებობს კულტურისა და დასვენების პარკი.

მუშათა კლუბების 3 კინოდარბაზში ყალბული დღე რამდენიმე სეანსად უჩვენებენ ესამარტინული და საზღვარგარეთულ ფილმებს. მეტალურგთა კულტურის სახლში სისტემატურად ეწყობა დედაქალაქის მსახიობთა გამოსვლები, იმართება კონცერტები თვითმოქმედი ანსამბლების შესრულებით, წარმოდგენები რესპუბლიკური თეატრების მსახიობთა მონაწილეობით.

ბეღნიერი ბავშვობა აქვთ რუსთაველ მშრომელთა შვილებს. მათვის გახსნილია მრავალრიცხოვანი ბაგები და ბაღები, 17 სკოლა, სახელოსნო სასწავლებლები. მოზარდთა ჯანმრთელობის დაცვის საქმეს ემსახურება საბავშვო საავადმყოფო.

რუსთავი, ჩვენი რესპუბლიკის დამმშვენებელი მეტალურგთა ქალაქი, კიდევ უფრო დიდი პერსექტივების წინაშეა. აქ სულ უფრო და უფრო მეტი კეთდება. ქალაქი თვალდათვალ ფართოვდება და იზრდება, ჩნდება ახალი საცხოვრებელი უბნები, კვარტალები, ქუჩები, მწყობრში დგება მრავალსართულიანი სახლები, მარტო ამჟამად ხარახოებუთა 31 საცხოვრებელი სახლი, ახალგაზრდებისათვის შენდება დახურული სპორტული პავილიონი, აზოტ-ტუკის ქარხანაში მომუშავე ქიმიკოსებისათვის იგება კლუბი, ქალაქის ცენტრალურ ნაწილში მთავრდება 2 ადმინისტრაციული სახლის მშენებლობა.

კარგი წარმატებები აქვს ქალაქ რუსთავს და მის ადამიანებს დღეს, საქართველოში საბჭოთა წყობილების დამყარების 36-ე წლისთავზე. სასისარულოა, რომ მომავალში ეს წარმატებები კიდევ უფრო გამრავლდება და გაიზრდება.



ნოვო-კრამატორსკის მანქანათსამშენებლო ქარხანა საქვაპე მრეწველობისათვის დაპროექტა და დამზადა მძლავრი ოთხლილვაკიანი ფურცელსალუნი ვალცები. ასეთ ვალცებს ქარხანა პირველად უშვებს. მათგა შეიძლება ლითონის ფურ-

ცლები მოიღონს ცილინდრულად და კონუსურად. ვალცები დააპროექტა მეტალურგიულ მოწყობილობათა ბიუროს კოლექტივმა. სურათზე: ნოვო-კრამატორსკის ქარხნის მიერ გამოშვებული ფურცელსალუნი ვალცები.

# საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XX ყრილობამ ჩვენი ქვეყნის ტრაქტორმშენებლებს მიზნად დაუსახა, საერთო დანიშნულების ტრაქტო- რებთან ერთად, გამოუშვან თვლიანი სათოხნი ტრაქტორები, რომლებიც გამოიყენება ტექნიკუ- რი სათოხნი და ბალ-ბოსტნეული კულტურების დასამუშავებლად.

აღნიშნული მოწოდების პასუხად უკვე გამოშ-  
ვებულია ახალი DT-14 და DT-24 მარკის თვლიანი  
ტრაქტორები თვითაალებადი ძრავებით, რომლე-  
ბიც შექმნილია ხარჯოვის და ვლადიმირის სატრაქ-  
ტორო ქარხნების მიერ.

ამასთან ერთად ათვისებული და წარმოებაში  
დანერგილია თვითმავალი შასი DCШ-14, რომელ-  
საც ხარჯოვის ტრაქტორების ამჟყობი ქარხანა  
(ХТСЗ) ამზადებს.

DCШ-14, რომელიც შექმნილია საქავშირო  
სატრაქტორო სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის  
და XTCЗ-ის მიერ, მცირე სიმძლავრის ტრაქტო-  
რია. მისი ძირითადი დანიშნულებაა ბალ-ბოსტნე-  
ული კულტურების მოვლა-დამუშავება.

DT-14 მარკის ტრაქტორის ბაზაზე შექმნილი  
თვითმავალი შასი არსებითად განსხვავდება რო-  
გორც თვით DT-14 მარკის ტრაქტორის, ისე ყვე-  
ლა სხვა სახის ტრაქტორის კონსტრუქციებისაგან.

თვითმავალი შასის კონსტრუქციაში სასოფლო-  
სამეურნეო მანქანა-იარაღების დაკიდება გათვა-  
ლისწინებულია ტრაქტორის წინა და უკანა ღერ-  
ძებს შორის. ამ მიზნით ძრავა, ძალურ გადაცემას-  
თან ერთად, თითქოს ერთ მთლიან კვანძს წარმო-  
ადგენს და დაყენებულია ტრაქტორის უკანა ღერ-  
ძები. წინა და უკანა ღერძებს შორის თავისუფალი  
სივრცეა, რომელიც გვერდებიდან შემოსაზღვრუ-  
ლია ჩარჩოს გრძივი მილებით და რომელთაც  
მთელ სიგრძეზე მიღულებული აქვს სპეციალური  
ხვრეტილიანი ზოლები მანქანების დასაკიდებლად.

## ი. გრაშჩინსკი

ტრაქტორისტის საჯდომიდან, რომელიც მოთავ-  
სებულია ძალური გადაცემის ზემოთ, ძრავას  
წინ, შეიძლება საკიდი ტიპის სასოფლო-სამეურ-  
ნეო მანქანების მუშაობისადმი თვალყურის დევ-  
ნება. ამით ტრაქტორისტის მოვალეობა საგრძნობ-  
ლად გაადვილებულია, რამდენადაც სხვა მარკის  
ტრაქტორებზე სამუშაო პროცესებზე დაკვირვები-  
სათვის ტრაქტორისტს უკან მოხედვა უხდება და  
ამის გამო მუშაობისადმი კონტროლის გაწევას პე-  
რიოდული ხასიათი აქვს. თვითმავალ შასზე —  
DCШ-14, კვანძების განლაგება ისეთია, რომ უზ-  
რუნველყოფილია უფრო კარგი ხედვა, ვიდ-  
რე ეს შესაძლებელია ჩვეულებრივ ტრაქტორებზე.


თვითმავალ შასზე დადგმული DT-14 თვითა-  
ალებადი ძრავას ნორმალური მაჩვენებლებია: სიმ-  
ძლავრე — 14 ც. ძ. ბრუნთა რიცხვი — 1600  
ბრ/წ და საწვავის კუთრი ხარჯი 210 გრ/ც. ძ. ს.

ძრავადან წამყვან თვლებს სიმძლავრე გადა-  
ცემა ორიგინალური კონსტრუქციის გადაცემის  
ქუროს, მუდმივი შეჭიდულობის შევილი კონსუ-  
რი კბილანების, გადაცემათა კოლოფის, ცენტრა-  
ლური გადაცემისა და ორი საბოლოო გადაცემის  
საშუალებით.

გადაცემის ქურო ორმაგი ქმედებისაა და შედ-



ნახ. 1. თვითმავალი შასი DCШ-14-ის საერთო ხედი  
მარცხენა მხრიდან



ნახ. 2. თვითმავალი შასი დსშ-14-ის საერთო ხედი  
მარჯვენა მხრიდან

გება მთავარი გადაცემის და დამოუკიდებელ ძალა-  
ამრთმევი ლილვის ქუროებისაგან. ორმაგი ქმედე-  
ბის ქუროს შემწეობით ტრაქტორი შეგვიძლია გა-  
ვაჩეროთ ისე, რომ სასოფლო-სამეურნეო იარაღის  
სამუშაო ორგანოები არ გამოვრთოთ. ამით მსუბუქ-  
დება იარაღის სამუშაო ორგანოების გაწმენდა და  
აგრეგატის ადგილიდან დაძრა.

გადაცემათა კოლოფი და ცენტრალური გადა-  
ცემა, ქუროსთან ერთად, განლაგებულია ტრანსმი-  
სიის კორპუსში. გადაცემათა კოლოფი ორლილვი-  
ანი და ექვსსიჩქარიანია, ლილვების განივი განლა-  
გებით; დიფერენციალს აქვს ბლოკირების მექა-  
ნიზმი.

კონუსური გადაცემის კონსტრუქცია აგებულია  
ДТ-14 ტრაქტორის მსგავსად.

თვითმავალი შასის ლიანდი ცვალებადია და  
150 მმ ინტერვალით იცვლება 1200-1800 მმ-ის  
ფარგლებში.

მიმმართველი თვლების მართვა წარმოებს სა-  
ჭის ორი კონუსური გადაცემის, სიგრძივი წევას  
და ტრაპეციის საშუალებით. დსშ-14-ს აქვს და-  
მოუკიდებელი ძალამრთმევი ლილვი, რომლის  
ბრუნთა რიცხვი წუთში 533-ს უდრის. ძალამრთმე-  
ვი ლილვი გამოყვანილია შასის ჩარჩოს მილებსა  
და სინქრონულ ლილვს შორის, რომლის ბრუნთა  
რიცხვი იცვლება ტრაქტორის გადადგილების სიჩ-  
ქარისისაგან დამოუკიდებლად. სინქრონულ ლილვად  
გამოყენებულია გადაცემათა კოლოფის მეორადი  
ლილვი და წამყვანი თვლების ლერძები.

სასოფლო-სამეურნეო იარაღის სამართვაზე  
თვითმავალ შასზე ჰიდრომექანიზმის შემთხვევა  
შედგება ჰიდროტუბოსა და ორი ორმაგი ქმედე-  
ბის გარემალური ცილინდრისაგან, რომელიც  
ჰიდროტუბოსთან შეერთებულია მაღალი წნევის  
რეზინის მილებით.

ტუმბო მოქმედება დამოუკიდებელი ძალამრ-  
თმევი ლილვის, ამძრავი ლილვის, ორი მუშტისა და  
ზეთის მკვებავის მეშვეობით. ეს უკანასკნელი მო-  
თავსებულია ტრანსმისიის კარტერში. მკვეთარების  
ნეიტრალურ მდგომარეობაში გადასვლის შემდეგ  
ტუმბოს კონსტრუქცია უზრუნველყოფს მის ავტო-  
მატურ გამორთვას.

თვითმავალი შასი დსშ-14 სამაშულო ტრაქ-  
ტორმშენებლობის განვითარების შედარებით მა-  
ღალი საფეხურია.

უკანასკნელ წლებში ტრაქტორებისა და სხვა  
სასოფლო-სამეურნეო მანქანა-იარაღების პარკი  
თითქმის მთლიანად განახლდა. ტრაქტორებზე გა-  
მოიყენება თვითაალებადი ძრავები. ამან უსაძ-  
ლებელი გახადა შემცირებულიყო ბენზინის ხარ-  
ჭი, შეგვეცვალა იგი უფრო იაფფასიანი საწვავით.  
თითქმის ყველა ახალ ტრაქტორს აქვს საკიდი სის-  
ტემა. ახალი ტიპის მანქანა-იარაღების გამოყენე-  
ბით, რომელთაც დაახლოებით 30%-ით ნაკლები  
წონა აქვს. ვიდრე ანალოგიური სახის სხვა მისაბ-  
მელ იარაღებს, მკვეთრად შემცირდა ლითონის  
ხარჭი, აგრეგატი უფრო მანევრებული და მსუბუ-  
ქია. ყოველივე ამის შედეგად სასარგებლო მუშაო-  
ბაზე ახლა სიმძლავრის უფრო დიდი ნაწილი იხარ-  
ჭება, ვიდრე წინათ. გაიზარდა მუშაობის ეფექ-  
ტურობა; ხშირ შემთხვევაში საჭირო აღარაა დამ-  
ხმარე მუშა-მიმბმელი.

თავისი დანიშნულებისა და მასზე დაყენებულ  
ძრავის მიხედვით თვითმავალი შასი დსშ-14 ენა-  
თესავება დთ-14 მარკის ტრაქტორს, თუმცა, ჩვე-  
ულებრივ ტრაქტორებთან შედარებით, შასს მთე-  
ლი რიგი დადებითი მხარეები გააჩნია. ასეთ მანქა-  
ნას წამყვან ღერძნე წონის გამოყენების კარგი კო-  
ეფიციენტი აქვს. ეს უკანასკნელი ტრაქტორის  
მთლიანი წონის 80%-ზე მეტს შეადგენს. დიდმინიშ-  
ვნელოვანია აგრეთვე ის, რომ არსებობს იარაღე-  
ბის დაკიდების შესაძლებლობა არა მარტო ტრაქ-  
ტორის უკან, არამედ შასის ლერძებს შორისაც. ამას  
ხელს უწყობს მცირე გაბარიტების მქონე ჰიდრო-  
ტუმბო და გარემალური ცილინდრები, რომლებიც

მანქანის კონსტრუქციის მიხედვით შეგვიძლია შასის ჩარჩოს ნებისმიერ აღვილზე დავამაგროთ.

თვითმავალი შასის ერთ-ერთი დადებითი მხარეა ის, რომ, ჩვეულებრივი ტრაქტორებისაგან განსხვავებით, მასზე საკიდი იარაღები ხისტად მაგრდება. შასზე ამა თუ იმ მანქანის დაკიდებისას შასის ჩარჩოს მიმართ იარაღის მნიშვნელოვანი ნაწილი უძრავია და გადაადგილების საშუალება მხოლოდ სამუშაო ორგანოებს აქვს.

მანქანების საკიდის კონსტრუქცია თვითმავალ შასზე უფრო გამარტივებულია. მაგალითად, იარაღის ჩარჩოს ძირითადი ჩონჩხი საჭირო აღარაა, რადგან მის დანიშნულებას თვით შასის ჩარჩო ასრულებს. ისეთი იარაღების დამონტაჟებისას, როგორიცაა კულტივატორ-მკვებავი და კულტივატორ-შემომყრელი, იცვლება მხოლოდ მათი სამუშაო ორგანოები.

თვითმავალ შასზე საკიდი ტიპის იარაღების ხისტი დამაგრება ნიაღაგთან მისი შეჭიდულობის ძალის გაზრდას იწვევს, რადგან იარაღის წონა სამუშაო ორგანოების გამოკლებით შასის წონას


ემატება. იარაღის დაკიდების შემდეგ შესი მუნიშვალ იარაღს, ხოლო კულტივატორის ფრენებისას თვითმავალ კულტივატორს წუწულდებოდა.

ჩვეულებრივი შეთანწყობის ტრაქტორებში საკიდი ტიპის იარაღები თავისი წონით გავლენას ახდენს ტრაქტორის მართვის მექანიზმზე (წინა თვლების განტვირთვა) ან სულ არ ახდენს გავლენას ტრაქტორის წონაზე (ДТ-57 მარკის ტრაქტორზე ერთ წერტილოვანი საკიდი სისტემის გამოყენების დროს).


1956 წელს საქართველოს სახელმწიფო მანქანა-იარაღების საგამოცდო სადგურმა ჩატარა თვითმავალი შასის — ДСШ-14 წევითი გამოცდები. ცდებმა ცხადყო მისი დადებითი მხარეები, რაც ძირითადად აიხსნება იარაღის დაკიდების შემდეგ აგრეგატის წონის გაზრდით, წამყვანი თვლების შეჭიდულობის ძალის გადიდებით, ბუქსაობის შემცირებით და ძრავას სიმძლავრის გამოყენების ხარისხის გაუმჯობესებით.

ორი ტიპის ტრაქტორების შედარების დროს ДСШ-14-ისა და ДТ-14-ის გამოცდები ჩატარდა მათზე ერთი და იგივე — 14-ცხენის ძალიანი ძრავას დაყენებით, რომლის საწვავის კუთრი ხარჯი უდრიდა 224 კგ/ცხ. ძ. ს. ცდები მიმდინარეობდა ერთსა და იმავე ნაკვეთზე — ნაწვერალზე. თვითმავალი შასის დატვირთვა წარმოებდა საკიდი იარაღის წონის მქონე ტვირთით. ამრიგად, აკრეგატის საერთო წონა შეაღენდა 2032 კგ-ს, მაშინ როდესაც თვით შასის წონა 1666 კგ-ს უდრიდა. ნიაღაგთან კარგი შეჭიდულობის შედეგად შასმა წევის ძალა განავითარა 1035 კგ-მდე. ამავე დროს ტრაქტორის — ДТ-14 მაქსიმალური წევის ძალა უდრიდა 620 კგ-ს.

ДСШ-14-ის მაქსიმალური სიმძლავრე 1-ლ გადაცემაზე 900 კგ წევის ძალის დროს 8,0 ცხ. ძ-ის ტოლია, ხოლო მისი მაქსიმალური სიმძლავრე 560 კგ წევის ძალის დროს იმავე გადაცემაზე უდრიდა 5,8 ცხ. ძ-ს. ДСШ-14-ის მიერ განვითარებული უდიდესი კაკვური სიმძლავრე მიღებულ იქნა მე-2 გადაცემაზე მუშაობის დროს და უდრიდა 8,5 ცხ. ძ-ს. ტრაქტორის — ДТ-14 უდიდესი კაკვური სიმძლავრე — 6,9 ცხ. ძ. მიღებულ იქნა მე-3 გადაცემაზე, როცა წევის ძალა თითქმის ორჯერ ნაკლებია, ვიდრე შასის კაკვური წევის ძალა (360 კგ ნაცვლად 685 კგ-ისა). საწვავის ხარჯის ეკონომიურობის უკეთეს მაჩვენებლებს აღილი ჰქონდა იმავე გადაცემებზე: ДСШ-14-ის საწვავის კუთრი



ნახ. 3. დ-14 მარკის ძრავას საერთო ხედი.



ნახ. 4. ოვითმავალი შასი დცშ-14-ის სამართო მექანიზმების საერთო ხედი

ხარჯი მე-2 გადაცემაზე უდრიდა 350 გრ./კ. ცხ. დ. ს. ხოლო დტ-14-ისათვის მე-3 გადაცემაზე — 421 გრ./კ. ცხ. დ. ს.

დტ-14-ის ბუქსაობა შედარებით დიდია, ვიდრე შასის ბუქსაობა. ასე, მაგალითად, 400 კგ წევის ძალის დროს მათ ბუქსაობათა შორის სხვაობა შეადგენდა  $8-10\%$ -ს, ხოლო წევის ძალის 625 კგ-მდე გაზრდის შემდეგ ტრაქტორის — დტ-14 ბუქსაობა  $40-45\%$ -ით დიდია დცშ-14-ის ბუქსაობასთან შედარებით.

წევითი გამოცდების ჩატარებამ ნასვენ მიწებზე თვითმავალი შასის მაქსიმალურად შესაძლებელი მაჩვენებლები გამოამუღნა. მაქსიმალური სიმძლავრე მიღებულ იქნა მე-3 გადაცემაზე და შეადგენდა 10,2 ცხ. დ-ს; მაქსიმალური წევის ძალა ამ გადაცემაზე უდრიდა 1120 კგ-ს, ბუქსაობის სიდიდე კი —  $30\%$ -ს. საწვავის ხარჯის ეკონომია იყო  $280 \div 290$  გრ./კ. ცხ. დ. ს-ის ფარგლებში. მე-3 გადაცემაზე მიღებულ იქნა აგრეთვე ტრაქტორის პირობითი მარგი ქმედების კოეფიციენტის მაქსიმალური სიდიდე — 0,722.

ტრაქტორთან — დტ-14 შედარებით თვითმავალი შასის — დცშ-14 უპირატესობა სხვადასხვა სასოფლო-სამეურნეო სამუშაოებზე ცხადია. ამას

ხელს უწყობს არა მარტო ის, რომ კარგი მხედვების შედეგად შეიძლება გავზარდოთ ტრაქტორის შესრულებული სამუშაოს ხარისხი, ისე აგრეგატის მოძრაობის სიჩქარე და მწარმოებლობა, არამედ ისიც, რომ თვითმავალი შასის მიერ შესრულებული სამუშაოს ენერგოტევადობა მცირეა, ვიდრე დტ-14 მარკის ტრაქტორის მიერ შესრულებული სამუშაოსი.

თვითმავალ შასის — დცშ-14 მდგრადობის კუთხეებია:  $17^{\circ}04'$ -აწევის,  $56^{\circ}19'$ -დახრის და  $36^{\circ}26'$ -განივი. იარაღების დაკიდების შედეგად მდგრადობის კუთხეები მკვეთრად იზრდება. ასე მაგალითად, აწევის მდგრადობის კუთხე იცვლება  $23^{\circ}33' \div 63^{\circ}46'$ , ხოლო დახრისა —  $52^{\circ}17' \div 76^{\circ}18'$  ფარგლებში, შასის საშუალო სტატიკური კუთრი დაწოლა ნიადაგზე შეაღებს: უკანა თვლებზე  $1,15 \div 1,37$  კგ/სმ<sup>2</sup>-ს, ხოლო წინა თვლებზე  $1,23 \div 2,38$  კგ/სმ<sup>2</sup>-ს. ორივე შემთხვევაში ზედა ზღვარი ეკუთვნის შასის მუშაობას სატვირთო ბაქნის დაყენების დროს 1 ტრნა ტვირთის მიხედვით. შასს იქვს დამაკმაყოფილებელი მანევრება. უმეტესი სახის იარაღებთან მუშაობის დროს აგრეგატი თავისუფლად ბრუნდება 5-6 მეტრის სიგანის მქონე მოსაბრუნებელ ზოლზე.

შასის მართვა ადგილია. სატერფულზე მოსული ძალები უმნიშვნელოა. ამჟამად საქართველოს სახელმწიფო მანქანა-იარაღების კვლევით საგამოცდო სადგურში მიმღინარეობს დ-14 ძრავას გაუმჯობესებული ვარიანტის გამოცდები. მისი გაუმჯობესება ძირითადად გამოიხატება იმით, რომ ძრავას გასაგრილებლად ახლა წყლის ნაცვლად გამოიყენება ჰაერი. ამას გარდა, ძრავას გასაშვებად ახალი კონსტრუქციის ძრავაზე დაყენებულია სტარტერი, რომელიც აკუმულატორით მუშაობს.

თვითმავალი შასის გამოცდა გაუმჯობესებული კონსტრუქციის ძრავათი — დვ-14 წარმატებით მიმღინარეობს და ახლა მომავალში იგი რეკომენდებული იქნება წარმოებაში დასანერგად.



# ქვებათამისა

6. ՀՈՎՈՆ

ტექნიკის მეცნიერებათა კანდიდატი

დედამიწის წილში აჩვებულ  
ნამარხს სათბობთა შორის მთავა-  
რი ადგილი ქვანახშირს უჭირავს.  
კაცობრიობისათვის საჭირო სით-  
ბოსა და ენერგიის თითქმის სამი  
მცოთხედი მასზე მოღის.

କୁଣିର ଶ୍ଵେତକ୍ଷେତ୍ରାଶୀ ଜ୍ୟଙ୍ଗନାଳିଶୀ  
ରୀସ ଫ୍ରେନ୍ଡୋ ଲେଖାମିଳିସ ସିଲରମ୍ବେଶୀ  
ମଲ୍ଲେବାର୍ଜେନ୍ଦ୍ରାବ୍ସ. ଅମିତ୍ରମ ମାତିବ ଅମନ-  
ଲେବିସାଟାଵିସ ସାପ୍ରିରୋ ଶାକ୍ତିର୍ଲିଙ୍ ଗ୍ର୍ୟ-  
ଗାନ୍ଦା. ଅମଲେବ୍ରୁଲ୍ଲି ଜ୍ୟଙ୍ଗନାଳିରୀ  
ମନମ୍ବକାର୍ଯ୍ୟବଲ୍ଲାମଲ୍ଲେ ରତ୍ନାଲ ଲା  
ଗରହେଲ ଗଢିଲ ଗାଲିସ, ରାତ୍ର ଲାଇ  
ଶରମମାଟ୍ରେଗାଲ ଲା ଦ୍ଵାରାଲାଲ ଲିର୍ଜେ-  
ଭ୍ୟାଲ ସାମ୍ବିଶାନ୍ତ ଚାରିମନାଲାଗ୍ରେନ୍ସ.

აღნიშნულ სიძნელეებს ადგი-  
ლი არ ექნება, თუ ქვანახშირს  
დედამიწის წიაღშივე გარდავ-  
ეჭნით აირად, ე. ი. მოვახდენთ მი-  
წის ქვეშ მის გაზითეკაციას და  
ნაცვლად ქვანახშირისა მომხმა-  
რებლებს მილებით მივაწვდით  
ხარისხიან აირს.

XIX საუკუნის მეორე ნახევარში დიღმა რუსმა მეცნიერმა ლიმიტრი ივანეს ქე მენდელეევმა ღონეცის აუზის ქვანახშირის ფენებში შეამჩნია წვა და მასზე დაკვირვება აწარმოა. მან პირველმა გამოთქვა აზრი, რომ შესაძლებელია მიწისქვეშა ქვანახშირის წვა ისეთნაირად წარვმართოთ, რომ მიყილოთ არასრული წვის პროდუქტები, ე. ი. გენერატორულია აირი.

ნახშირის მიწისქვეშა გაზიფი-  
კაციის გამოყენებით დ. ი. მენდე-  
ლევი ითვალისწინებდა აღამიანის  
შრომის შემსუბუქებას და საობო-  
ბი მასალის საგრძნობი გაიაფების  
შესაძლებლობას, რისთვისაც იგი  
წლების მანძილზე მტკიცედ აყე-  
ნებდა ნახშირის მიწისქვეშა გაზი-  
ფიკაციის საკითხს.

### 3. ი. ლენინი უდიღეს მნიშვნე-

კონტაქტის ანიჭებლა ამ საკითხს. 1

წელს ის აღნიშნავდა, რომ მიწის-  
ქცევა გაზიფიკაციით აღამიანის-  
შრომის დიდი წილი დაიზოგება.  
იგი იძლევა ქვანახშირის ღარიბი  
ლუნებისა და აგრეთვე ისეთი ფე-  
ნობის გამოყენების შესაძლებლო-  
ბას, რომელთა დამუშავებაც ჩვე-  
ულებრივი ნახშირის გამოყენების  
წილით არ ხარხობა.

დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის შემდგა ჩვინ ში შეიქმნა ნახშირის მიწისძგვებით გაზიფიკაციის კომისია; 1932 წლიდან დაიწყო ექსპერიმენტულმუშაობა, გამოცდილ იქნა მიწის ქვეშა გაზიფიკაციის სხვადასხვა მეთოდები. ინჟინრები და კონსტრუქტორები ცდილობდნენ პირებულ რიგში მიწის ზედაპირზე არა სეღული, ჩვეულებრივი აირგენერატორული პროცესი მიწის ქვეშა ტექნიკად ქცეული ნახშირის გაზიფიკაციის განსახორციელებლად გამოეყენებინათ. მაგრამ ჩატარებული ცდების შედეგად გაშორებული, რომ ჩვეულებრივი გენერატორული პროცესის უშუალოდ გამოყენება მიწისქვეშა გაზიფიკაციის განხორციელებისათვის შეატყობილია.

ქვანაბშირის საწვავ აირად გარდაქმნის პროცესი დიდი ხანი ცნობილია. აღნიშნული პროცესის განხორციელების მიზნით მიწის ზედაპირზე აშენებენ სპეციალურ დანალექარებს—აირგენერატორებს, მაგრამ მისი გადამუშავებისათვის აუცილებელია ქვანაბშირის ჩვეულებრივი წესით ამონდება, დახარისხება, ფუჭი ქანების მოცილება, მიზიდვა და ჩატვირთვა აირგენერატორში.

1-ლ ნახაზზე წარმოდგენილია  
ქვანანაშირის შედგენილობის სქე-  
მა, სადაც პირველ უკრედში მო-  
ცემულია ტენი, მეორეში — აქ-  
როლადი საწვავი ნივთიერება, მე-  
სამეში — მყარი საწვავი ნივთიე-  
რება და მეოთხეში — ნაცარი.  
მყარი საწვავი ნივთიერება წარმო-  
ადგენს კოქსს, ხოლო აქროლადი  
საწვავი ნივთიერება და ტენი ერ-  
თად შეაღენს ნახშირის აქროლად.  
მასას. ტენი, აქროლადი საწვავი  
ნივთიერება, მყარი საწვავი ნივ-  
თიერება და ნაცარი სათბობის სა-  
მუშაო მასაა. <sup>1</sup>ნაცარს, მყარ საწვავ  
ნივთიერებას და აქროლად საწვავ  
ნივთიერებას ერთად სათბობის  
მშრალი მასა ეწოდება. მყარი საწ-  
ვავი და აქროლადი საწვავი ნივ-

თიერება ერთად შეადგენს სათბო-  
ბის საწვავ მასას.

ძლიერ დიდია აირადი სათბო-  
ბის უპირატესობა მყარ სათბობ-  
თან შედარებით. საწვავ აირს ხში-  
რად გამდიდრებულ სათბობს  
უწოდებენ. თუ ქარხნებს ნახში-

რაც ძლიერ აითლებს მის მომსა-  
ხურებას.

საწვავ მასალად აირის გამოყე-  
ნების დროს ღუმელში საჭირო  
არა ნახშირის არევა და ნაცრის  
გატანა, რაც ძნელ ოპერაციას  
წარმოადგენს მყარი სათბობის გა-  
მოყენების შემთხვევაში ღუმელის  
მომსახურებისას.

აირი იოლად იწმინდება რო-  
გორც მტკრის, ისე საწამლავ-გო-  
გირდშალბადისაგან და იძლევა  
სუფთა ალს. მყარი სათბობის გა-  
მოყენებისას კი ღუმელში სუფთა  
ალის მიღება შეუძლებელია.

მყარი საწვავისაგან მიღებული  
აირი გამოიყენება არა მარტო  
ენერგეტიკული აირის სახით, არა-  
მედ როგორც ნედლეული ბენზი-  
ნეს, ამონიაკის, სპირტისა და სხვა  
პროდუქტების მისაღებად.

ნახშირის საწვავი მასა ძირითა-  
დად ნახშირბადს შეიცავს; თუ  
აირგენერატორში ნახშირს გავაღ-  
ვებთ და წვის დროს მას ჰაერს  
მივაწოდებთ, დაიწყება ქიმიური  
რეაქცია. ნახშირის ნახშირბადს  
უერთდება ჰაერის უანგბადი და  
გავაძლევს ნახშირირუანგს. აღნიშ-  
ნული რეაქციის დროს სითბოს და  
ნახშირი მაღალ ტემპერატურამდე  
ხურდება. ამის შემდეგ ნახშირირ-  
უანგი მოდის შეხებაში გავარეარე-  
ბულ ნახშირთან და აღგილი აქვს  
აღდგენით რეაქციას, რის შედე-  
გად ნახშირუანგი წარმოიქმნება,  
რომელიც საწვავ აირს წარმოად-  
გებს. თუ ჰაერთან ერთად სარეაქ-  
ციონ არეში მივაწოდებთ წყლის  
ორთქლს, ისიც მიიღებს მონაწი-  
ლეობას ქიმიურ რეაქციაში, რის  
შედეგად მიიღება ნახშირუანგი და  
წყალბადი. ამსთან აირგენერა-  
ტორში მიმდინარეობს სხვა რეაქ-  
ციებიც.


ატმოსფერული ჰაერი შეიცავს  
79% აზოტს. ნახშირით, ჰაერითა  
და ორთქლით გაზიფიკაციის შე-  
დეგად მიიღება შერეული აირი,  
რომელიც საწვავის შემთხვევაში შესაძლე-  
ბელია ტემპერატურის საჭირო  
დონეზე დაყენება. ამას გარდა გა-  
ზის წვის რეგულებას ვაღწევთ  
რანქანის გაღებით და დაკეტვით,

აზოტი ბალასტს. რამდენადაც ნავ-  
ლებია აირში ბალასტი, იმდენად  
ნახშირის გარისხვით და მას საფუძვლიანად  
ახალისხებენ და თანაბარი სიდი-  
დის ნატეხების სახით ათავსებენ  
აირგენერატორში, სადაც მყარი  
სათბობის აირად გარდაქმნის ქი-  
მიური პროცესები მიმდინარეობს.

აირგენერატორში (ნახ. 2) მიმ-  
დინარე პროცესების ნათლად  
წარმოადგენისათვის მის სამუშაო  
არეს ზონებად ყოფენ. ზემოთ მო-  
თავსებულია გაშრობის (1), შემ-  
დეგ მშრალი გამოხდის (2), მის  
ქრისტო აღდგენის (3), მერე წვის,  
ანუ უანგვის (4), ხოლო სულ ბო-  
ლოს წილის (5) ზონა.

წვის და აღდგენის ზონას —  
ერთად — გაზიფიკაციის ზონა  
ეწოდება, მშრალი გამოხდისა და  
გაშრობის ზონები — სათბობის  
მომზადების ზონაა. გენერატორ-  
ში მიღებული აირი გამოიყანება  
ზემოდან გამყვანი მილით, ხოლო  
წილა გააქვთ გენერატორის ქვემო  
ნაწილიდან — საკერძედან.

აირგენერატორში და მიწის-  
ქვეშა გაზიფიკაციის დროს მიმ-  
დინარე პროცესებია: 1. უანგვის  
რეაქციები წვის ზონაში — ნახ-  
შირბადს უერთდება უანგბადი,—



ნახ. 2. აირგენერატორი



ნახ. 1. ქვანახშირის შედგენილობის ქედმა

რის ნაცვლად მიღებით მივაწო-  
დებთ აირს, ქარხნები თავისუფლ-  
დება ისეთი ძვირადლირებული და  
რთული შრომატევადი სამუშაო-  
საგან, როგორიცაა სათბობის მი-  
ზიდვა, სპეციალურ საწყობში შე-  
ნახვა და ნაცრის ან წილის გადა-  
ზიდვა.

მყარი სათბობი, რომელიც ტენს  
საგრძნობ რაოდენობით შეი-  
ცავს, მისი ღუმელში გამოყენების  
შემთხვევაში არ იძლევა მაღალი  
ტემპერატურის მიღების შესაძ-  
ლებლობას, რადგან სითბოს დი-  
დი რაოდენობა ტენის აორთქლე-  
ბაზე და ორთქლის გახურებაზე  
იხარჯება.

ღუმელში სათბობად აირის გა-  
მოყენების შემთხვევაში შესაძლე-  
ბელია ტემპერატურის საჭირო  
დონეზე დაყენება. ამას გარდა გა-  
ზის წვის რეგულებას ვაღწევთ  
რანქანის გაღებით და დაკეტვით,

ვიღებთ ნახშირორჟანგს, წყალ-ბადს უერთდება უანგბადი — იძ-ლევა წყლის ორთქლს; 2. რეაქცი-ები აღღენის ზონაში — ნახშირ-ორჟანგი ნახშირბადთან იძლევა ნახშირჟანგს, წყლის ორთქლის

მეორედან ღებულობენ გენერა-ტორულ აირს. წილა მიწის ქვეშ ნახშირის ფენის აღგილზე რჩება. მიწის ზედაპირზე აირგენერა-ტორში და მიწისქვეშა გაზიფიკა-ცის დროს პროცესები ანალო-გიურად მიმდინარეობს. აირგამ-ტარი ჭაბურლილიდან მიღებული აირი მიწის ზედაპირზე გაივლის მუ-მთელ რიგ დანადგარებს, სადაც შაობასთან, დავინახავთ, რომ მი-წმინდება მტვრისა და მავნე მი-ნარევისაგან (გოგირდ-წყალბადი). აირს აცივებენ მაცივარში და მიღვაყვანილობით აწვდიან მომ-ზმარებლებს.

მე-4 ნახ-ზე მოცემულია ხშირ-ნაკადიანი ჭაბურლილის ხერხი, რომელიც შემდეგს ნიშნავს: და-ასლოებით 100 მეტრით დაშორე-ბულ ორ ჭაბურლილს და შემდეგ რამდენიმე პარალელურ ჭაბურ-ლილს ერთმანეთთან აერთებენ გვირაბით. ახდენენ ჰაერის მიწო-დებას 2, 4 და 6 ჭაბურლილებით, ხოლო 1, 3, 5 და 7 ჭაბურლილები-დან გენერატორულ აირს იღებენ.

გამოყენებას პოულობს აგრეთ-ვე ნახშირის ფენაში აირგამტარი-ანობის უნარზე დაყრდნობილი ხერხი: ბურღვას აწარმოებენ ორ ურთიერთ პარალელურად ნახში-რის ფენაში გატარებით, ბურღი-ლებში ჩაშვებულია მიღები და დაცულია ჰერმეტულად. ერთ-ერთი ბურღილილიდან აწვდიან დაწ-ნებილ ჰაერს, ხოლო მეორე ბურ-ღილით ღებულობენ აირს. ნახში-რის გაზიფიკაციის დროს წნევას იყენებენ 3—100 ატმოსფერომ-ლე. წნევის ქვეშ ჰაერის მიწოდე-ლიდან აწოდებენ ჰაერს, ხოლო ბა დამოკიდებულია ნახშირის ფე-

ნის ჰაერის და აირის გამტარუნა-რიანობაზე. რამდენად დადგინდეთ გამტარიანობა ნახშირის ფენაში, იმდენად მცირე წნევას იყენებენ ჰაერის მისაწოდებლად.

თუ მიწისქვეშა გაზიფიკაციას შევადარებთ მიწის ზედაპირზე მდებარე აირგენერატორების მუ-შაობასთან, დავინახავთ, რომ მი-წმინდება მტვრისა და მავნე მი-ნარევისაგან (გოგირდ-წყალბადი).

აირს აცივებენ მაცივარში და მიღვაყვანილობით აწვდიან მომ-ზმარებლებს.

ნახ. 3. ნახშირის მიწისქვეშა გაზიფი-კაციის ჭაბურლილის ხერხი.

მე-3 მედებით ნახშირბადზე ვღე-ბულობთ ნახშირჟანგს და წყალ-ბადს; 3. აქროლადი პროდუქტების მიღება მშრალი გამოხდის ზო-ნაში — მეთანი, გოგირდწყალბა-დი.

აირგენერატორიდან გამომავალი აირებია: ნახშირორჟანგი, ნახშირ-ჟანგი, წყალბადი, მეთანი, გო-გირდწყალბადი, აზოტი და წყლის ორთქლი.

მიწისქვეშა გაზიფიკაცია ორი სახისაა — შახტის გამოყენებით და უშახტოდ. გაზიფიკაციის ორი ხერხია გამოყენებული: 1. ჭაბურ-ლილის ხერხი; 2. ნახშირის ფენის აირგამტარიანობის ხერხი.


ჭაბურლილის ხერხი, რომელიც მე-3 და მე-4 ნახ-ზეა წარმოდგე-ნილი, გულისხმობს შემდეგს: ქვა-ნახშირის ფენის გასწვრივ ორ პა-რალელურ ჭაბურლილს აერთებენ გვირაბით, ერთ-ერთი ჭაბურლილი ბა დამოკიდებულია ნახშირის ფე-

ნის ჰაერის და აირის გამტარუნა-რიანობაზე. რამდენად დადგინდეთ გამტარიანობა ნახშირის ფენაში, იმდენად მცირე წნევას იყენებენ ჰაერის მისაწოდებლად.

თუ მიწისქვეშა გაზიფიკაციას შევადარებთ მიწის ზედაპირზე მდებარე აირგენერატორების მუ-შაობასთან, დავინახავთ, რომ მი-წმინდება მტვრისა და მავნე მი-ნარევისაგან (გოგირდ-წყალბადი). აირს აცივებენ მაცივარში და მიღვაყვანილობით აწვდიან მომ-ზმარებლებს.

შრომის ნაყოფიერება მიწის-

ქვეშა გაზიფიკაციის დროს 10-ჯერ მეტია, ვიდრე ჩვეულებრივი მი-წის ზედა აირგენერატორებისა და 20-ჯერ მეტია იმ შრომის ნაყოფი-ერებასთან შედარებით, რომელიც გვაქვს ნახშირის ამოღებისა და



ნახ. 4. ხშირნაკადიანი ჭაბურლილის ხერხი

აირგენერატორში აირის მიღებას-თან დაკავშირებით.

ნახშირის მიწისქვეშა გაზიფიკა-ციის საშუალებით შესაძლებელია ნახშირის თხელი ფენების გამო-ყენება-დამუშავება და დიდნაც-რიანი ნახშირის საბადოების და-მუშავება.

# დ. ი. გელელევაშვილი

(გარდაცვალების 50 წლისთავის გამო)

პროფესორი ვ. კაპებეძე  
ტექნიკურ მეცნიერებათა დოქტორი

მიმდინარე წლის 2 თებერვალს შესრულდა 50 წელი მეცნიერების ბუმბერაზის დიმიტრი ივანეს ძე მენდელეევის გარდაცვალებიდან. მენდელეევის სახელი დამსახურებულადაა შესული მსოფლიო მეცნიერების ისტორიაში. იგი მუშაობდა არა მარტო თავისი ეპოქისათვის. გენიალური გამოკვლევებით, შრომებით, ღრმა-შინაარსიანი ცხოვრებით მან ღიასეული სამსახური გაუშვია კაცობრიობას და შთამომავლობას დაუტოვა ისეთი განძი, რომელიც არასოდეს არ დაკარგავს თავის მნიშვნელობას.

დ. ი. მენდელეევის მოღვაწეობა საოცარი მრავალფეროვნებით ხასიათდება. იგი იყო გენიალური ქიმიკოსი, უდიდესი ფიზიკოსი, პიდროდინამიკის, მეტეოროლოგიისა და მეტროლოგიის პირველხარისხოვანი

მქონებარი, დიდი შემოქმედი ქიმიური ტექნოლოგიის დარგში, საერთოდ მრეწველობისა და, განსაკუთრებით, ქიმიური მრეწველობის ღრმა მცოდნე, სოფლის მეურნეობის ქიმიზაციის დარგის ნაყოფიერი მოღვაწე, ორიგინალური და ღრმა მოაზროვნე სახალხო მეურნეობის განვითარების საკითხებზე.

მენდელეევის დამსახურება განუსაზღვრელია. მის სამეცნიერო შრომებში და, პირველ რიგში, უკვდავ პერიოდულ კანონში, გამოყენებულია მატერიალისტური დიალექტიკა (თუმცა ეს გამოყენება ხდებოდა სტიქიურად). ამიტომაც იყო, რომ უნგელის „ბუნების დიალექტიკაში“ მენდელეევს უდიდეს შეფასებას აძლევდა.

მისი შრომები სამეცნიერო წრეების მზარდი შემქმედების უშრეტ წყაროდ გადაიქცა. თითქმის 90 წლის წინ მის მიერ აღმოჩენილმა ქიმიურ ელემენტთა პერიოდულობის კანონმა ნივთიერების

ანაგობასა და თვისებებზე ჩვენი ცოდნის ბრწყინვალე განვითარება გამოიწვია. XIX საუკუნის ბოლოდან, რაღაც ტიური მოვლენების შესწავლასთან დაკავშირებით, წინათ არსებული წარმოდგენები ნივთიერებისა და ატომის ანაგობის შესახებ დაინგრა; ჩვენი წარმოდგენელემენტურებზე და მათ სტრუქტურულ „აგურაკებზე“ — ატომებზე მნიშვნელოვნად გართულდა.

მაგრამ რაც უფრო გართულდა ჩვენი წარმოდგენები, მით უფრო განციფრებას იწვევს მენდელეევის მეცნიერული გმირობა, რომელიც მან მოახდინა იმ ღროს, როცა მსოფლიოს ქიმიკოსები ამაოდ ცდილობდნენ გაერკვიათ, თუ რაზე დამოკიდებული ელემენტთა თვისებები. მენდელეევის მაერ შექმნილი სისტემა არათუ არ „დაიღუპა“


მეცნიერული რევოლუციის ცეცხლში, არამედ უფრო განმტკიცდა.

XIX საუკუნის ეს ბრწყინვალე აღმოჩენა სალიკლდესავით დგას და ხელს უწყობს შემდგომი პერიოდების კვლევაძიებას.

პერიოდული კანონისაგან განუყოფელია მენდელეევის შრომა — „ქიმიის საფუძვლები“, რომელმაც მას უკვდავი სახელი მოუსვეჭა. ესაა შესანიშნავი წიგნი, რომელიც ამჟამადაც წარმტაცი ინტერესით იკითხება და ადამიანის აზროვნებას ახალი ძიებისაკენ მიმართავს.

პერიოდულობის კანონისა და „ქიმიური საფუძვლების“ შემდეგ უნდა აღინიშნოს მენდელეევის გამოვლენები სსნარებზე: დაწყებული სადოქტორო ღისერტაციით — „წყალთან სპირტის ნაერთებზე“ და დამთავრებული შრომით — „წყალსნარების გამოკვლევა წონაკუთრით“.

პირველ შრომას დიდი მნიშვნელობა ჰქონდა სპირტისა და წყლის ნაერთების საკითხის გამოკვლევა



დ. ი. მენდელეევი

ვლევაში და აგრეთვე პრაქტიკაში — მეღვინეობის, სპირტსახლელ წარმოებასა და საქციზო საქმეში.

ეს შრომა დასაწყისი იყო ხსნარებზე მენდელე-ევის გამოკვლევებისა: ხსნარების შესახებ დიმიტრი ივანეს ძე იზიარებდა ჰიდრატულ თეორიას, რომლის არსი, ზოგადი ფორმით, ისაა, რომ გახსნილი სხეული გამხსნელთან იძლევა არა უბრალო ნარევს, არამედ შედის მასთან ურთიერთმოქმედება-ში. ხსნარებს ის უყურებს, როგორც გახსნილი ნივ-თიერების ქიმიურ ნაერთებს შედგნილობის მი-ხედვით ცვალებადი თვისებებით და განსაზღვრული ჰიდრატების წარმოქმნით.

ხსნარების შესახებ მენდელეევის ქიმიურმა თეორიამ, რომელსაც ახლა ჰიდრატული თეორია ეწოდება, საფუძველი ჩაუყარა ჰიდრატების, ამინაკუ-ბის და მსგავსი ნაერთების ღრმა შესწავლას და ბიძგი მისცა კომპლექსურ ნაერთებზე ახალი წარ-მოდგენების შემუშავებას.

მიუხედავად იმისა, რომ ხსნარებზე ჩატარებული მუშაობა თვათ მენდელეევს დამთავრებულად არ მიიჩნდა, მანც ეს მუშაობა იმის ნათელი ილუსტრაციაა, თუ როგორი შორსმჭვრეტელობით და მეცნიერული ალლოთი იყო დაჯილდოებული დი-მიტრი ივანეს ძე, რომელმაც არა მარტო გააკეთა შესანიშნავი აღმოჩენები, არამედ გზა გაუკაფა მათ პრაქტიკულ გამოყენებას და ბუნების საიდუმლოე-ბათა შემდგომ ამოცნობას.

დღიდია მენდელეევის დამსახურება ნივთიერების ფიზიკური მდგომარეობის შესწავლის საქმეშიც. მან, პარველმა, ჯერ კიდევ 1860-1861 წლებში, ე. ი. ენდრიუსამდე დაახლოებით 10 წლით ადრე, ჩატარა გამოკვლევები სითხეების კაბილარობასა და გაფართოებაზე და დაამყარა ცნება კრიტიკულ ტემპერატურაზე ანუ, როგორც თვითონ უწოდა, დუღილის აბსოლუტურ ტემპერატურაზე.

ამ გამოკვლევის დროს მენდელეევი არ დაკმაყოფილდა ერთი რომელიმე თვისებისა და ტემპერატურისაგან სითხის შეცვლის შესწავლით, მან ერთმანეთს დაუპირისპირა მრავალი თვასების შეცვლა (კაბილარობა, აორთქლების ფარული სითბო, გახურებისაგან გამოწვეული გაფართოება) და გამოარკვია, რომ ყველა ეს თვისება იმდენად იცვლება, რომ სითხე უახლოვდება აირს, და კრიტიკული ტემპერატურისას სითხესა და ორთქლს შორის განსხვავება ბათილდება.

1872 წლიდან მენდელეევი, თავის თანამშრომ-ლებთან ერთად, აწარმოებს აირების კუმშვადობის შესწავლას, რომლის შედეგები დიდ მეცნიერს უმ-თავრესად მოცემული აქვთ შრომებშა — „აირების დროკადობაზე“ და „აირების კუმშვადობაზე“.

მენდელეევი მიზნად ისახავდა მნიშვნელოვანი შედეგების მიღებას აირების ორ ზღვრულ მდგომარეობაში წევების შესწავლით. ამასთან მთავარ ინტერესს ის იჩენდა დაბალი წევების — უმაღლესი გაიშვიათების აირების შესწავლისადმი, კარ-

გად ითვალისწინებდა რა ამ საკითხის უდიდეს მნიშვნელობას.

გაიშვიათებულ აირებზე მუშაობა სტანდარტულ მეტრიზაციის მიზანით დაიმიტრი ივანეს ძე დაინტერესდა მეტეოროლოგიისა და პარმასენობის საკითხებით. მან აავრ ბარომეტრი, უბრალო ვერცხლისწყლის ბარო-მეტრზე 16-ჯერ უფრო მგრძნობიარე. დაიბადა აზ-რი სხვადასხვა სიმაღლის გასაზომად მისი გამოყენების შესახებ.

დიდ მუშაობას აწარმოებდა მენდელეევი პარ-მასენობის დარგში; განსაკუთრებით დაინტერესდა აირის წინაღობის საკითხით. ამის შედეგად იგი წერს თხზულებას — „სითხეების წინაღობაზე და პარმასანობაზე“, რომელიც ამ დარგის დიდი მცოდნის, პროფ. ნ. უკვიცხვის აზრით წარმოადგენს კაპიტალურ მონოგრაფიას. თავის შრომას მენ-დელეევი ათავებს შემდეგი სიტყვებით: „მაქვს იმის რწმენა, რომ ოდესმე მიაღწიევენ პარზე სრულ გა-მარჯვებას...“

ამ გამარჯვების შესამზადებლად მენდელეევი ერთხელ კიდევ გამოვიდა დამოუკიდებლად პარმა-სენის როლში: 1887 წელს მზას დაბნელების და-საკირვებლად მან დიდი გმირობა ჩაიდინა; გადა-წყვიტა აეროსტატით აფრენა, და აფრინდა კიდეც უპილოტოდ.

აქვე უნდა აღინიშნოს მენდელეევის დამსახუ-რება მეტროლოგიის დარგში. 1867 წელს მან პა-რაზის მსოფლიო გამოფენის შესწავლის შედეგად დაწერა მონოგრაფია, რომელშიც გამოფენასთან დაკავშირებული საკითხების გაშუქებისას მრავალი საინტერესო წინადაღება წამოაყენა. კერძოდ ყუ-რადღება გაამახვილა რუსეთის განკერძოებაზე ზო-მებსა და წონებში და მეტრული სისტემის შემოღების საჭიროებაზე. 1868 წელს ბუნებისმეტყველთა და ექიმთა რუსეთის პირველ ყრილობაზე ის გამო-ვიდა განცხადებით მეტრული სისტემის პროპაგან-დის საჭიროების შესახებ.

1892-დან 1907 წლამდე მენდელეევი მისთვის ჩვეული გატაცებით ემსახურებოდა მეტროლოგიუ-რი ამოცანების გადაწყვეტას, მეტროლოგიურ სა-მუშაოთა ფართო გავრცელებას. 1892 წელს მან დაარსა ზომისა და წონის მთავარი პალატა, რო-მელსაც თვითონვე განავებდა. აღნიშნული პალატა მაღე დიდ სამეცნიერო დაწესებულებად გადაიქცა და მენდელეევის მეოხებით მან საერთაშორისო აღიარება პოვა.

მენდელეევი აქტიურად მონაწილეობდა ზომისა და წონის იმ საერთაშორისო კომატეტის მუშაობა-შიც, რომლის წევრად იგი არჩეული იყო 1895 წელს. ამ კომიტეტში მის ხმას, მის მოსაზრებას დიდ ანგარიშს უწევდნენ.

საერთოდ, ხაზი უნდა გაესვას იმას, რომ მენ-დელეევი ბუნების მოვლენებას შესწავლას მეტრო-ლოგიური მიღვიმოთ აწარმოებდა; თვლიდა, რომ

ბუნებაში ზომა და წონა შემცენების მთავარი იარაღებია.

ჩვენ მოკლედ განვიხილეთ მენდელეევის მოღვაწეობა და დამსახურება სამცნიერო დარგში. მაგრამ დიდ სწავლულს არ სწამდა „მეცნიერება მეცნიერებისათვის“, არ სწამდა „წმინდა“ აკადემიური მოღვაწეობა, ცხოვრებისაგან მოწყვეტილი მეცნიერული მუშაობა. მას ისევე ვერ წარმოედგინა მეცნიერება პრაქტიკული გამოყენების გარეშე, როგორც მეცნიერებისაგან გათიშული პრაქტიკული საქმიანობა. ამიტომაც, სავსებით ბუნებრივია, რომ დიმიტრი ივანეს ძე დიდ ყურადღებას აქცევდა სახალხო მეურნეობის, ტექნიკისა და მრეწველობის საკითხებს. დიდი მეცნიერი ქვეყნის ინდუსტრიალიზაციის ენერგიული მოხსრე და დამცველი იყო. იგი დაუღალავად ქადაგებდა და ამტკიცებდა რუსეთში ძლიერი მრეწველობის განვითარების საჭიროებას.

იმ პერიოდში (და გაცილებით უფრო გვიანაც) რუსეთში თვლიდნენ, რომ სახელმწიფოს კეთილდღეობა დამყარებულია მხოლოდ სოფლის მეურნეობის განვითარებაზე. მენდელეევი ამ შეხედულების მოწინააღმდეგი იყო. მაგრამ ეს არ იშნავს თითქოს იგი უარყოფდა სოფლის მეურნეობის განვითარების საჭიროებას. პირიქით, მოითხოვდა მის ინტენსიური კიმიზურიას, სასუქების ფართოდ გამოყენებას, სასოფლო-სამურნეო იარაღების გაცრცელებას და სხვ. მაგრამ, რაც მთავარია, თვლიდა, რომ ეკონომიკურად დაბერჩებულ, უცხო სახელმწიფოებისაგან დამოკადებულ, ჩამორჩენილ რუსეთში მთავარი ყურადღება მრეწველობის დანერგვასა და განვითარებას უნდა დათმობოდა.

ამასთანავე, მას ღრმად სწამდა, რომ საქართველო-საფაბრიკო მრეწველობის განვითარება გამოიწვევდა სოფლის მეურნეობის განვითარებას, მის ინტენსიური კიმიზური შემოსავლისა და საერთოდ ხალხის კეთილდღეობის გაზრდას, მთელი ქვეყნის ეკონომიკური მდგომარეობის განმტკიცებას, მოსახლეობაში განათლების გავრცელებას, მისი კულტურული დონის ამაღლებას და სხვ.

განსაკუთრებული დამსახურება მიუძღვის მენდელეევს რუსეთის ნავთობის მრეწველობის განვითარებაში. იგი პირადად მონაწილეობდა ნავთობის მრეწველობის მრავალი პრობლემის გადაწყვეტაში; დიდ ყურადღებას აქცევდა გადასახადებისა და ტარიფების საკითხს, საჭიროდ თვლიდა ღრმა ბურღვის შემოღებას და საერთოდ ბურღვის საქმის განვითარებას, დიდ მნიშვნელობას ანიჭებდა ტრანსპორტის საკითხს მოწესრიგებას და შეუძლებლად მიაჩნდა ნავთობის მრეწველობის სათანადო სიმაღლეზე აყვანა გუდით, ურმითა და კასრებით; გადაუდებელ საქმედ თვლიდა ნავთობის მიზანშეწონილ საქართველო გადამუშავებას და ემისური ნედლეულის სახით გამოყენებას, მისდამა მომჭირნეობით მოპყრობას. გამოიღოდა რა ნედლეულის სახით ნავთობის გამოყენების წინააღმდეგ, მენდელეევი იძ-

რძოდა ბაქო—ბათუმის ნავთსაღენის გაყვანისათვის; იგი დაბეჯითებით იცავდა ნავთის გაიაფების რონისძიებებს, როგორც სოფლად შრომის წარუდიშვილი რების აწევის ერთ-ერთ საშუალებას, პყვითებული საქმიანობა. მან დაამუშავა ორიგინალური თეორია ნავთობის მინერალური წარმოშობის შესახებ და სხვ.

მენდელეევს დიდი დამსახურება აქვს აგრეთვე ქვანააშირის მრეწველობის დარგში. დონეცის ქვანააშირის აუზის შესწავლის შედეგად იგი მთელ რიგ წინადაღებებს აყენებდა ამ ნახშირის რაციონალური გამოყენებისათვის. ამასთან ერთად, ეს დიდი მეცნიერი მეტად ნაყოფიერ მუშაობას აწარმოებდა სათბობის შესასწავლად, იკვლევდა საწვავი მასალის რაციონალურად გამოყენების საკითხს, სათბობის ეკონომიკის მიზნით საჭიროდ თვლიდა საცეცხლურების სწორ მოწყობას, პარის მიწოდების რეცულებას, სრული წვის განხორციელებას; აყენებდა საკითხს აირადი სათბობი მასალის მიღების მიზანშეწონილობისა და ქვანააშირის გაზიფიკაციის შესახებ. მან შეიმუშავა ფორმულა სხვადასხვა ხარისხის სათბობთა თბოლუნარისანობის გამოსანგარიშებლად; წამოაყენა წინადაღება ქვანააშირის მიწისევეშა გაზიფიკაციის შესახებ, რასაც ვ. ი. ლენინმა უდიდესი შეფასება მისცა.

ფერქებადა მასალების დარგში მენდელეევმა აღმოაჩინა ნიტროუჯრედინა, რომელსაც პიროკოლოდი უწოდა და რომლიდანაც დაამზადა უკვამლი დენთი. იგი დღესაც საინტერესოა თავისი ქიმიური და ბალისტიკური თვისებებით.

აქვე საჭიროა აღინიშნოს, რომ მენდელეევი ომის დიდი მოწინააღმდეგე იყო. იგი თვლიდა, რომ არა იარაღით და ქვემეხებით, არამედ ცოდნით და საქმიანობით უნდა მივაღწიოთ კეთილდღეობას.

მენდელეევი განათლების დიდი მოამაგეა. სახალხო მეურნეობის განვითარებისა და ხალხის კეთილდღეობის აუცილებელ პირობად ის თვლიდა არა მარტო უმაღლესი ცოდნით აღჭურვილი მასწავლებლებისა და სხვადასხვა დარგის სპეციალისტების მომზადებას, არამედ ხალხის საერთო კულტურულ დაწინაურებასა და ხალხში ცოდნის გარეცელებასაც.

მენდელეევს დიდი შრომა აქვს გაწეული აკადემიურ ასპარეზზე. იგი ასწავლიდა უნივერსიტეტში, ტექნიკური ინსტიტუტში, საინჟინრო აკადემიაში, გზათა საინჟინრო ინსტიტუტში და სხვ. მისი მოწავეებიდან გამოვიდა ბევრი გამოჩენილი მოღვაწე, პროფესიონალი, აღმინასტრუმენტი, ლენინგრადის შთაბეჭიდლებას ტოვებდა მსმენელებზე, იტაცებდა მათ, იწვევდა მათში უზომი ინტერესს, აღვივებდა მეცნიერებისადმი სიყვარულსა და პატივისცემას.

მენდელეევს სურდა, რომ ახალგაზრდობა დაწაფებოდა სწავლას, მეცნიერებას, იცოდა რა, თუ

„როგორ ნავარდად, თავისუფლად და მხიარულად გრძნობს თავს ადამიანი სამეცნიერო დარგში“. სწავლა-განათლება მას ხალხის კეთილდღეობის, მისი დაწინაურების აუცილებელ პირობად მიაჩნდა.

დამიტრი ივანეს ძე ხასიათდებოდა იშვიათი შრომისმოყვარეობით. შრომით ის პირდაპირ გატაცებული იყო. სადაც არ უნდა ყოფილიყო, ყოველთვის შისტრაფოდა თავის კაბინეტისაკენ, ლაბორატორიისაკენ, საწერი მაგიდისაკენ, ხელნაწერისაკენ, თავისი კულებისა და შუშებისაკენ; მხოლოდ აქ პოლონბდა ის ცხოვრების აზრსა და სიხარულს. მენდელევის დაუღალავი შრომა, უშრეტი ენერგია, საქმით უზომო გატაცება, მისდამი თავდადებული სიყვარული არაჩვეულებრივი იყო.

დ. ი. მენდელევი კეთილი, გულისხმიერი და გულთბილი ადამიანი, მთლიანი ბუნების, მტკიცე ხასიათის, დამოუკიდებელა აზროვნების, პირდაპირი, გაბედული და თავისი ხაზის გატარებისათვის შეუძლებელი მებრძოლი იყო.

მეცნიერების ამ ბუმბერაზს არ ახასიათებდა პატივმოყვარეობა, ყოყოჩობა, ანგარება; ის მეტად უბრალო და ფაქტიზა იყო. წინა პლანზე ყოველთვის საქმეს აყნებდა.

მენდელევის ცხოვრებისა და მოღვაწეობის დროს ისეთი პირობები იყო, რომ მისი მოწოდებანი უმეტეს შემთხვევაში უშედეგოდ რჩებოდა, მის სასარგებლო წინადადებებს, გაბედულ აზრებს „პროფესორის ოცნებებს“ უწოდებდნენ.

დიმიტრი ივანეს ძეს შუბლით უნდა გაენგრია მეფის რუსეთის სიბეცე და სიჩლუნგე, ბრძოლით უნდა მიეღწია თითოეული წარმატებისათვის.


ამ ბრძოლაში მენდელევეს ბევრის ატანა მოუხდა. მეფის მთავრობის ლაქიებმა იგი სამარცხვინოდ „გააშავეს“ სამეცნიერო აკადემიის არჩევნების დროს და მეცნიერების ამ ბუმბერაზს დემონსტრაციულად დაუხურეს მისი კარები. მენდელევი ფაქტიურად გააძევეს პეტერბურგის უნივერსიტეტიდან. მას მიერ გამოგონილი უკვამლო დენთი, რომელიც უცხოეთისაზე მაღლა იღგა, გამოყენებას ვერ ეღირსა, ხოლო თვით მენდელევი სამუშაოდან მოსსნეს.

ასე ზღუდავდა მეფის მთავრობა ამ გენიალურ მეცნიერს, ფრთხებს უკვეცავდა მის შემოქმედებით იღებს.

მენდელევის დიადმა აზრებმა გასაქანი პოვა უმთავრესად დიდი ოქტომბრის სოციალისტური

რევოლუციის შემდეგ, საბჭოთა წყობილების პირობებში. თავისი სამეცნიერო მუშაობის პროცესში მან ისეთი მოთხოვნილებანი წამოაქცია, რომელთა განხორციალება მხოლოდ გამარჯვებულმა პროცესტარიატმა შეძლო.

ნაყოფიერი მოღვაწეობისა და ღრმაშინარსიანი ცხოვრების შედეგად მენდელევმა უდიდესი განძი დაგვიტოვა. ჩვენი მოვალეობაა შევისწავლოთ ის და მენდელევისებური შრომისმოყვარეობით, სიმტკიცით, ენერგიით და თავდადებით წავიდეთ წინ მეცნიერებისა და ტექნიკის ახალი მწვერვალების დასპრობად, კომუნიზმში გადასასვლელად.



ეს მძლავრი კარუსელური ჩარხი დამზადა კოლომნის მძიმე მანქანათსამშენებლო ქარხანაში. იგი განკუთვნილია ჰიდროტუბინის მსვალი დეტალების დასამუშავებლად.

ჩარხს აქვს ლილოვანი მართვა, რომელიც მოთავსებულია მთავარ პულტზე. მართვის მოხერხებულობისათვის ჩარხის სათავე ნაწილში მონტირებულია დამხმარე პულტი. ჩარხის ბევრ კვანძს აქვს დამოუკიდებელი ძრავები.

# მ ა რ ბ ი ს ე ვ ე ა ნ ი ზ ა ც ი ა

ინუინერი გ. ჩიგინიძე

თამბაქოს მოყვანა და დამუშავება დიდ შრომას მოითხოვს. მიუხედავად ამისა, მისი მოვლა-მოყვანას პროცესებიდან დღემდე მექანიზებული წესით ხორციელდება მხოლოდ ნიადაგის პირებადი და-მუშავება, ჩითილების დარგვა და მწკრივთაშორის კულტივაცია; ისეთი პროცესები კი, როგორიცაა თამბაქოს ფოთლების შეტეხვა, ანემსვა და შრობა, აგრეთვე ნედლეულის პარველადი გადამუშავება (ცალებად შეკვრა) ჯერ კიდევ პრიმიტიულად, ხელით წარმოებს.

საბჭოთა კავშირში, კერძოდ საქართველოში, თამბაქოს ფოთლის შრობა ძირითადად ხდება მზე-ზე. აშ წესს თავისი ლირსება აქვს: მზეზე შრობის დროს თამბაქოს ფოთოლი ინარჩუნებს სასიამოვნო გემოსა და სურნელებას; ამასთან ერთად შრობისა-თვის გამოიყენება მზის სითბოს უფასო ენერგია.

მზეზე შრობასთან შედარებით ხელოვნური შრობის ტექნოლოგიური უპირატესობა ისაა, რომ იგა დამოკიდებული არაა ამინდისაგან, ამცირებს შრობის ვადებს და ადიდებს პროდუქციის გამოსავალს. მიუხედავად ამისა, იგი ჯერ კიდევ ვერ გასწევს ბუნებრივი შრობის მაგივრობას დანადგარების სიძიო-რისა და აგრეთვე მთელი რიგი სხვა მიზეზების გა-მო. ამიტომა, რომ ალბათ თამბაქოს ფოთლის ბუნებრივი შრობის ხერხი ჯერ კიდევ დარჩება პრაქ-ტიკაში. ამასთან დაკავშირებით საჭირო გახდა მზე-ზე შრობის სამუშაოთა მექანიზაციის საკითხის და-ყენება და გადაწყვეტა.

თამბაქოს ფოთლის საშრობად ჩვენში იყენებენ სტანდარტული ტიპის ფარდულებს, რომელიც დახურულია სამი მხრიდან. საშრობი მოედნისაკენ მიმართული მისი ერთი მხარე ღიაა, საიდანაც წარ-მოებს ჩარჩოებზე ჩამოკიდებული ანემსილი ფოთ-ლების გარეთ გამოტანა და შიგ შეტანა საჭიროე-ბის მიხედვით.

ჩვეულებრივ სტანდარტული ტიპის საშრობ ფარდულს 6-8 განყოფილება აქვს. საშრობის სიღ-რმე და მიმმართველი ლარტყები ფარდულს ქვეშ ისეა გაანგარიშებული, რომ თითოეულ განყოფი-ლებაში მოთავსდეს ანემსილი თამბაქოს ფოთლები-ანი 25-30 ჩარჩო, 60° კუთხის დასრილობით დაკი-დებული. საშრობ მოედანზე განლაგებულია ჩარჩოების სამოძრაო გზები, რომელიც გაანგარიშებუ-ლია ყველა ჩარჩოს პორიზონტურ მდგომარეო-

ბაში დასაყენებლად. გზების სიგრძე დაახლოებით 100 მეტრია. პირველი 2-3 დღე ჩარჩოზე ჩამოკი-დებულ ზონარზე ანემსილ თამბაქოს საშრობებში ტოვებენ. ამის მერე ჩარჩოები დღეში ორჯერ უნდა შეიტანონ და გამოიტანონ ფარდულიდან. შემდეგ კი, როცა თამბაქოს ფოთლის უმეტესი ნაწილი გაყ-ვითლდება, ჩარჩოები გამოიქვთ საშრობ ფართობზე და ტოვებენ იქ გამზეურებულს მთელი დღის განმავ-ლობაში. ამრიგად, შრობაზე მომუშავებმა სეზო-ნის მანძილზე ჩარჩოები ყველდღე სისტემატურად უნდა გაიტანონ საშრობ მოედანზე და შეიტანონ უკან.

საშრობ ფარდულებში დატეირთული ჩარჩოების შეტანა და გამოტანა დღემდე ხელით სრულდება, რაც საკმაოდ შრომატევადია.

დადგენილია, რომ ერთ ჰექტარზე მიღებული თამბაქოთი დატეირთული ჩარჩოების მარტო შე-ტანა-გამოტანაზე 28 კაცდღეზე მეტი და 42,3 შრომადღე იხარჯება.

ამდენად ბუნებრივია, რომ ჩარჩოების შეტანა-გამოტანის პროცესის მექანიზაციის საკითხი ადრე-გე იქცევდა ჩვენი ნოვატორების ყურადღებას. გა-მომგონებლებმა გ. ხ. მოსტაკოპულომ, გ. ა. ჩე-ტინიკოვმა, გ. ო. ზაქარიანმა, ა. მ. კუჭავამ. და სხვებმა წამოაყენეს წინადადებების ისეთ დანადგარ-თა შექმნის შესახებ, რომელთა გამოყენება გამო-იწვევდა თამბაქოს ჩარჩოების შეტანა-გამოტანისა-თვის საჭირო შრომის ხარჯის შემცირებას.

ყველა ეს წინადადება კონსტრუქციულად უკარ-გისი იყო, მოითხოვდა დიდ კაპიტალურ დაბანდე-ბებს, ძეველი სტანდარტული საშრობი დარდულე-ბის რკინისტრუქციასა და ახალი საშრობების აგე-ბას. ამ მიზეზის გამო თამბაქოს საშრობების მექა-ნიზაციის შესახებ წამოყენებული წინადადებანი გურ დაინერგა.

თამბაქოს ფოთლის შრობის შრომატევად პრო-ცესთა მექანიზაციის საკითხის გადასაწყვეტად მნიშვნელოვანი მუშაობა განახორციელა საქართვე-ლოს სსრ სოფლის მეურნეობის მექანიზაციისა და ელექტრონიკიკის სამეცნიერო-კვლევითმა ინსტი-ტუტმა, რომელმაც 1954-1955 წლების განმავლო-ბაში ააგო და მარნეულს რაიონის სოფე აგამამედ-ლოს ვოროშილოვის სახელობის კოლმეურნეობაში გამოცადა თამბაქოს ჩარჩოების შესატან-გამოსა-

ტანი დანადგარი. ამ დანადგარის შემწეობით საშუალო მოცულობის ფარდულში ჩარჩოების შეტანა-გამოტანაზე 3-6 კაცის მაგივრად საკმარისია ერთი კაცი, რომელიც მხოლოდ სისტემის მმართველის როლს ასრულებს. დანადგარი მნიშვნელოვნად ამცირებს ჩარჩოების შეტანა-გამოტანის პროცესის ხანგრძლიობას. თუ აქამდე ერთი საშრობის 240 ჩარჩოს გატანა-შემოტანას 3 კაცი მოელ დღეს უნდებოდა, ახლა დანადგარის საშუალებით ერთ კაცს შეუძლია 2-3 საათში გაიტანოს და შემოიტანოს ყველა ჩარჩო.

მექანიზაციისა და ელექტროფიგაციის სამეცნი-ერო-კვლევითი ინსტიტუტის მიერ დამზადებული დანადგარი იმითავა საყურადღებო, რომ ის დამუშავებულია ტიპობრივი პროექტებით აგებული თამბაქოს საშრობების პირობების შესაბამისად. დანადგარის საშუალებით საშრობილან თამბაქოს ჩარჩოების გამოტანა-შეტანისას საჭირო არაა საშრობის კონსტრუქციის მნიშვნელოვანი შეცვლა და გადაკეთება. უფრო მეტიც: მარტივი კორექტივების შეტანით დანადგარი შეგვიძლია გამოვიყენოთ არატიპობრივ საშრობებშიც.

ინსტიტუტის მიერ შესრულებული დანადგარის პრინციპული სქემა შემდეგნაირია:

ა) მოძრაობის წინალობათა შესამცირებლად ჩარჩოებზე დაყენებულია თუჯის საგორავები (თვლები) რებორდებით, რითაც სრიალის ხასუნი შეცვლილია გორგის ხახუნით.

ბ) იმისათვის, რომ ფოლადის საგორავებმა უფრო ადვილად იმოძრაოს, ჩარჩოების გამოსატან-შემოსატან ხის ძელებზე დაკრულია მცირე პროფილის კუთხური ფოლადი.

გ) ჩარჩოების სამოძრაო გზები (ხის ძელები) დაყენებულია ბეტონის ან აგურის სეტებზე, რომლებიც უფრო საიმედოა დანადგარის შეუფერხებელი მუშაობისათვის.

დ) საშრობის თითოეული განყოფილებისათვის, რომელშიც 25-30 ჩარჩო ეტევა, გაჭიმულია 6-8 მმ დიამეტრის ფოლადის ბაგირი. ის ჯალამბარის ამძრავლის და დამჭიდ ბლოკს ეხვევა. საშრობის ყველა ამძრავი ჯალამბარი (6-8 ჯალამბარი) მოძრაობაში მოყავს ერთ საერთო ელექტროძრავას, რომლის სიმძლავრე 6-8 კვტ-ს არ აღემატება.

ე) თითოეულ ჩარჩოზე დაყენებულია ბაგირის მჭერი, რომლის დანიშნულებაა შეუერთოს გასატანი ჩარჩო მოძრავ ბაგირს. მჭერა ავტომატურად მუშაობს და უზრუნველყოფს ჩარჩოებს შორის ნაბიჯის გარკვეულ სიღიდეს. მისი მუშაობა განხორციელებულია ჩამორთავით, რომლის ძირითადი კვანძია ურიკა. ამ უკანასკნელის თათი ედება ბაგირის მჭერის ბერკეტს, ჩართავს ან გამორთავს მას.


ამგვარი დანადგარის საშუალებით გადაწყვეტილია მექანიზებული წესით თამბაქოს საშრობში ჩარჩოების შეტანა-გამოტანის მრავალი მნიშვნე-

ლოვანი საკითხი; განხორციელებულა დატვირთული ჩარჩოს სწორი მოძრაობა ხის ძელებისაგან მოწყობილ გზებზე; ამავე დროს, საგრძნობლად შემცირებულია წევის წინალობა, უზრუნველყოფილია საშრობის ერთ განყოფილებაში მოთავსებული ყველა ჩარჩოს ერთდროული, თანმიმდევრული გადატანა „ვაგონური“ წესით იმ დროს, როცა ხელით მუშაობისას თითოეული ჩარჩო ცალ-ცალკე უნდა შეიტანონ ან გამოიტანონ.

დანადგარის ნაკლი ისაა, რომ მისი ძირითადი ნაწილები, რომლებიც მუდამ ღია ცის ქვეშა, მზადება ხის მასალისაგან. ცხადია, ატმოსფერული მოვლენების შედეგად საშრობი მოედნის გზები და ხის სხვა ელემენტები მნიშვნელოვან დეფორმაციას განიცილის, ამის გამო ირლევა მათი განივი სიხისტე, რამაც შეიძლება გამოიწვიოს გზიდან ჩარჩოების გადმოვარდნა, მათი დაზიანება. გარდა ამისა, დადგენილია, რომ საშრობი მოედნის საგზაო ძელები 2-3 წლის შემდეგ მთლიანად გამოდის წყობილია ისე, რომ საჭირო იქნება დანადგარის ხელახალი მოწყობა.

აღსანიშნავია ისიც, რომ ჩარჩოების ეკსცენტრიკული მჭერი არაა საიმედო. ბუქსაობის შემთხვევაში ირლევა ჩარჩოების განლაგების ნაბიჯი, რაც მომდევნო ჩარჩოების ერთამეორეზე დაჯდომას იწვევს. მჭერი მოწყობილობის მრავალი კვანძი მოითხოვს გაუმჯობესებას. მჭერის ეკსცენტრიკული-მუშტი და საგორავი ხშირად იწვევს ბაგირის დეფორმაციას. არც ხის ჩარჩოება გამოდება თამბაქოს საშრობში მექანიზებული წესით შეტანა-გამოსატანად, რადგან ჩარჩოები ხშირად იბრიცება და მჭერის ნორმალური და ზუსტი მუშაობა ირლევა.

საინტერესოა გამომგონებელ გ. კ. ახვლედიანის მიერ წარმოდგენილი სქემა თამბაქოს საშრობი ჩარჩოების შეტანა-გამოტანის პროცესის მექანიზაციისათვის.



გ. ახვლედიანის კონსტრუქციის თამბაქოს საშრობი დანადგარის საერთო ხედი

გასულ წელს საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის სამინისტროს დაცალებით ბოლნისის კოლმეურნეობის თამბაქოს საშრობ ფარდულში მოწყო ჩარჩოების მექანიზებულა წესით შესატან-გამოსატანი დანადგარი. ზემოაღწერილი დანადგა-რისა და გ. ახვლედიანის მიერ შესრულებული და-ნადგარის პრინციპული სქემა თითქმის ერთგვარია. მაგრამ, საჭიროა აღინიშნოს, რომ გ. ახვლედიანის მიერ შესრულებულ დანადგარს მეტი უპირატესობა აქვს; ხოლო კონსტრუქციულად იგი უფრო უკეთე-სი და მარტივია. გ. ახვლედიანის დანადგარის ძი-რითადი ღირსება ისაა, რომ საშრობი მოედნას და საშრობის შიგა გზა მცირე პროფილის კუთხური ფოლადისაგან შენდება. ამით თავიდან აცილებუ-ლია გზის რამე დეფორმაცია და მისი სწორხაზობ-რივობის დარღვევა. გზების საყრდენებად გამოყე-ნებულია იმავე პროფილის ფოლადი, რაც ადვილად შეგვიძლია შევცვალოთ რკინაბეტონის მცირე კვე-თის სვეტებათაც.


ამ დანადგარშიც ჩარჩოებს გაკეთებული აქვს მცირე დიამეტრის საგორავები ბურთოვანი საკის-რებით, რაც მნიშვნელოვნად აითლებს წევას. თამ-ბაქოს საშრობად საჭირო ჩარჩო დამზადებულია თხელკედლიანი მცირე დიამეტრის მიღებისაგან. სისტემის გასაღიდებლად ჩარჩოს შიგა კუთხებში შიღულებულია ფოლადის სამეუთხა ნაჭერი. ჩარ-ჩოების გვერდით მიღებზე მიღულებულია ლითო-ნის თითქმი, რომელზეც ჩამოყიდებულია ზონარზე აცმული თამბაქო.

ამტრავად გამოყენებულია ელექტროძრავა (6-8 კვტ სიმძლავრით), რომლის საშუალებით წარმოებს უსასრულო ბაგირის დანევევა ამყოლ დოლზე.

ყვილაზე მნიშვნელოვანაა, რომ გ. ახვლედიანია შეიმუშავა და განახორციელა მარტივი და ამავე დროს საკმაოდ ზუსტად მომუშავე ჩარჩოების გა-დასაბმელი მექანიზმი. საშრობიდან ჩარჩოს გატა-ნის საჭიროებისას მომდევნო ჩარჩოს ის ავტომა-ტურად ჩაუბამს წინა ჩარჩოს. საშრობში ჩარჩოს დაბრუნების საჭიროებისას მექანიზმი ავტომატუ-რად ამორთავს მიმყოლ ჩარჩოზე გადაბმულ წინა ჩარჩოს და პორიზონტალური მდებარეობიდან ვერ-ტიკალურში გადასაყვანად უზრუნველყოფს ამ ოპე-რაციის შესრულებას.

თამბაქოს შრობისას საჭიროა ერთი ჩარჩოს წინ გადატანა, ანდა მეორის დაბრუნება უკან. გ. ახ-ვლედიანის დანადგარში ეს მომენტიც გათვალის-წინებულია. ძირითად გზაზე დაყენებულია მეორე გზა, რომლის სიგრძე ერთი ჩარჩოს სიგრძის ტო-ლია. დამატებით გზასთან მისვლისას მარტივი მოწ-

ყობილობათ წინა ჩარჩოს ჩაეტსნით და ზევით გან-ლაგებულ გზაზე ავტომატურად ავიტანთ, ნიჟარე მიმყოლ ჩარჩოს ქვედა გზაზე (მის ქვეშ) დაგჭრე ვებთ. გზის ასეთი მოწყობით შეგვიძლია ნებისმიე-რი ჩარჩოს ადგილმდებარეობა ან საწყობში განლა-გების ადგილი შევცვალოთ.



თამბაქოს საშრობი ჩარჩოების გადადგილების შექანიზმი გ. ახვლედიანის დანადგარში.

გ. ახვლედიანის დანადგარის უპირატესობაა ისიც, რომ მას მოწყობილი აქვს სამართავი პულ-ტი. მუშას, რომელიც დანადგარს ემსახურება, შე-უძლია ჩართოს საშრობის ნებისმიერი სექცია (გან-ყოფილება) იმის მიხედვით, თუ მოცემულ მომენ-ტში რომელი ჩარჩო იქნება გასატანი ან შესატანი.

გარდა ამისა, ზემოაღწერილ დანადგართან შე-დარებით, განხილულ დანადგარს კიდევ ის ღირსე-ბაც აქვს, რომ ელექტროძრავა და წევის ყველა მოწყობილობა მიწას ქვეშა. მიწის ქვეშ ჯალამბა-რის განლაგება მით უკეთესია, რომ ამ შემთხვევაში, მოძრაობის დროს, ის არ ეხება ზონარზე ჩამო-კიდებულ თამბაქოს და არ აზიანებს მას, როგორც ამას ადგილი აქვს სხვა შემთხვევაში.

თამბაქოს საშრობი დანადგარი უნდა იყოს მარ-ტივი, საიმედო, იაფი. მის დამზადებაზე არ უნდა დაიხარჯოს დეფიციტური მასალები. ამავე დროს დანადგარის დამზადება ადვილად უნდა შეეძლოს მანქანა-ტრაქტორთა საღურის ან კოლმეურნეო-ბის სახელისნოს.

საფიქრებელია, რომ უმოკლეს ხანში ჩენენი რეს-პუბლიკის კოლმეურნეობება და კოლმეურნები მი-იღებენ თამბაქოს ფოლლის შრობის მექანიზაციის სრულყოფილ დანადგარს, რომელიც გაადვილებს და დაზოგავს მათ შრომას, გაადიდებს შრომის ნა-ყოფიერებას და ხელს შეუწყობს კოლმეურნეობათა ეკონომიკის განმტკიცებას.



## ტუტოვანი პკუმულატორი ზორებიანი ფირზიტებით

საზღვარგარეთულ ურნალებში გა-  
მქვეყნებული იყო მასალები ტუტოვან  
აკუმულატორზე — „ვოლტაბლიკი“, რო-  
მელსაც ნიკელის ფენილისაგან დამზა-  
დებული ფირებიანი ფირფიტები აქვს.

ასეთი ფირფიტებიანი აკუმულატორ-  
ზე მეტად მცირე შინაგანი წინალობით



— აკუმულატორი „ვოლტაბლიკი“: 1 —  
მომჭერები, 2 — ვზი და სახურავი (ფო-  
ლალის, მონიკელებული), 3 — სარქველი-  
ანი ხერეტილა ელექტროლიტის ჩასხი-  
სათვის, 4 — ებონიტის ან კაუჩუკის სა-  
ფენი, 5 — ელექტროლიტი, 6 — პერფორი-  
რებული პლასტმასის სეპარატორები,  
7 — ფირფიტების ჩარჩოები საზოლაციო  
პლასტმასისა, 8 — ფორებიანი ფირფიტე-  
ბი, 9 — პლასტმასის მომჭერი, 10 — შევ-  
რილები აწყობისათვის.

სახიათება, ამიტომ ისინი წარმატებით  
შეიძლება გამოყენებულ იქნეს პიკებიანი  
დატკირთვების პირობებში (ძრავების  
ამუშავება და სხვ.).

ნახ. 4 ნაჩვენებია აკუმულატორი  
„ვოლტაბლიკი“ ფირებიანი ფირფიტე-  
ბით.


აკუმულატორის მაქსიმალური დაბა  
უდრის 1,65 ვოლტს. ავიაციის და ფლო-  
ტის ტელემართვის საჭიროებისათვის ამ  
აკუმულატორებს უშვებენ ვიბრაციისად-  
მი მედეგი კადმიუმ-ნიკელიანი ფირფი-  
ტებით. ფირფიტების სისქე 0,8, ხოლო  
სეპარატორებისა — 0,15 მმ-ია.

აკუმულატორის დამუხტვა მისი ტევა-  
დობის 80%-ზე უმცირდება 2 საათში,  
ბატარეის ტევადობა 20 ასეთი ელემენ-  
ტით უდრის 85 ამპერსათ.

აკუმულატორი თავისუფლად უდლებს  
დაბალ ტემპერატურას — 300-მდე. დამუხტ-  
ვისას აკუმულატორი არ უნდა გაცხელ-  
დეს 60°-ზე უფრო მეტად.

## ხელსაწყო სისალეზე გამოცდისათვის

ვენის ტექნოლოგიურ ინსტიტუტში  
დაგეგმილებულია სისალის გასაჭომი ახა-  
ლი ხელსაწყო, რომლის აღწერილობა  
გამოიკვეყნა ავსტრიულმა უურნალმა  
„ტექნიშე რანდშაუ“ (№ 2, 1956 წ.).  
ხელსაწყოს კონსუში (ნახ. 1) მოთავ-




ნახ. 1

ნახ. 2

სებულია მოწყობილობა წინასწარი და  
ძირითადი დატვირთვისათვის, რაც ზამ-  
ბარებით ხორციელდება (მაქსიმალური  
დატვირთვა 187,5 კგ-ს უდრის). აქვე მო-  
თავსებულია სეცციალური ბოლოები ალ-  
მასის კონსუსის ან 5 მმ-იანი ბურთულის  
გამოსაცდელ ჰედაპირში ჩასაჭულება,  
გარეთვე სხვა მოწყობილობანი, რომელ-  
იც საჭიროა რექველით სისალის განსა-  
ზღვრისათვის.


ხელსაწყოს იყენებენ სხვადასხვა მოწ-  
ყობილებებთან კომბინაციაში. მე-2 და  
მე-3 ნახ. 4 ნაჩვენებია მრწყებრწყნების  
რელის, ვაგონის თვლების დაწერის დაწერის



ნახ. 3

ბის მიმმართველი ჰედაპირების სისალის  
გაზიმოვისათვის.

განსაკუთრებულ ჭგულს შეადგენს  
მოწყობილობანი, რომელიც განკუთვნი-



ნახ. 4

ლია ღრუ ტანების, მილებისა და დილ-  
დიამეტრიანი კონსუბის შიგა ჰედაპირე-  
ბის სისალის განსაზღვრისათვის.

მცირე დამიტრისა და ღრმა ხვრეტი-  
ლების შემთხვევაში გამოიყენება სპეცია-  
ლური მოწყობილობანი (ნახ. 4).

უურნალში ხაზგასულია, რომ აღწე-  
რილ ხელსაწყოებში მოძრავი მასები უმ-  
ნიშვნელო და ამის გამო საჭირო აღა-  
რა სამუხრუჭი მოწყობილობანი. ეს კი  
მიმშვნელოვნად აჩქარებს გამოცდის  
პროცესს.

## აირტურბინიანი ავტომობილი „რენტ“

1956 წლის ივნისში ფრანგულმა სა-  
ავტომობილო ფირმამ — „რენტალტ“  
გამოუშვა სპორტული აირტურბინიანი  
ავტომობილის საცდელი ნიმუში.

აინიშნულ სავტომობილოზე დაყენებუ-  
ლია აირტურბინა, რომლის სიმძლავეება  
270 ც. ძ. 28.000 ბრ/წ დროს. გამწევი  
აირტურბინის კვება ხორციელდება ცენ-  
ტრიდანული ტიპის ტურბოკომპრესო-  
რით, რომლის ბრუნთა რიცხვია 35.000  
ბრ/წ. აირტურბინის სათბობად გამოყე-  
ნებულია ნაფთი. ნორმალური ბრუნთა  
რიცხვის დროს გამწევი ტურბინის მაბ-  
რუნებელი მომენტი აღგილიდან აეტო-  
მობილის დაძვრისას 2,5-ჭერ აღემატება

შაბრუტებულ მომენტს მოძრაობის დროს. ამის გამო საჭირო აღარა გადაცემათა კოლოფი. საშაფეხურიანი რედუქტორი,

ელექტრო და შიგაწვის ძრავების გამოყენება.

შეკუმშული ჰაერით მომუშავე პნევმატური ლოკომოტივი ამ მხრივ ნაკლებად სახიფათოა. სწორედ აზიტომ ჩეზოსლოვაკიის მრეწველობა მასობრივად უშვებს ასეთი ტიპის ლოკომოტივებს, რომელიც წარმატებით გამოიყენება მაღაროებში.

ნახ-ჯე ნაჩვენებია **БВД-25** მარკის პნევმატური ლოკომოტივი. ლოკომოტივზე დაყენებული ც ბალონის საერთო ტევადობაა 1380 ლ. ბალონებში ჰაერის მარტივობა 175 ატმ-ს უდაბნო—1200-1500 კგ-ს.


ასერის ბალონების შევსებისათვის საჭიროა 3 წუთი. ნორმალური დატვირთვით მოძრაობისას ლოკომოტივის შეუძლია ბალონების ერთი შევსებით გაიაროს 6 კმ.

ლოკომოტივის საექსპლოატაციო სიჩქარე 11-18 კმ-ს უდრის, ხოლო წევის ძრის მაქსიმალური წნევა 175 ატმ-ს უდაბნო—1200-1500 კგ-ს.

## ღიზელის ძრავა „კონტინენტალ“ V-8

ამერიკული ფირმა „კონტინენტალ“ მოძროს კორპ.“ უშვებს 8 ცილინდრიან წ-მაგარ დიზელის ძრავებს. ძრავას ლიტრაჟია 9,8 ლ; ცილინდრის დიამეტრი —


მერას აქვს დამატებითი მოცულობა, რომელს კორპ.“ უშვებს 8 ცილინდრიან წ-მაგარ დიზელის ძრავებს. ძრავას ლიტრაჟია 9,8 ლ; ცილინდრის დიამეტრი —



დიზელ „კონტინენტალის“ ჰაერის აუტოლატორიან წვის კამერის მუშაობის სქემა: A—საწვავის შეფრევების დასწყისი; ჰაერის აუტოლატორში წნევა ნაკლებია, ვიღრე ცილინდრში; B—საწვავის ნაწილი შედის ჰაერის აუტოლატორში, სადაც წნევა თითქმის ცილინდრში არსებული წნევის ტოლია; C—საწვავის აალების დასწყისი ჰაერის აუტოლატორში; D—აუტოლატორში წნევა აღწევს 84 ატმ-ს, აირები დიდი სიჩქარით გადაიბერება ისევ ცილინდრში, რითაც უმჯობესდება პირობები ნარევშარმოქმნის და საწვავის სრული წვისათვის.

120 მმ; დგუშის სვლა — 108 მმ; მაქსიმუმი კამერაში. ამის გამო მაღალი სიმძლავეები — 200 ც. ძ. 2800 წნევის მატება წვის პროცესის დროს ბრ/წ დროს; საწვავის მინიმალური კუთხი რი ხარის — 190 გრ/ც. ძ.ს.

ამ დიზელისათვის დამახასიათებელია ლობას იძლევა შევამციროთ ძრავის წო. ჩბილი მუშაობა, რაც მიღწეულია წვის ნა. წვის კამერის მუშაობის პრინციპული სერვა ნაჩვენებია ნახ-ჯე.




სპორტული აირტურბინიანი ავტომობილი „რენ“

რომელიც გამწევი ტურბინის ბრუნთა რიცხვს 28.000-დან 2.500 ბრ/წ-მდე ამცირებს, კომბინირებულია უკანა სვლის გადაცემასთან და მუხრუჭათან, რომელიც ანელებს ტურბინის როტორის ბრუნვას ავტომობილის მოძრაობის მიმართულების შეცვლის დროს. ჩვეულებრივი ჩართვის ქური შეცვლილია მოწყობილობით, რომელიც ავტომობილის გაჩერებისას საშუალებას იძლევა გამოვრთოთ აირების მიწოდება გამწევი ტურბინაზე.

ტურბინა-კომბირესორის ბლოკი რეზინის ამორტიზატორებით დამაგრებულია ავტომობილის მილოვან ჩარჩოზე. მოძრაობის უკანა რელებზე გადაცემა ხორციელდება კარდანის ორი განივი ლილვით.

## პევზეატური ლოკომოტივი

მაღაროებში ჰაერი ხშირად შეიცავს ფეოვანი აირების მნიშვნელოვან კონცენტრაციებს. ასეთ შემთხვევაში სათბო-



ბის ან მაღანის გამოზიდვის მექანიზაცია გართულებულია იმით, რომ ხანძარსა-ზიშროების თვალსაზრისით სახიფათო

ან, ვიდრე ძირითად კამერაში. ამის გამო მაღალი მიმძლავეები — 200 ც. ძ. 2800 წნევის მატება წვის პროცესის დროს ბრ/წ დროს; საწვავის მინიმალური კუთხი რი ხარის — 190 გრ/ც. ძ.ს.

ამ დიზელისათვის დამახასიათებელია ლობას იძლევა შევამციროთ ძრავის წო. ჩბილი მუშაობა, რაც მიღწეულია წვის ნა. წვის კამერის მუშაობის პრინციპული სერვა ნაჩვენებია ნახ-ჯე.

# კაცილის და ნაკათვის მუშაო შემოქმედი თანამდებობა

ჩ. იოვაშვილი

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XX ყრილობამ, რომელსაც მსოფლიო ისტორიული მნიშვნელობა ჰქონდა, ჩვენი ქვეყნის სოციალისტური სახალხო მეურნეობის განვითარების უდიდესი ამოცანები დასახა. მან საჭიროდ მიიჩნია მთელი სიმტკიცით განვითარების გზით ისტორიულად უმოკლეს დროში საბჭოთა კავშირის იმ მთავარი ეკონომიკური პრობლემის გადაჭრისათვის, რომელიც იმას გულასხმობს, რომ ძურნეობის სოციალისტური სისტემის უპირატესობაზე დაყრდნობით დავეწიოთ და გავუაწროთ ყველაზე განვითარებულ კაპიტალისტურ ქვეყნებს ერთ სულ მოსახლეზე პროდუქციის წარმოების მხრივ.

მაიღო რა დირექტივები სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის განვითარების 1956-1960 წლების მეუკვეთ ხუთწლიანი გეგმის შესახებ, ყრილობამ გეზი მისცა საბჭოთა მშრომელებს მძიმე მრეწველობის შემდგომი, კიდევ უფრო მძლავრი განვითარებისაკენ. დასახულია შავი და ფერადა მეტალურგიის, ნავთობის, ქვანახშირისა და ქიმიური მრეწველობის წინსვლის გზები, ელექტროსადგურების მშენებლობის უფრო სწრაფი ტემპების უზრუნველყოფა, მანევანათმშენებლობის, განსაკუთრებით ტექნიკურად სრულყოფალი ჩარხების, სამშედლო-საწევი მანქნების, ავტომატიკის საშუალებებისა და ხელსაწყოების წარმოების სწრაფი ზრდა, წარმოების საშუალებათა („ა“ ჯგუფი) წარმოების 70 პროცენტით გადიდება.

მექენისტური ხუთწლებში ფართოდ უნდა განხორციელდეს მრეწველობის ყველა დარგის წარმოების ტექნიკური ღონის ამაღლების, ატომის ენერგიის მშეინარებლობის მიზნით გამოყენების, პროდუქციის გამოშვების გადიდების, გეოლოგიურ-საძირო სამუშაოთა გაფართოების ღონისძიებანი.

შრომის ნაყოფიერების გადიდებასა და მუშათა შრომის პირობების შემსუბუქების მიზნით ნავარაუდევია, რომ მკვეთრად გაძლიერდეს სამუშაოთა მექანიზაციის ტემპები და მრეწველობაში ფართოდ დაინერგოს საწარმოო პროცესების ავტომატიზაცია, განხორციელდეს ძარითად და დამხმარე სამუშაოთა კომპლექსური მექანიზაცია, ცალკეული აგრეგატებისა და ოპერაციების ავტომატიზაციიდან სამექროების ტექნოლოგიური პროცესების ავტომატიზაციაზე და სავსებით ავტომატიზებული საწარმოების შექმნაზე გადასვლა.

პარტიის XX ყრილობის მიერ დასახული ყველა ამ ამოცანის გადაწყვეტის დიდ საქმეში მნიშვნელოვანი როლი უნდა შეასრულონ ჩვენმა მეცნიერებმა. საჭირო და აუცილებელია, რომ მეცნიერების სხვადასხვა დარგების მუშაკებმა ქმედითი მნიშვნელობა მიიღონ ყველა იმ გრანდიოზულ სამუშაოთა განხორციელებაში, რომელიც სოციალიზმიდან კომუნიზმში გადასვლის პროგრამის შესაბამისად ტარდება. ამ მიზნისათვის დიდი მნიშვნელობა აქვს იმას, რომ მეცნიერების მუშაკებმა შეიძირო კავშირი დაამყარონ სამრეწველო და აგრეთვე სასოფლო-სამეურნეო წარმოებასთან, წარმოების მუშაკებთან შემოქმედებითი თანამეგობრობით გადაწყვატონ სახალხო-სამეურნეო მშენებლობის პრობლემები. სკეპციონის საანგარიშო მოხსენების გამო საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XX ყრილობის მიერ მიღებულ რეზოლუციაში აღნიშნულია: „ყრილობას საჭიროდ მიაჩნია ყოველი ღონისძიებით განმტკიცდეს ჩვენი ქვეყნის სამეცნიერო დაწესებულებათა კავშირი წარმოებასთან, სახალხო მეურნეობის კონკრეტულ მოთხოვნილებებთან, მათი შემოქმედებითი ღონისძიებანი წარმომართოს ყველაზე დიდი მნიშვნელოვანი მეცნიერულ-ტექნიკური პრობლემების გადასაწყვეტად, განუხრელად ამაღლდეს მეცნიერების როლი კომუნისტური მშენებლობის პრაქტიკული ამოცანების გადაწყვეტაში“.

მეცნიერებისა და წარმოების მუშაკთა შემოქმედებითი თანამეგობრობა ტექნიკური პროგრესის უმნიშვნელოვანები წყაროა. ის, თუ რა შეუძლია ასეთ თანამეგობრობას, ნათლად ჩანს ჩვენი ქვეყნის ბევრი სამრეწველო საწარმოს მუშაობის მაგალითიდან. მძიმე და მსუბუქი მრეწველობის მთელი რიგი ქარხნებისა და ფაბრიკების ინჟინერ-ტექნიკოსებთან და მუშა-ნოვატორებთან ერთობლივი, თანამეგობრული შრომით საბჭოთა მეცნიერების მუშაკებმა დიდი წვლილი შეიტანეს წარმოების მექანიზაციისა და ავტომატიზაციის დანერგვისა და ტექნოლოგიური პროცესების გაუმჯობესების საქმეშა. ამის საილუსტრაციო ფაქტია ის, რომ უკანასკნელ წლებში სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის ურალის ფილიალის ქიმიისა და მეტალურგიის ინსტიტუტის მეცნიერ მუშაკთა ჯგუფმა პროფესიონალურ დოკტორ ნ. პ. დავითის, ტექნიკის მეცნიერებათა კანდიდატის მ. ი. კოჩინევის, აგრეთვე გ. ვ. პალუჩევის შემადგენლობით ზესტაფონის ფეროშე-

ნადონბთა ქარხნის გაზაზე ინჟინერ-ტექნიკოსებთან და ნოვატორებთან ერთად ნაყოფიერი ცდები ჩატარეს ელექტროლიტური ლითონური მანგანუმის მასალებად. უდიდესი მნიშვნელობა აქვს იმ საქმიანობას, რაც საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ლითონისა და სამთო საქმის ინსტიტუტის მეცნიერ მუშავებმა გ. მიქელაძემ, ე. ნადირაძემ, რ. ცხვედიანმა, აგრეთვე ქარხნის მუშავებმა ი. კეპელიძემ, ი. ლორთქიფანიძემ და სხვამა გასწიეს ტყიბულის ქანახშირის ნაჩენებისაგან სილიკო-ალუმინისა და მანგანუმის მიღების წესის დასამუშავებლად.

ფეროშენადნობთა ქარხნის ინჟინერ-ტექნიკოსებთან და ნოვატორებთან შემოქმედებითი თანამეგობრობით მნიშვნელოვან წარმატებებს აღწევენ კირვის სახელის საქართველოს სსრ პოლიტექნიკური ინსტიტუტის პროფესორ-მასწავლებლები. აღნიშვნული ინსტიტუტის პროფესორ გ. სისონისა და ქარხნის მუშავების შ. ფხაგაძის, ალ. მესხის, დ. ჩიკაშვას, აკ. მეტრეველის ერთობლივი ღონისძიებით ამ რამდენიმე ხნის წინათ განხორციელდა ფეროშენადნობთა ქარხნის მეორე საამქროს ელექტროპარამეტრების გამოკვლევა, რომლის შედეგები სასარგებლოა იმით, რომ ისინი ღუმელების სწორა ექსპლოატაციის შესაძლებლობას იძლევიან.

ნაკრები რკინაბეტონის კონსტრუქციების სეისმურ რაიონებში გამოყენების პრობლემებთან დაკავშირებული საკითხების გადაწყვეტაზე ჩვენი რესპუბლიკის მშენებელ პრაქტიკოსებთან ერთად მუშაობენ საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის საპუნქტო ინსტიტუტის მეცნიერ მუშავები. საპროექტო და სამშენებლო ორგანიზაციებთან ანსტიტუტით თანამშრომლობს აგრეთვე მსხვილი ბლოკური შენობების დაპროექტებისა და აგების საქმეში. მშენებელ პრაქტიკოსებთან შემოქმედებითი თანამეგობრობის მეოხებით დამუშავდა ისეთი მნიშვნელოვანი საკასხები, როგორიცაა: „გაჯის გამოყენების პირობები“, „ნაცარ კირიანი ავტოკლავირებული კრამიტი“.

მონოლიტური და ნაკრები რკინაბეტონის მშენებლობაში დიდი მნიშვნელობა აქვს გადახურვების შემსუბუქებული კონსტრუქციების გამოყენებას. ინსტიტუტში უკვე რამდენიმე წელია მუშავდება რკინაბეტონის გარსოვანი გადახურვები, რომლებიც სისტემატურად ინერგება წარმოებაში. ამასთან დაკავშირებით ინსტიტუტთან თანამშრომლობენ ე. წ. მეცნიერი-კორესპონდენტება: წარმოების ინჟინერები, რომლებიც ინსტიტუტის დახმარებით მუშაობას ატარებენ მშენებლობაზე.

საპროექტო მეცნიერებისათვას ნიშანდობლივია ის, რომ ისინი არ უნდა ჩაიკეტონ ინსტიტუტებისა და ლაბორატორიების კედლებს შორის, არამედ პრაქტიკულად უნდა მუშაობდნენ მეცნიერების მიღწევების წარმოებაში დასანერგად. ეს კარგად აქვთ

შეგწებული საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ენერგეტიკის ინსტიტუტის მეცნიერულ მუშავულ კებსაც, რომელთაც ომისშემდგომი წლების განმიორებაში მრავალ საწარმოო კოლექტივთან დაამყარეს კავშირი და მათთან ერთად წარმატებით განახორციელეს ენერგეტიკული მრეწველობის განვითარების უმნიშვნელოვანესი ღონისძიებანი.

მეცნიერებისა და წარმოების მუშავთა თანამეგობრული შემოქმედებითი შრომა ყველაზე უფრო ეფექტური და ნაყოფიერია მაშინ, როდესაც იგა, ეს შრომითი თანამშრომლობა, მუდმივი, უწყვეტი და არა ეპიზოდურია. ამა თუ იმ სამრეწველო ან სასოფლო-სამეურნეო წარმოებასთან სამცნიერო დაწესებულებათა კავშირი არ შეიძლება შემოიფარგლოს და ამოიწუროს რომელიმე ერთი ტექნიკური პრობლემის გადაწყვეტით. საჭიროა, რომ სამცნიერო-კვლევითი ორგანიზაციების სამუშაოთა ძირითადი ნაწილი აიგეგმოს იმ მოთხოვნათა შესაბამისად, რომელიც მრეწველობას, სოფლის მეურნეობას გააჩნია, და ეს სამუშაოები განხორციელდეს არა მარტო სამცნიერო ლაბორატორიების, არამედ სამრეწველო საწარმოთა ბაზაზე. ასეთ შემთხვევაში, ცხადია, მეცნიერთა და წარმოების მუშავთა თანამეგობრობას სისტემატური გახდება და იგი ნამდვილად მკვიდრ ნიადაგზე დადგება. ამ თვალსაზრისით ფრიად სამაგალითოა ვ. ი. ლენინის სახელის თბილისის ტრანსპორტის ინჟინერთა ინსტიტუტის ფიზიკის კათედრის წევრებისა და ი. ბ. სტალინის სახელობას თბილისის ორთქლმავალ-ვაგონშემცემების ქარხნის ინჟინერ-ტექნიკოსებისა და მუშა-ნოვატორების შემოქმედებითი თანამშრომლობა, რომელსაც ხანგრძლივი ტრადიცია აქვს.

მეცნიერთა და პრაქტიკოსთა თანამეგობრობა, მათი შემოქმედებითი თანამშრომლობა თავის ცხოველმყოფელ ძალას ავლენს იმით, რომ ეს თანამეგობრობა ახლა მასობრივი მოვლენაა, — მოიცავს მეცნიერებისა და წარმოების არა მარტო ცალკეულ, არამედ თითქმის ყველა დარღვე. ჩვენი ქვეყნის სწავლული ადამიანები ამჟამად კავშირს ამყარებენ როგორც დიდი ქალაქების შეხვილი სამრეწველო ობიექტების, ისე პერიფერიული სამრეწველო ცენტრების საწარმოთა კოლექტივებთან. ამას ნათლად მოწოდობს საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ლათონისა და სამთო საქმის ინსტიტუტის მეცნიერ მუშავთა კავშირი რესპუბლიკის ისეთ საწარმოებთან, როგორიცაა ჭიათურის, ტყიბულის და ტყვარჩელის მაღაროები, ქუთაისის საავტომობილო ქარხანა და სხვ. ამას გარდა, აღსანიშნავია, რომ ამ ინსტიტუტის მუშავებს შემოქმედებითი კავშირი აქვთ კიროვაკანის აზოტ-ტუკების ქარხნის, ქ. უდანოვის (უკრაინის სსრ) ს. ორჯონიშვილის სახელობის მეტალურგიული ქარხნის — „აზოგსტალ“, კუბიშევის სახელობის კრამატორსკის მეტალურ-

გიული ქარხნის მუშაკებთან. საქართველოს გეოლოგიური სამმართველოს მუშაკებთან ერთად ინსტიტუტის მეცნიერ თანამშრომელთა ჯგუფი სწავლობს ჩათახის რკინის საპადოს დამუშავების სამთო-ტექნიკურ პირობებს და წითელწყაროს კირქვათა მეტალურგიულ თვისებებს, საქართველოს კურორტთა სამმართველოს დაკვეთით იკვლევს ჩვენი რესპუბლიკის მინერალურ წყლებში ლითონების კოროზიის საკითხებს. ეჭვი არაა, რომ ლითონისა და სამთო საქმის ინსტიტუტის მეცნიერების მიერ სხვადასხვა სამრეწველო საწარმოთა ბაზაზე ამ საწარმოთა მუშაკებთან თანამეგობრობის პირობებში მუშაობის ესოდენ დიდი მასტრუაბით გაფართოება სარგებლობას მოუტანს აღნიშნულ საწარმოო ორგანიზაციებს და ამავე დროს დააჩქარებს მეცნიერულად მნიშვნელოვანი თეორიული პრობლემების გადაწყვეტასაც.

წარმოებასთან მჭიდრო კავშირის მეოხებით მეცნიერებს ფართო შესაძლებლობა ეძლევათ თვალყური ადევნონ მუშა-ნოვატორთა საქმიანობას, შეისწავლონ მოწინავე ადამიანთა მუშაობის მეთოდები, თავიანთი აუცილებელი წვლილი შეიტანონ აღნიშნული მეთოდების სრულყოფის საქმეში, უზრუნველყონ მათი განზოგადება. ახლა იშვიათი როდია ისეთი ფაქტები, როდესაც ტექნიკის მეცნიერებათა დარგის ბევრი წარმომადგენებლი მუშა-გამომგონებლებთან და რაციონალიზატორებთან ხელისწელ ჩაჭიდებული წყვეტს ტექნიკური პროგრესის თვალსაზრისით მნიშვნელოვან პრობლემას.

მეცნიერებისა და წარმოების მუშაკთა ურთიერთდახმარების და მეგობრული თანამშრომლობის განმტკიცებისათვის ფრიად დიდი მნიშვნელობა აქვს მათ შესვედრებს და ამხანაგურ პაექრობას სამეცნიერო-საწარმოო კონფერენციებზე. ამ მხრივ უდაოდ კარგ საქმეს აკეთებს მანქანათმშენებლთა საკავშირო საზოგადოების საქართველოს რესპუბლიკური განყოფილება, რომლის თაოსნობით ასეთი კონფერენციები უკვე მოეწყო თბილისა და ქუთაისში.

მხედველობაში მისაღებია, რომ მანქანათმშენებლთა აღნიშნულ სამეცნიერო-საწარმოო კონფერენციებზე საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ლითონისა და სამთო საქმის, აგრეთვე ქიმიის ინსტიტუტების მეცნიერ მუშაკებთან, ს. მ. კიროვის სახელობის პოლიტექნიკური ინსტიტუტის პროფესორ-მასწავლებლებთან ერთად, მონაწილეობდნენ და მოხსენებით გამოვიდნენ ინჟინერ-ტექნიკოსები და ჩვენს რესპუბლიკაში ფართოდ ცნობილი ნოვატორები — გამომგონებლები და რაციონალიზატორები.

თეორიისა და პრაქტიკის მუშაკთა შემოქმედებითი თანამშრომლობა როგორც საბჭოთა მეცნიერ-


ბის, ისე სოციალისტური სახალხო მეურნეობის განვათარების უდიდესი საშუალებაა. მეცნიერების წყლი, ცოტად თუ ბევრად მნიშვნელოვანი, მრნაპოვარი ჩვენში სამრეწველო და სასოფლო-სამეურნეო წარმოების საჭიროების შესაბამისად, მის მოწყობილობათა და მატერიალურ შესაძლებლობათა ბაზაზე უნდა შეიქმნას, გამოიცადოს და დაინერგოს. ძალზე საჭიროა, რომ ეს აზრი კარგად ჰქონდეთ შეგნებული მეცნიერების მუშაკებს და წარმოების ხელმძღვანელებს.

მეცნიერებისა და წარმოების მუშაკთა დაახლოების, მათი შემოქმედებითი თანამეგობრობის განმტკიცებისა და გაფართოებისათვის სასარგებლო მნიშვნელობა აქვს არა მარტო სამეცნიერო-საწარმოო კონფერენციებს, რომელთა მოწყობის ორგანიზაციის ხელი მოჰყიდა მანქანათმშენებლთა საკავშირო საზოგადოების საქართველოს რესპუბლიკურმა განყოფილებამ, არამედ მეცნიერ მუშაკების მიერ საწარმოო კოლექტურების წინაშე წაკითხულ ლექცია-მოხსენებებსაც. მისასალმებელია, რომ ასეთ პრაქტიკას ფართოდ იყენებს ბევრი სამეცნიერო დაწესებულება, მაგრამ არ შეიძლება მოვიწონოთ ის, თუ რომელიმე სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტი, ან უმაღლესი სკოლას კათედრა მარტო-ოდნენ ლექცია-მოხსენებების წაკითხვით დაკმაყოფილდება. საჭიროა ვიცოდეთ, რომ წარმოების მუშაკთა შორის ლექციური პროგაგნიდის გაშლა, ისევე როგორც სამეცნიერო-საწარმოო კონფერენციების მოწვევა, არის არა დასასრული, არამედ, პირიკით, მხოლოდ დასაწყისი მეცნიერებისა და წარმოების მუშაკთა ნამდვილი საქმიანი თანამშრომლობისა, რომელიც მეცნიერულ-ტექნიკური მნიშვნელობის მქონე ბევრი საკითხის გადაჭრისა და წარმოებაში მთელ რიგ სიახლეთა დანერგვის საწინდარი უნდა გახდეს.

ფრიად სერიოზული მნიშვნელობა აქვს იმას, რომ მეცნიერებისა და წარმოების მუშაკთა შემოქმედებითი თანამშრომლობის სასარგებლო გამოცდილება არა მარტო ფართოდ აისახოს პრესაში, არამედ ამ თემაზე დაიწეროს და გამოიცეს სპეციალური ვრცელი ნარკვევებიც. გამომცემლობამ — „ტექნიკა და შრომა“ უკვე მოკიდა ხელი ამ საქმეს.


ამოცანა ისაა, რომ ყოველი ლონისძიებით განვამტკიცოთ და გავაფართოოთ შემოქმედებითი თანამშრომლობა, შრომითი თანამეგობრობა მეცნიერებისა და წარმოების მუშაკთა შორის. ეს დაეხმარება ჩვენს სწავლულებს ახალი მნიშვნელოვანი წარმატებების მოპოვებაში და ხელს შეუწყობს იმას, რომ საბჭოთა მეცნიერების მთელი შესაძლებლობა გამოვიყენოთ მეცნიერების ბუთწლიანი გეგმის ვადამდე შესრულებისათვის.


ეროვნული  
განვითარება



ჩეენი ქვეყნის მძიმე მრეწველობის წაშევან საწარმოთა შორისაა ი. ბ. სტალინის სახელობის ამიერკავკასიის მეცნალურგიული კომბინატი, რომელიც სახალხო მეცნალურობის სხვადასხვა დარგისათვის მაღალაზრისხოვანი ფოლადის წარადმის უზევებს.

ქვეეთთ მოაცემობულ სურათებშე ასახულია მეცნალურგიული კომბინატის ცალკეული სამუშაოების ზედები.





Շղոլուածոն և սահմանական սամվեռն



# სამინდის მოსავლიანობის ზრდის საქმეში ერთ-ერთი მნიშვნელოვანი საკითხია სიმინდის თესლის დაყალიბება.

## ს. ვაჩეიშვილი

სიმინდის მოსავლიანობის ზრდის საქმეში ერთ-ერთი მნიშვნელოვანი საკითხია სიმინდის თესლის დაყალიბება.

დაყალიბება სიმინდის თესლის ზომისა და ფორმის მიხედვით დახარისხებაა, რაც სათესი მანქანების სათანადოდ რეგულებისას საშუალებას იძლევა საჭირო რაოდენობის მარცვალი ჩავთესოთ თითოეულ ბუღნაში. ასეთი ხერხით თესლის დროს შესაძლებელია თავიდან ავიცილოთ ისეთი შრომატევადი სამუშაოების ჩატარება, როგორიცაა სიმინდის ნათესების გამოხშირვა. გარდა ამისა საგრძნობია თესლის ეკონომიაც.

სიმინდის თესლის დაყალიბებამდე უნდა ჩატარდეს თესლის მომზადების წინასწარი სამუშაოები: ტაროების შერჩევა, მათვის თავების (ბოლოების) წაჭრა-წამტკრევა, ხელით ან მანქანებით დაფშვნა, გაწმენდა და სხვ.

ტაროების დამხარისხებელი მანქანები არ არსებობს, ამიტომ ისინი ხელით უნდა გადაარჩიონ გამოცდილმა და მცოდნე მეთესლებმა. მარცვალი მაღალი აღმოცენებითი უნარიანობის და არა ნაკლებ მეორე კლასისა უნდა იყოს.

ყველაზე შრომატევადია ტაროებზე თავების წამტკრევა-წაჭრა. თუ გავითვალისწინებთ, რომ თითო ტაროდან დაახლოებით 80-100 გრ სუფთა თესლს მივიღებთ, მაშინ ყოველი 100 კგ თესლის დასამზადებლად საჭირო იქნება 2000-2600 ტაროს თავის გადამტკრევა. აღნიშნული ოპერაციის ასეთი რაოდენობით ჩატარება ფრიად შრომატევადია და ამ საქმეში უბრალო მარტივი მექანიზაციაც კი უაღრესად სასარგებლოა.


ტაროების თავების მექანიზებული წესით წაჭრისათვის სიმფეროპოლის მტს-ის მთავარი ინჟინრის კარმაზინის წინადადებით რეკომენდებულია უბრალო მარტივი ხელსაწყო „დანა-სეკატორი“, რომელიც ძალზე ააღვილებს ტაროების თავების წაჭრაზე აღამიანის შრომას და ზრდის მწარმოებლობას.

## მ. გუგუშვილი

დანა-სეკატორი (ნახ. 1) დამაგრებულია ხის დაფაზე, რომლის სიგრძე 600, სიგანე — 200 და სისქე — 40 მმ-ია. ამავე დაფაზე დამაგრებულია ფოლადის ფირფიტა, რომლის სიგრძე შეადგენს 300, სიმაღლე — 150 და სისქე — 5 მმ-ს. ფირფიტის ცენტრში, დაფიდან 133 მმ-ს დაცილებით, გაბურღულია 65 მმ-იანი ნახვრეტი, ფირფიტის მარჯვენა მხარეზე სახსრულად მიმაგრებულია დანა, რომელიც მზადდება გუთნის სახნისისაგან და მისი სიგრძე სახელურიანად შეადგენს 450 მმ-ს. ეს დანა-სეკატორი იმდენად მარტივია, რომ მისი დამზადება შეიძლება კოლმეურნეობის სამჭედლოშიც ქი.

დანა-სეკატორით ტაროების თავების წაჭრა ხდება შემდეგნაირად: მუშა ტაროს იღებს მარცხენა ხელში, დებს ფოლადის ფირფიტის ნახვრეტში და შემდეგ მარჯვენა ხელის სწრაფი და მკვეთრი დაწოლით უშვებს დანას, რის შემდეგ თავზაჭრილი ტაროები გადადის სიმინდის საფშვნელ მანქანაში.


ტაროების თავების წასაჭრელად არსებობს სხვა სახის მანქანებიც. ასეთია ჩისტენსის მანქანატრაქტორთა სადგურის სახელოსნოს გამგის იუდინის წინადადებით დამზადებული ჩარხი, რომელიც კონსტრუქციით მარტივია. მას აქვს მაგიდის ფორმა (ნახ. 2), რომლის სიმაღლე 800, სიგრძე — 700 და სიგანე — 500 მმ-ია. მისი ჩარხი დამზადებულია  $45 \times 45$  ზომის კუთხოვანი რკინისაგან. მაგიდაზე დაყენებულია 300 მმ ღიამეტრის მრგვალი ხერხი და ყუთი ტაროებისათვის. ამძრავად გამოყენებულია 1 კილოვატი სიმძლავრის ელექტრო-



ნახ. 1. დანა-სეკატორი

ძრავა, რომელიც ამოძრავებს ხერს 2500 ტრუნით წუთში. ასეთი ჩარხის მწარმოებლობა უდრის 500-600 კგ ტაროს საათში.

უკანასკნელ დროს ტაროების თავის წაჭრელად აგრეთვე იყენებენ აგრეგატს, რომელიც შედ-



ნახ. 2. სიმინდის ტაროების მოლოდების წაჭრელი ჩარხი.

გება მრგვალი ხერხისა და სიმინდის საფუზველისაგან. ამ აგრეგატზე ხდება როგორც ტაროების თავების წაჭრა, ისე სიმინდის დაფუზვა.

დაფუზვას ჩვეულებრივ აწარმოებენ MKP-0,25 მარკის მანქანით. იმ შემთხვევაში, თუ მეურნეობაში ასეთი მანქანები არაა, შეიძლება გამოყენებულ იქნეს მარცვლეულის კომბაინი — C-4, რომელიც მნიშვნელოვნად ზრდის მწარმოებლობას და აჩქარებს თესლის მომზადების პროცესს. კომბაინის გადაკეთება ხდება შემდეგნაირად: მას უნდა მოეხსნას ხედერი და მიმღები ბიტერი, სალეჭა აპარატზე ტაროების მისაწოდებლად მზადდება მაგიდა, დოლი თავის ლილვით გამოღებული უნდა იქნეს სალეჭიდან, შემობრუნდეს 180 გრადუსით და ისე დავაყენოთ. ეს საჭიროა იმისათვის, რომ შოლტებმა იმუშაოს გამოხეხვაზე. დოლი უნდა მოძრაობდეს 500-600 ბრუნით წუთში, დეკას თამასებსა და შოლტებს შორის ლრეჭო შესავალ ნაწილში იქნება 45-50, ხოლო გასავალ ნაწილში — 20-25 მმ. ასეთი ღრეჭოების მისაღებად უნდა მოიხსნას დეკას სარეგულებელი მექანიზმის ზამბარა. კომბაინებით სიმინდის დაფუზვისას ხდება აგრეთვე მისი გაწმენდა, რისთვისაც საჭიროა სიმინდის ზომების მიხედვით დავაყენოთ უალუზისებრი ცხავები (გადაკე-

თებული კომბაინის მწარმოებლობა სიმინდის დაფუზვისას აღწევს 2-2,5 ტონას საათში).

ასეთი მოსამზადებელი ოპერაციების შემდეგ საჭიროა ჩავატაროთ სიმინდის დაყალიბება ფრაქციების მიხედვით.


სიმინდის თესლის დაყალიბებისათვის საჭირო სპეციალური მანქანა-დანადგარების შექმნამდე გამოყენებული უნდა იქნეს რთული მარცვალსაწმენდი დასახარისხებელი ისეთი მანქანები, როგორიცაა OCM-3,0, OCM-3y, OC-3,0, OC-1,0, და OB-10, რომლებიც სიმინდის თესლის გაწმენდას, დახარისხებასა და დაყალიბებას ასრულებს თესლის სამჯერადი გატარებით.

პირველი გატარებისას სათესლე მასალას მოცილდება მინარევები და აგრეთვე მეტად წვრილი, მსუბუქი და ძლიერ მსხვილი თესლები. შემდგომი ორი გატარება უზრუნველყოფს სათესლე მასალის დაყოფას ოთხ ფრაქციად, რომლებიც განსხვავდება სიგანისა და სისქის მიხედვით.

სიმინდის თესლის დაყალიბებისათვის თითოეული ზემოთ დასახელებული მანქანა აღჭურვილი უნდა იყოს საჭირო ცხავების შესაბამისი კომპლექტით, რომელთაგან ნაწილი ცხავებისა მოყვება მანქანებს, ნაწილი კი მზადდება ქარხნებში და ეგზავნება სოფლმომარაგების ორგანოებს სიმინდის თესლის საყალიბო ცხავების სრული დაკომპლექტებისათვის.

სიმინდის თესლის დაყალიბებისათვის საქართველოში გავრცელებულია OC-1,0, OC-3,0 და OCM-3y მარკის მანქანები. OC-1,0 მარკის მანქანზე თესლის დაყალიბების პროცესი მოცემულია მე-3 ნახ-ზე.

სათესი მასალის პირველი გატარებისას მუშაობს ასპირატორი, ცხავები და ტრიერი. ამ ღროს მანქანზე დაყენებულია: მრგვალნახვრეტებიანი A (Φ 10 მმ), B (Φ 7 მმ) და მოგრძონახვრეტები-



ნახ. 3. სიმინდის თესლის დაყალიბების სქემა OC-1,0 მარკის მანქანზე.

ანი B (3,5 ან 4 მმ) ცხავები. ამ შემთხვევაში ტრიერიდან ვლებულობთ საშუალედო მასალას მეორედ გატარებისათვის.

სათესლე მასალის მეორე გატარებისას დაყენებულია: მოგრძონახვრეტებიანი A (6,3 მმ) და B (5 მმ) და მრგვალნახვრეტებიანი B (Φ 8 (9) მმ) ცხავები. ამ დროს ტრიერი გამორთულია. ვლებულობთ ორ სათესლე (№1 და № 2) ფრაქციას და B ცხავის ნახვრეტებში გასულ მასალას, რომელსაც ვაყენებთ მესამედ გატარებისათვის.


მესამე გატარებისას დაყენებულია: A (Φ 10 მმ), B (Φ 7 მმ) და მოგრძონახვრეტებიანი B (5 მმ) ცხავები. აქ ვლებულობთ ისევ ორ სათესლე (№ 3 და № 4) ფრაქციას. ტრიერი გამორთულია.

OCM-3y მარკის მანქანით სიმინდის დაყალიბების სქემა ნაჩვენებია მე-4 ნახ-ზე. ასეთივე სქემით მუშაობს OCM-3,0 მარკის მანქანაც.

პირველი გატარების დროს მუშაობს ასპირატორი, ცხავები და ტრიერი (8,5). დაყენებულია მრგვალნახვრეტებიანი A<sub>1</sub> (Φ 16 მმ), A<sub>2</sub> (Φ 10 მმ) და B (Φ 7 მმ); მოგრძონახვრეტებიანი B<sub>1</sub> (6,3 მმ), Γ (3,5 ან 4 მმ) ცხავები, ხოლო B<sub>2</sub> ცხავი ყრუა. ტრიერიდან ჩამოსული მასალა მიღის მეორე გატარებაზე ფრაქციების მისაღებად.

მეორე გატარების დროს დაყენებულია მრგვალნახვრეტებიანი A<sub>2</sub> (Φ 10 მმ), B (Φ 8(9) მმ) და მოგრძონახვრეტებიანი B<sub>1</sub> (5 მმ), Γ (3,5 ან 4 მმ)

ცხავები, ხოლო B<sub>2</sub> ცხავი ყრუა. ტრიერი და ასპირატორი გამოთიშულია. ვლებულობთ ორ სათესლე (№ 1 და № 2) ფრაქციას და მესამედ გატარებები შუალედ მასალას, რომელიც B<sub>1</sub> ცხავის ზედაპირიდან ჩამოცურდა.



ნახ. 5. სიმინდის თესლის დაყალიბების სქემა OCM-3,0 მანქანზე.

მესამე გატარებისას იცვლება მხოლოდ B<sub>1</sub> ცხავი. მისი მოგრძონახვრეტის სიგანე ამ შემთხვევაში უნდა იყოს 6,3 მმ. ასპირატორი და ტრიერი უქაც გამორთულია, ვლებულობთ ორ სათესლე (№ 3 და № 4) ფრაქციას.


OC-3,0 მარკის მანქანით სიმინდის დაყალიბების სქემა მოცემულია მე-5 ნახ-ზე.

პირველი გატარების დროს მუშაობს ასპირატორი, ცხავები და ტრიერი (8,5); დაყენებულია მრგვალნახვრეტებიანი A<sub>1</sub> (Φ 16 მმ), A<sub>2</sub> (Φ 10 მმ), Γ (Φ 7 მმ); მოგრძონახვრეტებიანი B (6,3 მმ) და B (3,5 ან 4 მმ) ცხავები. სათესლე მასალა იწმინდება, ხოლო ტრიერიდან ჩამოსული მიღის მეორე გატარებაზე ფრაქციების მისაღებად.

მეორე გატარებისას დაყენებულია მრგვალნახვრეტებიანი A<sub>1</sub> (Φ 16 მმ), A<sub>2</sub> (Φ 10 მმ), B (Φ 8 (9) მმ) და Γ (Φ 12 მმ) ცხავები.

Б ცხავს 5 მმ სიგანის ნახვრეტები. ტრიერი და ასპირატორი გამოთიშულია. ვლებულობთ ორ სათესლე (№ 1 და № 2) ფრაქციას და შუალედ მასალას მესამე გატარებისათვის, რომელიც ჩამოცურდება B ცხავის ზედაპირიდან.

მესამე გატარებისას უნდა დავაყენოთ B ცხავი, რომლის მოგრძონახვრეტის განი 6,3 მმ-ია. დანარჩენი ცხავები არ იცვლება. ვლებულობთ ისევ ორ სათესლე (№ 3 და № 4) ფრაქციას.



ნახ. 4. სიმინდის თესლის დაყალიბების სქემა OCM-3y მარკის მანქანზე.



აღსანიშნავია, რომ სიმინდის დაყალიბებისათვის საბჭოთა კავშირის სხვადასხვა რაიონებში რეკომენდებული ცხავების კომპლექტი გამოცდილი არაა სიმინდის ისეთ ადგილობრივ ჯიშებზე, როგორიცაა „აბაშის ყვითელი“ და „აგამეთის თეთრი“. დამახასიათებელია, რომ აღნიშნული ჯიშის სიმინდის თესლს შედარებით მეტი სიგანე (8-14 მმ) აქვს. ამიტომ იმ რაიონებში, საღაც ეს ჯიშია გავრცელებული, მანქანის მრგვალნახვრეტებიანი ცხავების შერჩევისას საჭიროა ზოგი კორექტივების შეტანა.

ოთხ ფრაქციად დაყალიბებული თესლი საშუალებას გვაძლევს ზუსტად შევარჩიოთ გამომთესი აპარატის დისკოები.

დისკოები, რომლებშიც 24 კომპლექტია, განსხვავდება ერთმანეთისაგან სისქით, უჯრედების დიამეტრითა და რაოდენობით. 5 მმ-იანი სისქის დისკოები განკუთვნილია სიმინდის ბრტყელი თესლის გამოსათესად (ფრაქციები № 1 და № 2), 6

მმ-იანი სისქის დისკოები — მრგვალურ ფლექსურ გამოსათესად (ფრაქციები № 3 და № 4). უმცირეს ტო დისკოები უნდა გამოვიყენოთ მაშინ, როდესაც მოცემულ თესლთა ზომები და ფორმა ისეთია, რომ ნახვრეტებიანი დისკოები მათი საჭირო რაოდენობით გამოთესებს ვერ უზრუნველყოფს. ისინი უნდა დაიხვრიტოს ადგილზე მოცემულ სათესლე მასალის ფორმისა და ზომების მიხედვით.

დისკოები ისე უნდა შეირჩეს, რომ მისმა თითოეულმა უჯრედმა თითო თესლი გაატაროს. ერთ ბუღნაში ორ-ორი თესლის ჩასათესად უნდა გამოვიყენოთ 8-უჯრედებიანი, ხოლო ბუღნაში სამ-სამი თესლის ჩასათესად — 12 ნახვრეტიანი დისკოები.

დისკოების პრაქტიკული შერჩევის წესი მოცემულია სიმინდის კვალრატულ-ბუღლობრივი სათესი მანქანის CKGK-6B სახელმძღვანელო ინსტრუქციაში.

## მუდმივმოქმედი ლექტორიუმი — „მეცნიერებისა და ტექნიკის ახალი ამბები“ ახალი ამბები

კომიკავნირის თბილისის კომიტეტისა და საქართველოს პოლიტიკური და მეცნიერული ცოდნის გამავრცელებელი საზოგადოების თბილისის საქალაქო განყოფილების ინიციატივით ლ. კეცხოველის სახელობის პოლიტიკური განათლების სახლთან ჩამოყალიბდა მუდმივმოქმედი ლექტორიუმი — „მეცნიერებისა და ტექნიკის ახალი ამბები“ დედაქალაქის ახალგაზრდობისათვის. ლექტორიუმში უკვე მოსმენილია რამდენიმე ლექცია. მათ შორის პროფ. ა. გულისაშვილისა — „ტექნიკური პროგრესი საბჭოთა კავშირში პარტიის XX ყრილობის გადაწყვეტილებათა შუქზე“; საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტის ვ. მამაშვილისოვისა — „ატომური ენერგია ადამიანის სამსახურში“; დოც. ტ. ვეფხვაძისა — ტელეხედვის შესახებ და სხვ.

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ლექციებს თან ახლდა თემისადმი მიძღვნილი სამეცნიერო-პოპულარული ხასიათის კინოფილმების დემონსტრირება. ამ დღეებში მუდმივმოქმედ ლექტორიუმში ლექცია წაიკითხა საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსმა რ. დგალმა თემაზე — „უახლესა მიღწევანი ავტომობილმშენებლობაში“. ახლო მომავალში აქ განსაზღვრულია ჩატარდეს ლექციები თემაზე: „ელექტრობა ყოფაცხოვრებაში“, „მიღწევები მანქანათმშენებლობაში“, „მსხვილბლოკიანი რკინაბეტონის რშენებლობა“ და სხვ.

მუდმივმოქმედი ლექტორიუმი ახალგაზრდობაში ტექნიკური ცოდნის გავრცელების კარგი საშუალებაა.

ა. ჯოლია

თ. შვერიძე

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ენერგეტიკის ინსტიტუტის ინფორმაცია

საქართველო „თეთრი ნახშირათ“ მდიდარი ქვეყნაა. რესპუბლიკის მთანი რელიეფი და უხვი ატმოსფერული ნალექები წყლის ენერგიის დიდ მარაგს ქმნის. მდინარეების სიმძლავრე 11,116 მალიონ კილოვატს, ხოლო ენერგიის თეორიული მარაგი კი 97,4 მილიონ კილოვატსათს შეადგენს. ეს ადგენატება იტალიის, ინგლისისა და გერმანიის ენერგეტიკულ რესურსებს — ერთად აღებულს. რესპუბლიკის ტერიტორიის თითოეულ კვადრატულ კილომეტრზე საშუალოდ 1,28 მილიონი კილოვატსათი მოდის. ამ მაჩვენებლის მახვილი საქართველო ელექტროენერგიის გამომუშავების შესაძლებლობის მხრივ ერთ-ერთ პირველ ადგილზეა მსოფლიოში.

ჰიდრორესურსების ამ უდიდესი მარაგის პრაქტიკული გამოყენება საქართველოში მხოლოდ საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ დაიწყო. ხუთწლედების მანძილზე აგებულ იქნა მძლავრი ელექტროსადგურები: ზაჰესი, რიონპესი, აწჰესი, სოხუმპესი, ხრამპესი, შაორპესი და სხვები. მაუხელავად ამისა, რესპუბლიკაში არსებული წყლის ენერგიის თეორიული მარაგის მხოლოდ უმნიშვნელო ნაწილია (ერთი-ორი პროცენტი) ათვისებული. ელექტროსადგურების მშენებლობის ტემპები გაცილებით ჩამორჩება სახალხო მეურნეობის ძირითადი დარღვების ზრდას. ამ მდგრამართობის გამოსასწორებლად ამჟამად მნიშვნელოვანი ღონისძიებები ხორციელდება. საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XX ყრილობის დირექტივებში სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის განვითარების 1956-1960 წლების მეექვეს ხუთწლიანი გეგმის შესახებ გათვალისწინებულია, რომ ხუთწლედის მანძილზე საქართველოში ელექტროენერგიის გამომუშავება გადიდეს დაახლოებით 1,8-ჯერ. ამ მიზნით ამოქმედდება ლაჯანურის, ხრამის № 2, ტყიბულის, გუმათის ჰიდროელექტროსადგურები, დაიწყება თერგზე დარიალის ჰიდროელექტროსადგურისა და რიონზე ახალი ჰიდროელექტროსადგურის მშენებლობა.

მომიყვანოთ ზოგიერთი მონაცემები ამ ჰიდროელექტროსადგურების შესახებ.

რიონის ჰიდროელექტროსადგურების კასკადი. მტკვრას შემდეგ რიონი ყველაზე დიდი მდინარეა საქართველოში. ის შეიცავს უდიდეს ჰიდროენერგეტიკულ რესურსებს, რომელთა გამოყენება დასახუ-

ლია ერთიანი პერსპექტიული გეგმით. უკვე აგებულია რიონის ჰიდროელექტროსადგურების კასკადის პილშვი — რაონპესი. ამჟამად მიმდინარეობს გუმათის ჰიდროელექტროსადგურების მშენებლობა. მეექვეს ხუთწლედში დაიწყება კიდევ ერთი ახალი ჰიდროცენტრალის აგება.

გუმათის ჰიდროენერგიანი ორსაფეხურიანია. მასში შევა: გუმათქესი № 1, რომელიც კაშხალთან დანადგარს წარმოადგენს, და გუმათქესი № 2, რომელიც დერივაციული სისტემით ხორციელდება. გუმათქეს № 1-თან ბეტონის კაშხალი შექმნის სეზონური რეგულებისათვის გათვალისწინებულ 40 მილიონად კუბური მეტრი მოცულობის წყალსაცავს. აქვე აიგება საგენერატორო შენობა, რომელშიც დაიღვება 4 მძლავრი აგრეგატი. ჰიდროენერგიანის შემაღლებლობაში იქნება აგრეთვე წყალსაგდები ნაგებობათა და წყალმიმღები, რომელიც წყალს მიაწვდის გუმათქეს № 2-ს. ამ მიზნით მდინარე რიონის მარცხენა სანაპიროზე გაყვანილია რამდენიმე კილომეტრი ღია სადერივაციო არხი. აქ უკვე აგებულია გუმათქესი № 2, რომელსაც არ აქვს საკუთარი წყალსაცავი და მისი მუშაობა ძირითადად დამოკიდებული იქნება გუმათქეს № 1-ის მუშაობაზე. გუმათქეს № 2-ის საგენერატორო შენობაში იქნება სამი მძლავრი ტურბინა, რომლებიც გამოიყენება 200 კუბურ მეტრზე მეტ წყალს. გადამუშავებული წყალი გამყვანი არხით გადაშვებული იქნება რიონში.

გუმათის ჰიდროელექტროსადგურის საერთო სიმძლავრე და გამომუშავება მნიშვნელოვნად აღემატება რიონის ჰიდროელექტროსადგურის სიმძლავრესა და ენერგიის წლიურ გამომუშავებას. აღსანიშნავია, რომ ლაჯანურის ჰიდროელექტროსადგურის მშენებლობასთან დაკავშირებით ცხენისწყალი ნაწილობრივ გადაგდიბული იქნება რიონის აუზში. ეს ღონისძიება მნიშვნელოვნად გაზრდის რიონის ჰიდროელექტროსადგურების კასკადზე ენერგიის გამომუშავებას და აამაღლებს მათ ეფექტიანობას.

გასულ წელს გუმათის ჰიდროელექტროსადგურების მშენებლებმა დიდი გამარჯვება მოიპოვეს: მათ საექსპლოატაციოდ გადასცეს გუმათქეს № 2-ის ორი აგრეგატი.

მეექვეს ხუთწლიანი გეგმის მიხედვით რიონზე დაწყებული უნდა იქნეს ერთი ახალი ჰიდროელექტროსადგურის მშენებლობა.

ტროსადგურის მშენებლობა. უკვე შედგენილია ორი მძღვარი ჰიდროელექტროსადგურის პროექტი. მათი დეტალური დამუშავება ამჟამად მიმდინარეობს. პირველი ოთხჯერ უფრო მძღვარი იქნება, ვიდრე რიონჭესია, და გამოიმუშავებს დაახლოებით იმდენ ელექტროენერგიას, რამდენსაც ამჟამად გვაძლევს რესპუბლიკის ყველა ჰიდროელექტროსადგური ერთად. მეორე ჰიდროელექტროსადგურის საპროექტო სიმძლავრე იქნება თაოქმის 2,5-ჯერ მეტი, ვიდრე ხრამჭესისა, ხოლო ენერგიის წლიური გამომუშავება 1,5-ჯერ გადაამტებს ამჟამად რესპუბლიკაში არსებულ ყველა ჰიდროელექტროსადგურზე გამომუშავებულ ელექტროენერგიას. მიმდინარე ხუთწლედში დაიწყება ერთ-ერთი მათგანის მშენებლობა.

ლაჯანურის ჰიდროელექტროსადგური. ლაჯანურის ჰიდროელექტროსადგურის პროექტით გათვალისწინებულია მდ. ცხენისწყლის გადაგდება ლაჯანურში, აქედან კი — რიონში. ამ მიზნით ცხენისწყალზე, ცაგერის მახლობლად, აიგება ბეტონის დასაშლელი კაშხალი. ცხენისწყალი შეიცვლის მიმართულებას და ხელოვნური ნაგებობათა კომპლექსით (არხებით და გვირაბებით) შეუერთდება მდ. ლაჯანურს. ლაჯანურის სხეობაში აიგება სსრ კავშირში პირველი თაღოვანი კაშხალი, რომლის სიმაღლე რამდენიმე ათეულ მეტრს მიაღწევს. იგი შეტბორავს მდინარეს და შექმნის წყალსაცავს, რომლის ტევადობა 25 მილიონი კუბური მეტრი იქნება.

ლაჯანურის თაღოვანი კაშხალის აგება მეტად


საპასუხისმგებლო ამოცანაა, თუ გაფითავალისწინებთ, რომ ასეთი ტიპის კაშხალების მშენებლობა სსრ კავშირში ჯერჯერობით არ განხორციელებულა. თაღოვანი კაშხალიდან რამდენიმე კილომეტრი სიგრძის დაწმევითი გვირაბით წყალი გაემართება საგენერატორო შენობისაკენ, რომელშიც 3 აგრეგატი დაიღვება. ლაჯანურის ჰიდროელექტროსადგურის აგრეგატები გამოიყენებს 100 მეტრზე მეტ წნევას და თითქმის ისეთივე სიმძლავრეს განვითარებს, რამდენსაც იძლევა ხრამის ჰიდროელექტროსადგური.

ლაჯანურის ჰიდროელექტროსადგურის მშენებლობაზე შესრულდება დიდი რაოდენობის მაწისა და კლიდის, ბეტონისა და რკინაბეტონის სამუშაოები. ამსათვის მშენებლობა აღჭურვილია თანამედროვე ტექნიკით: ექსკავატორებით, ბულდოზერებით, ავტოვიომცლელებით, ამწევებით და სხვა სამშენებლო მანქანებით.

ამჟამად ლაჯანურის ჰიდროელექტროსადგურის მშენებლობაზე ძირითადად ჰიდროტექნიკური გვირაბების გაყვანა მიმდინარეობს. განსაკუთრებით დიდი მუშაობა გაჩაღებული ცაგერ-ორბელის გვირაბის მშენებლობაზე, რომელიც მიმდინარე წელს უნდა დამთავრდეს.

გეგმის თანახმად ლაჯანურის ჰიდროელექტროსადგურის მშენებლობა მეექვსე ხუთწლედის ბოლოსათვის დამთავრდება.

ტყიბულის ჰიდროელექტროსადგური რესპუბლიკაში ერთ-ერთი მძღვარი ჰიდროელექტროცენტრა-



საქართველოს უმნიშვნელოვანების ჰიდროელექტროსადგურები

ლია, რომელიც გასული წლის დასასრულს შეემატა საქართველოს ენერგოსისტემას.

ტყიბულქესი შაორი-ტყიბულის ჰიდროელექტროსადგურების კასკადის მეორე საფეხურია. ამ კასკადის პირველი ობიექტია შაორის ჰიდროელექტროსადგური, რომლის პირველი რიგის აგება რამდენიმე წელია დამთავრდა, ხოლო მეორე რიგის მშენებლობა ამჟამად მიმდინარეობს. აღსანიშნავია, რომ შაორის ჰიდროელექტროსადგური თავისი წნევით ყველაზე დიდია სსრ კაშირში ამჟამად არსებულ ჰიდროელექტროსადგურებს შორის.

შაორქესის მიერ გადამუშავებული წყალი მდ. ტყიბულას ერთვის და საგრძნობლად ზრდის მასში წყლის რაოდენობას. ტყიბულის რაიონში, ახალსოფელთან, ეს მდინარე იგარება და გამოდის 7-8 კმ-ის გავლის შემდეგ ძევრის ხეობაში უკვე ძევრულას სახელწილებით. იმ ადგილას, სადაც ტყიბულა მიწაში იყარება, აგებულაა კილომეტრახევარზე მეტი სიგრძისა და რამდენიმე ათეული მეტრი სიმაღლის კაშხალი. მის მიერ შექმნილი წყალსაცავის მოცულობა 60 მილიონ კუბურ მეტრზე მეტს მაღალწევს. ტყიბულის წყალსაცავა გათვალისწინებულია მდ. ტყიბულასა და შაორის წყლის სრული წლიური რეგულებისათვის. ამიტომ ენერგეტიკული თვალსაზრისით ტყიბულის ჰიდროელექტროსადგურს საქართველოს ენერგოსისტემასთვის უდიდესი მნიშვნელობა აქვს. ტყიბულის ჰიდროელექტროსადგური ძირითადად იმუშავებს შემოდგომაზამთრის პერიოდში.

წყალსაცავიდან სადერივაციო გვირაბებით და ლითონის მილსადენით წყალი 300 მეტრის სიმაღლიდან აამუშავებს ოთხ ჰიდროაგრეგატს, რომელიც საგენერატორო შენობაში დაიღდა. მისი მართვა მთლიანად აყტომატიზებული იქნება და განხორციელდება საქართველოს ენერგოსისტემის თბილისის სადისპეტჩერო პუნქტიდან.

შაორი-ტყიბულის კასკადის ჰიდროელექტროსადგურების — შაორქესისა და ტყიბულქესის საერთო სიმძლავრე დაახლოებათ 2-ჯერ მეტია რიონის ჰიდროელექტროსადგურის სიმძლავრეზე. ამ კასკადის ჰიდროელექტროსადგურების მიერ გამომუშავებული ენერგია მარეგულებელია, ამიტომ მას, ხრამის № 1 ჰიდროელექტროსადგურის შემდეგ, ბადალი არა ჰყავს რესპუბლიკაში.

ტყიბულის ჰიდროელექტროსადგური უდიდესი შენაძნია ჩვენი რესპუბლიკის ენერგეტიკული მეურნეობისათვის.

ხერამპესი № 2. ხრამის აუზი კარგი ტოპოგრაფიული და გეოლოგიური პირობებით მდინარეში წყლის რაოდენობა დიჭიულია მაგრა ამ მდინარეში წყლის რაოდენობა დიჭიულია მაგრა რამ ჰიდროტექნიკური მშენებლობისათვის ხელსაყრელი ბუნებრივი პირობები საშუალებას გვაძლევს მასზე ავაგოთ მაღალი წნევისა და დიდი სიმძლავრის ჰიდროელექტროსადგურები.

ხერამზე უკვე აგებულია და 1947 წლის დეკემბრიდან მუშაობს საქართველოს ენერგეტიკის სიამაყე — ხრამპესი № 1, რომელიც მაღალმთან პირობებში შექმნილ ჰიდროტექნიკურ ნაგებობათა შორის თამამად შეიძლება დავაყენოთ მსოფლიოს უნიკალურ ჰიდროელექტროსადგურთა გვერდით. ხრამპესი № 1 იყენებს 400 მეტრზე მეტ წყლის ვარდნას და თავისი სიმძლავრით რესპუბლიკაში ამჟამად არსებულ ყველა ჰიდროელექტროსადგურს აღემატება.

ხრამპეს № 1-დან 15 კილომეტრის დაცილებით შენდება ხრამ-ფარავნის ჰიდროელექტროსადგურების კასკადის მეორე ობიექტი — ხრამპესი № 2. ეს უკანასკნელი ხრამპეს № 1-ის მიერ გადამუშავებული წყლისა და მდ. ყარაბულახის წყლის სარჯზე იმუშავებს. ხრამის ახალი ჰიდროელექტროსადგური გამოიყენებს 300 მეტრზე მეტ წყლის ვარდნას და განავითარებს იმდენსავე სიმძლავრეს, რამდენსაც ხრამპესი № 1, ხოლო წლიურად გამოიმუშავებს თითქმის ერთნახევარჯერ მეტ ელექტროენერგიას, ვიდრე უკანასკნელი.

სკვა XX ყრილობას დირექტივების თანახმად ხრამპესმა № 2 სამრეწველო დენი უნდა მოგვცეს მიმდინარე ხუთწლედის ბოლოს. ამჟამად ხრამის ახალი ჰიდროელექტროსადგურის მშენებლობაზე მიმდინარეობს მოსამზადებელი სამუშაოები პესის ძირითად ნაგებობათა მშენებლობის დასაწყებად.

დარიალის ჰიდროელექტროსადგური საინჟინირო თვალსაზრისით მეტად ორიგინალური და ღრმად მოფიქრებული ნაგებობა იქნება.

თერგს ზემო წელში ახასიათებს მთელი რიგი თავისებურებანი, რომლებიც განსაზღვრავს ენერგეტიკული მიზნით ამ მდინარის გამოყენების უდიდეს მნიშვნელობას. სათავეში თერგის ვარდნა ყოველ კილომეტრზე დაახლოებით 10 მეტრს შეადგენს. გარდა ამისა, მდინარე საკმაოდ წყალუხვია და მისი კალაპოტი ხასიათდება ჰიდროტექნიკური მშენებლობისათვის ხელსაყრელი ტოპოგრაფიული და გეოლოგიური პირობებით.

დარიალის ჰიდროელექტროსადგური რაიონულ ცენტრ ყაზბეგის მახლობლად — დარიალის ხეობაში აშენდება. აქ მდინარე თერგი ორივე მხრიდან მომწყვდებულია კლდეთა შორის. ეს საკმაოდ მოხერხებული აღგილია გრანდიოზულ ჰიდროტექნიკურ მშენებლობათა განსახორციელებლად. გათვა-

ლისწინებულია დარიალის ხეობაში აგებულ იქნეს მიწის კაშხალი, რომლის სიმაღლე ათეული მეტრი იქნება. კაშხალი გზას გადაუღობავს მჩქეფარე და მოუსვენარ თერგს და შექმნის ყაზბეგის წყალსაცავს, რომლის მოცულობა საკმარისი იქნება მდინარე თერგის წყლის რეგულირებისათვის. სათავე ნაგებობა რამდენიმე კილომეტრი სიგრძის სადერივაციო გვირაბით შეუერთდება მიწისქვეშა საწნეო მილსადენს, რომლის ბოლოს აიგება მიწისქვეშა საგენერატორო შენობა. გარდა ამისა, აგებული იქნება აგრეთვე წყალსაშევებ ნაგებობათა მთელი სისტემა, გამათანაბრებელი კოშკი და ჰიდროსადგურის მიერ გადამუშავებული წყლის გამტარი ტრაქტი.


დარიალის ჰიდროელექტროსადგური იქნება ჩვენი რესპუბლიკის ყველაზე მძლავრი ჰიდროელექტროცენტრალი, რომელიც გამოიყენებს 700 მეტრამდე წყლის ვარდნას და ამით მიიშვენელოვნად გადააჭარბებს სსრ კავშირში დღემდე აგებულ მაღალი წნევის ჰიდროსადგურებს. საინტერესოა აღინიშნოს, რომ დარიალის ჰიდროელექტროსადგური საშუალო წყლიანობის წელიწადში გამოიმუშავებს გაცილებით მეტ ელექტროენერგიას, ვიდრე საქართველოში ამჟამად არსებული ყველა ჰიდროელექტროსადგური ერთად.

დარიალის ჰიდროელექტროსადგური ელექტროგადამცემი ხაზებით დაუკავშირდება საქართველოსა და ჩრდილოეთ კავკასიის ენერგეტიკულ სისტემებს და ამგვარად იგი ამ ორი ენერგოსისტემის გამაერთიანებელი რგოლი იქნება.

\* \* \*


ჰიდროტექნიკური მშენებლობის ისეთ დიდ გაქანებას, როგორიც ამჟამადაა, ჯერ არასოდეს ჰქონია ადგილი ჩვენს რესპუბლიკაში. საკმარისია აღინიშნოს, რომ ხუთწლედის მანძილზე უნდა აშენდეს როტულ ჰიდროტექნიკურ ნაგებობათა დიდი რაოდენობა: ორი მიწის დიდი კაშხალი, რომელთაგან ერთის სამშენებლო სიმაღლე 70 მეტრს მიაღწევს, 5 ბეტონის კაშხალი, რომელთაგან ყველაზე დიდი 75 მეტრი სიმაღლის იქნება; 40 კილომეტრამდე საერთო სიგრძის ჰიდროტექნიკური გვირაბები.

ახალი ჰიდროენერგოცენტრალების შექმნებლობის დამთავრება საშუალებას მოგვცემს ხუთწლეულის ბოლოსათვის ორჯერ და კიდევ უფრო მცუკრე გავზარდოთ რესპუბლიკის ენერგეტიკული სისტემა მის სამძლავრე და ამ სისტემაში ენერგიის გამომუშავება. ეს კი თავის მხრივ მნიშვნელოვნად დააჩქარებს ჩვენი რესპუბლიკის სახალხო მეურნეობის ყველა დარგის განუხრელ აღმავლობას.



ანუანის (ჩინეთის სახალხო რესპუბლიკა) მეტალურგიული კომპინატორისათვის ურალის მძიმე მანქანათსამშენებლო ქარხანაში დაამზადა უნივერსალური სამუშაო ჩარჩო მთლიანად სხმული დგამებით. ამ ჩარჩოზე გაიგლინება 50 მმ სისქის და 2,5 მეტრი სიგანის ფოლადის ფურცლები. უახლოეს თვეებში ურალის მანქანათშენებლები დამზადებენ ფურცლის საგლინავი დგამების კიდევ ორ ჩარჩოს.





## ცივი ნავი ხელს უწვდის ავომას

სწავლულები დიდი ხანია ცდი - ლებ 75% ენერგიისა, რომელიც მიღებული წოვარი მუშაობის შედეგად პროექტის გამოძენის ელექტრო- თეორიულად შეიძლება მიღებულ პროექტის განვითარების ახალი მე- იქნეს ნახშირისაგან. მაშასადამე, თეორიული შედეგი მინერალური ნედელეუ- გარდაქმნათა აღნიშნული ჯაჭვის შედეგი დახარვეთ. გერმა- შემოკლება ამცირებს ნახშირის ნაკლები დახარვეთ. გერმა- შემოკლება ამცირებს ნახშირის ნელმა მეცნიერმა, პროფესორმა ხარჯს, რის განხორციელებაც, ედუარდ იუსტიმ გამოაქვეყნა როგორც ჩანს, შეძლო პროფე- უდინაობა, რომ ამას შინათ მან აღ- სორმა იუსტიმ.

მოაჩინა ელექტროენერგიის მი- წვა სხვა არა არის რა, თუ არა დენს. მან მოქმედებაში უჩვენა ლების ახალი ხერხი, რომლის დროსაც ნახშირის ეკონომია 75%-ს აღწევს. საქმე ეხება ეგ- რეთ წოდებულ ცივ წვას.

ელექტროენერგიის წარმოე- ბის არსებულ პროცესებში ნახ- შირი დაწვის დროს წარმოქმნის წარმოარებით ქვაბში მოთავსებული წყალი გარ- და 75%-ს აღწევს. საქმე ეხება ეგ- რეთ წოდებულ ცივ წვას.

ელექტროენერგიის წარმოე- ბის არსებულ პროცესებში ნახ- შირი დაწვის დროს წარმოქმნის წარმოარებით ქვაბში მოთავსებული წყალი გარ- და 75%-ს აღწევს. საქმე ეხება ეგ- რეთ წოდებულ ცივ წვას.

წვა სხვა არა არის რა, თუ არა დენს. მან მოქმედებაში უჩვენა მოკლედ შერთვა, რომელიც იმ მომენტში ხდება, როცა დადე- ბითი ელექტრონებით დამუხტუ- ლი ნახშირბადის ატომები უერ- თდება ჰაერის უანგბადის ატო- მებს, რომლებსაც უარყოფითი მუხტი აქვს. ასეთი მოკლედ შერ- თვა არღვევს ატომურ ელექტრო- მუხტს, გარდაქმნის რა მას სით- დაიქმნება ორთქლად. ორთქლი ბოლ. ამის თავიდან აცილება რომ ამაუშავებს დგუშიან მანქანას ან ტურბინას, რომელსაც, თავის ელექტრული ენერგია უმაღვე მირივ, მოძრაობაში მოყავს ელექ- ადამიანის განკარგულებაში აღ- ტროენერგიის მომცემი მუდმივი მოჩნდებოდა.

ასეთი ცივი წვის განხორციე- ლება მეტად ძნელია, რადგან ნახშირი, როგორც პროფესორი იუსტიმ აღნიშნავს, ინერტულ სა- თბობს წარმოადგენს; იგი იწვის, ე. ი. იქანება, მხოლოდ მაღალი ტემპერატურების დროს.

ათეული წლის მანძილზე შეუ- ლობენ გამოძენის ელექტრო- თეორიულად შეიძლება მიღებულ პროექტის განვითარების შედეგად პროექტის განვითარების შედეგად შეძლო შექმნა სპეციალური ბატარეა საწავი არით, რომელშიც ჩეულებრი- ნელმა მეცნიერმა, პროფესორმა ხარჯს, რის განხორციელებაც, ე. ი. ტემპერატურის პირობებში შეერთებული უანგბადი და წყალ- ბილი მყისვე იძლევა ელექტრულ



ნახშირის ცივი წვა განხორციელებუ- ლია ბატარეას საშუალებით, რომელშიც ელექტროდები მოთავსებულია მწვავი ელოუმში. ნახშირისაგან შემდგარ ერთ- ერთ ელექტროდს მიეწოდება უანგბადი, ხოლო მეორეს, რომელიც ნიკელისაგან შედგება, — წყალბადი. ბატარეაში მომხ- დარი რეაქცია წარმოქმნის ელექტრო- დენს.

სა ა უ რ ჲ: მომავალ ლოკომოტივს არ ექნება ტრადიციული ქვაბი, ქვანახ- შირის ქიმიური ენერგია უშუალოდ გარ- დაიქმნება ელექტრულ ენერგიად.

შატარეიის მოდელი მეცნიერებათა აკადემიას მაინცში.

პროფესორ იუსტის ბატარეიის შესახებ ჯერ კიდევ ძალიან ცოტა რამა ცნობილი, რადგან ეს მეოთედი დღემდე საიდუმლობითა მოცული.

შატარეის სქემატურ გამოსახულებაზე, რომელიც არ იძლევა ნათელ წარმოდგენას ამ პროცესზე, საწვავი აირის როლის შესახებ, ნაჩენებია ორი ელექტროდი, რომლებიც მოთავსებულია მწვავე კალიუმის ხსნარში; უარყოფით ელექტროდს წარმოად-

გენს ფორმოვანი ნახშირის ღრუ ცილინდრი, რომლესკენ ფუფულული გაღის უანგბადი; პროცესზე კერძოს დამზადებულ დადგით ელექტროდს აწვდიან წყაბადს. დენი მიღება უშუალოდ ელექტროდზე მოთავსებული ორი სარინისაგან.

(“ტექნიკა-მოლოდენი”, № 10, 1956 წ.)

## დენიკური პროგრესი ჩემოსლოვაკიის მანქანათმშენებლობაში

### ჩარხი პროგრამული მართვით

ჩემოსლოვაკიის მე-2 მანქანათსამშენებლო გამოყენაზე, რომელიც ქ. ბრნოში მოეწყო, წარმოდგენილი იყო მრავალი ლითონდასამუშავებელი ჩარხი აფრომატიზაციის მაღალი ხარისხით.

ერთ-ერთი ასეთი ჩარხისა საკონირო-სახელატი ნახევრადავტომატი SP-31, რომელსაც პროგრამული მართვა აქვს. ეს ჩარხი ძირითადად განვუთვნილია სხვადასხვა ლილვების დამუშავებისათვის.

მშენობის დროს ჩარხში დატვირთვის მრხედვით ავტომატურად იცვლება შპინდელის ბრუნთა რიცხვი და მიწოდების სრიდიდე. ამით მიღწეულია მაღალი მწარმოებლობა და კარგი ეკონომიურობა დაუშავების მთელ პროცესში.

ჭრის დიდი სიღრმის შემთხვევაში ჩარხს შეუძლია იმუშაოს ავტომატური მუშა ციკლების რამდენიმე გამეორებით.

ჩარხის მექანიზმების მუშაობის ხასიათი და თანმიმდევრობა განისაზღვრება ციკლოგრამით.


მართვის მექანიზმი შედგება ბადისანი, რომელიც განსაზღვრავს ოპერაციე-

ბის ხასიათს და პარამეტრებს, და მართვის დოლისაგან, რომლის საშუალებითაც წერბა ამა თუ იმ ოპერაციისათვის სუპორტის დაყენება.

საჭირო ციკლოგრამაზე ჩარხის მოწყობა ხდება პერფორირებული საკონირო რაციონით, რომელსაც აღენს ტექნიკური განვოფილება.

ბადეზე მოთავსებული ასეთი რუკის ხერეტილებში ისმება საკონტაქტო ხრასნები, ხოლო მართვის დოლის რგოლებში მას უყენებენ საყრდენებს იმ თანმიმდევრულით, როგორც უნდა შესრულდეს ინერციები ნალობ მოძრაობის დროს.

მიწოდების სიღრიდე არა დამოკიდებული შეინდელის ბრუნთა რიცხვზე და




ჩარხის მართვის მექანიზმი: საკონირო რუკა და მართვის დოლი.

შეიძლება მოწესრიგდეს უსაფეხუროდ.

ჩარხის მომსახურება განისაზღვრება სწრაფოქმედ მომკერებში ნამზადის დაყენებით და მართვის ლილზე თითოს დაჭრით. ამის შემდეგ ყველა ოპერაცია სრულდება ციკლოგრამის მიხედვით მუშის მონაწილეობის გარეშე.

მთელი ციკლის ავტომატურად შესრულების შემდეგ, ჩარხი ჩერდება.

ჩარხის ძირითად მოდელს აქვს ზედა საკონირო და დახრილი განივი სუბორტუბი.



საკონირო-სახარატო ნახევრადავტომატი SP-31.



# ვერცხლისწყალი

ქ. ხერძე

კავკასიის მინისტრის ნედლეულის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის მეცნიერ მუშავი

ვერცხლისწყალი ცნობილი იყო ჯერ კიდევ ჩვენს წელთაღრიცხვამდე. არსებობს ცნობები, რომ ჩინეთში ოთხი ათას წელზე მეტი ხნის წინათ იცოდნენ მისი სამკურნალო თვისებები. ვერცხლისწყალს იცნობდნენ ძველი ბერძნები და რომაელებიც, რომლებიც მას ხმარობდნენ მო-ოქვრისათვის, აგრეთვე იყენებდნენ მის გოგირდოვან შენაერთს საღებავების წარმოებაში.

ვერცხლისწყალი ფართო გამოყენებას პოულობს შუა საუკუნეების მედიცინაში, სარკისა და საღებავების წარმოებაში, აგრეთვე ამაღგამაციის გზით ოქროსა და ვერცხლის მიღებაში.

ვერცხლისწყლის წარმოების განვითარების ისტორია ძირითადად დაკავშირებულია მსოფლიოს სამი დიდი საბადოს — ალმადენის, იდრიის (ევროპა) და ხუანკაველიას (პერუ) — დამუშავების ისტორიასთან. XVIII საუკუნის შუა ხანებში ვერცხლისწყლის წარმოება განვითარებას იწყებს კალიფონიაში და იტალიაში, ხოლო XIX საუკუნის ბოლო ხანებიდან კი — რუსეთსა და მექსიკაში.

საბჭოთა კავშირის ზოგიერთ რესპუბლიკაში და მათ შორის საქართველოშიც არსებობს ვერცხლისწყლის საბადოები. ზოგი ამ საბადოს დამუშავება ფართო მასშტაბით მიმდინარეობს, სხვები კი შესწავლის პროცესშია.

ვერცხლისწყალი მეორე ჯუფის ელემენტია მენდელევის პერიოდულ სისტემაში (რიგითი ნომერი 80, ატომური წონა 200,61). მის კარგ გამსნელებად ითვლება თეზაფი, აზოტის მჟავა და ცხელი კონცენტრირებული გოგირდმჟავა.

მეცნიერების მიერ დადგენილია, რომ ვერცხლისწყალს 7 ბუნებრივი იზოტოპი აქვს. გარდა ამისა, არსებობს ხელოვნური გზით მიღებული იზოტოპებიც, რომელთაც რაღაც გამოხივების უნარი ახასიათებს.

ჩვეულებრივ პირობებში ვერცხლისწყალი ბრჭყვიალა მძიმე ლითონია, რომელიც ვერცხლისწყერია. ყველა სხვა ლითონისაგან იგი იმით განსხვავდება, რომ ნორმალური ტემპერატურის დროს თხევად მდგომარეობაშია\*, ხოლო მინუს 38,89°C-ზე კი იგი იყინება და გადადის მყარ მდგომარეობაში, რომლის დროსაც თეთრ ფერს იღებს და ადვილად იქრება დანით. ზედაპირული დაჭიმულობა მას მაღალი აქვს, რის გამო მისი წვრილი წვეობი მაღალი კუთრი წონის (13,54) მიუხედავად

\* ვერცხლისწყლის დუღილის ტემპერატურა 357,20°C.

სფერულ ფორმას იღებს და ადვილად დაგორიავს სწორ ზედაპირზე. საქმარისია ვერცხლისწყლის წვეთი რამდენიმე სანტიმეტრის სიმაღლიდან ძირს დაეცეს, რომ იგი დაიშალოს ცალკეულ წვრილ ბურთულებად, რომლებიც სხვადასხვა მიმართულებით გაიძნევა. ერთმანეთთან შეხებისას ცალკეული ბურთულები ადვილად ერთდება და ზედაპირული დაჭიმულობისა და მიზიდულობის შედეგად იღებს ერთი მთლიანი შებრტყელებული სფერო-იდის ფორმას.

ბუნებაში ვერცხლისწყლის შემცველი ბევრი მინერალი არსებობს. ყველაზე მთავარი კი მათ შორის სამაც კინოვარი (სინგური), მეტაცინაბარიტი და თვითნაბადი ვერცხლისწყალი (Hg). ამათგან პრაქტიკული მნიშვნელობა მხოლოდ კინოვარს აქვს. იგი შეიცავს 86,2% სუფთა ვერცხლისწყალს და 13,8% გოგირდს.

კინოვარი ბერძნული სახელწოდებაა და ნიშნავს „დრაკონის სისხლს“, რაც ამ მინერალმა თავისი სისხლისებრი წითელი ფერის გამო მიიღო. ეს ფერი წარმოადგენს კინოვარის ერთ-ერთ დამახასიათებელ ნიშანს, ხოლო როცა მინარევებს შეიცავს, იგი ფერს იცვლის. კინოვარის კრისტალებს რომბოდედრული ფორმები აქვს. იგი გვხვდება მთის ქანებში როგორც კრისტალების, ისე ჩანაწინ-წკლებისა და წანაცხებების სახით.

კინოვარის „თანამგზავრებად“ ითვლება ისეთი მინერალები, რომელიცაა რეალგარი და ანთიმონიტი. ხშირად მასთან ერთად გვხვდება აგრეთვე პირიტი, ხალკოპირიტი და სხვ.

კინოვარი წარმოიშვება ჰიდროთერმული ხსნარებიდან, რომელნიც დაკავშირებული არიან ვულკანურ კერებთან. სახელწოდება „ჰიდროთერმები“ გულისხმობს ცხელწყლიან ხსნარებს, რომელნიც მაგმური წარმოშობისაა ე. ი. მაგმური მდნარისაგან გამოყოფილი წყლის ორთქლისა და მისი თანმხლებელი სხვადასხვა აირისებრ ქიმიურ ნაერთთა გათხევადებით წარმოსდგება.

კინოვარი უმეტეს შემთხვევაში დედამიწის ქერქის სულ ზედა ფენებში გვხვდება. ეს გამოწვეულია იმით, რომ დედამიწის ქერქში არსებულ ღრმა ნაპრალებისა და არხების საშუალებით ჰიდროთერმული ხსნარების ზემოთ ამოღწევისა და მათი ტემპერატურის დაცვის შედეგად კინოვარს, როგორც დაბალი ტემპერატურის მინერალს, სა-



შუალება ეძლევა გამოიყოს ამ დაბალი ტემპერატურის მქონე ჰიდროთერმული ხსნარებიდან. გარდა ამისა არსებობს აზრი, რომ კინოვარის შემცველი ჰიდროთერმული ხსნარები გენერიკურად დაკავშირებულია უმთავრესად ახალგაზრდა წარმოშობის ვულკანურ კერებთან.

ვერცხლისწყლის საბადოების წარმოშობას განაპირობებს შემდეგი გეოლოგიური ფაქტორები:

1. ვერცხლისწყლის შემცველი ჰიდროთერმული ხსნარების გამტარი ღრმა და მძლავრი ტექტონიკური ნაპრალები და 2. მძლავრი დამსხვერეული ტექტონიკური ზონის დიდი რაოდენობის ფორმიანი ქანები, რომელიც საუკეთესოა მაღანთდაგროვებისათვის. ამასთან ერთად ფორმიანი ქანები გადახურული უნდა იყოს ხსნარების სუსტად გამტარი ურებით, რომელიც თავისებური ფილტრის როლს ასრულებენ.

ვერცხლისწყლის საბადოების წარმოშობის საუკეთესო ჰირობები ისახება მაშინ, როცა ქანების ტექტონიკური ღრმა ნაპრალები წარმოიქმნება ჰიდროთერმული ხსნარების მოძრაობის დაწყებასთან ერთად ან მის წინ.

მაღნიდან ვერცხლისწყლის მიღების სამი ძირითადი მეთოდი არსებობს:

1. ჰირომეტალურგიული, რომლის მიხედვით კინოვარით ბუნებრივად მდიდარი მაღნის უშუა-

ლო გამოწვა ხდება  $700-750^{\circ}\text{C}$ -ის ფრენსკიურ ტემპერატურის კინოვარი როთქლდება გამჭვირდული იუანგება ჰაერის უანგბადის მეშვეობით. ვერცხლისწყლის როთქლი გადადის სპეციალურ მაცივარში, სადაც გამოიყოფა წვეთების სახით;

2. კომბინირებული მეთოდი, როდესაც მაღანის ხელოვნურად ვამდიდრებთ და მისი დამუშავება ხდება ჰირომეტალურგიულად;

3. ჰიდრომეტალურგიული დამუშავების მეთოდი შედარებით ახალია ვერცხლისწყლის მისაღებად. ამ მეთოდით ვერცხლისწყლის მიღება ხდება კინოვარის გამოტუტვის გზით.

თანამედროვე ეპოქაში ვერცხლისწყალს გამოყენების მეტად დიდი ასპარეზი აქვს. იგი იხმარება მედიცინაში სხვადასხვა წამლების დასამზადებლად; სამხედრო საქმეში ე. წ. მგრავინავი ვერცხლისწყლის სახით, რომელიც გამოიყენება კაფულების დამზადებაში; ამაღამაცის გზით ოქროსა და ვერცხლის მისაღებად; რადიოტექნიკაში სხვადასხვა სახის რადიომილაკების დასამზადებლად; ელექტროორგანიზმი მრავალი სახის ზუსტი ხელსაწყოების დასამზადებლად; ქიმიაში სხვადასხვა რეაქტივებისათვის; საღებავების წარმოებაში, ფოტოგრაფიაში, სოფლის მეურნეობაში; ბარომეტრების, თერმომეტრების, მანომეტრების და სხვა ზუსტი ხელსაწყოების დასამზადებლად.

## პაპრატი ნერვ-კუნთოვანი დიაგნოსტიკისათვის

სამედიცინო ინსტრუმენტებისა და მოწყობილობების საკავშირო სამეცნიერო-კვლევითმა ინსტიტუტმა დაამუშავა უნივერსალური აპარატი — ელექტროიმპულსატორი, რომელიც ადამიანის ნერვ-კუნთოვანი სისტემის კვლევა სახის ელექტროდიაგნოსტიკური გამოკვლევების საშუალებას იძლევა.

ელექტროიმპულსატორის დახმარებით შეიძლება განისაზღვროს ცოცხალი ქსოვილის აღზნების ხარისხი. მასში გალვანური, ფარადული და სხვა სახის დენის გატარების შედეგად. ეს საშუალებას იძლევა მოვალეობით დაზიანებული ნერვ-კუნთოვანი ქსოვილის აღვილის ლოკალიზაციის დაგნოსტირება.

დღემდე არსებულ ანალოგიურ აპარატებთან შედარებით ელექტროიმპულსატორს აქვს უპირატესობანი, რომლებიც გარეშე ფაქტორებისაგან დამოუკიდებელი ისეთი შედეგების მიღების საშუალებას იძლევა, როგორიცაა, მაგალითად, კანის

წინაღობა და ა. შ. ამის შემწეობით იზრდება დიაგნოსტიკის სიზუსტე.

ელექტროიმპულსატორი მცირევაბარიტული აპარატია. მისი მეშვეობით შეიძლება მივიღოთ მუდმივი, აგრეთვე იმპულსური დენი. აპარატი აღჭურვილია ხმოვანი სიგნალიზატორით, რომელიც საშუალებას გვაძლევს თვალური ვალვნობის მის მუშაობას. აპარატის კომპლექტში შედის ელექტროდების ანაწყობი სხვადასხვა გამოკლევისათვის.

სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის 6. 6. ბურდენქოს სახელობის ნეიროეირურგიის ინსტიტუტში და მოსკოვის ფიზიოთერაპიის სახელმწიფო ინსტიტუტში აპარატმა გაიარა კლინიკური გამოცდა, რამაც დადგებითი შედეგები ვიზივენა.

სამედიცინო ინსტრუმენტებისა და მოწყობილობების საკავშირო სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის საცდელი ქართველი ხანა ამზადებს ელექტროიმპულსატორების პირველ პარტიას.

საქართველოს ტურისტიკის სამინისტრო

რკინაგეტონის ჟკალების გამოყენება რკინიგზებზე


ასისტენტი თ. ყიზიანი

როგორც ცნობილია, შპალი რეინიგზის ფრიად  
მნიშვნელოვანი დეტალია. ჩვენს ქვეყანაში რელ-  
სები დაგებულია ხის შპალებზე, რისთვისაც ყო-  
ველწლიურად 15-16 მილიონი კუბური მეტრი  
უმაღლესი ხარისხის ხე-ტყე იხარჯება. საბჭოთა  
კავშირის რეინიგზებზე დაგებული შპალების საერ-  
თო სიგრძე 25-ჯერ აღემატება ეკვატორის სიგ-  
რძეს.

საშპალო მეურნეობის ხარჯების რაოდენობა  
უაღრესად დიდია. ამიტომ მაღალხარისხოვანი ხე-  
ტყის ეკონომიის თვალსაზრისით XX საუკუნის  
დასაშუალებით როგორც რუსეთში, ისე საზღვარგა-  
რეთაც მეცნიერებისა და ინჟინერ-ტექნიკოსთა  
წინაშე წამოიჭრა საკითხი შპალებად ხის ნაცვლად  
უფრო გამძლე გასალის (მაგ., ლითონის, რკინბაზე-  
ტრონისა და სხვ.) გამოყენების შესახებ. ლითონის  
შპალები ჩვენში არ გამოიყენება მათი უარყოფი-  
თი მხარეების გამა: მათზე მოძრაობის დროს წარ-  
მოიშვება დიდი ხმაური, არაეკონომიურია, ელექ-  
ტროდენს ადვილად ატარებს და სხვ. ბეტონის  
შპალების გამოყენების მიზნით ჯერ კიდევ 1928-  
1930 წლებში დაიწყო საცდელი მუშაობა სამხრე-  
თის რკინიგზებზე, მაგრამ მაშინდელმა ცდებმა  
სასურველი შედეგი ვერ მოგვცა.

გზათა სამინისტროს, აგრძოვე სამრეწველო  
ნაგებობათა საკავშირო სამეცნიერო-კვლევითი ონ-  
სტრუქტურების მიერ 1948-1953 წლებში შემუშავე-  
ბულ იქნა წინასწარ დაჭიმული ბეტონის სიმებიანი  
შპალები.

როგორც ჩვენს ქვეყანაში, ისე საზღვარგარეთ  
ამჟამად გამოყენებული წინასწარ დაჭირული არმა-  
ტურიანი ბეტონის შპალები შეიძლება დაიყოს:  
ერთ მთლიან რკინაბეტონის ქელისაგან შედგენილ  
მონალითურ (ნახ. 1) და რკინაბეტონის ორსახ-  
სროვან შპალებათ. არმიტების მიხედვით კი ისინი




696, 1

იყოფიან სიმებიან (ნახ. 2, ა) და ღეროვან არმა-  
ტურის (ნახ. 2, ბ) შპალებათ.

სტატიკურ დატვირთვაზე შპალების ნიმუშების გამოცდა ხდება სპეციალურ დანადგარზე. გამოცდისას საანგარიშო დატვირთვა უდრის 23 ტონას, რაც ეთანაბრება ორთქლმავლის — „ფლ“ უდიდეს ღერძულ დატვირთვას შპალებზე საათში 85 კმ სიჩქარით მოძრაობის დროს. ბზარები შპალის გვერდით ზედაპირზე წარმოიშვება მხოლოდ 50-70 ტონა დატვირთვის დროს. ასეთი დატვირთვა კი რეინიგზებზე ფაქტიურად არ არსებობს.

ხისა და რკინაბეტონის შპალებს შორის შედა-  
რებითმა გამოკიდამ უჩვენა, რომ პირველს საგ-



528


რძნობლად დიდი დრეკადი დეფორმაციები აქვს  
ო 45 ტონა დატენირთვის შემთხვევაში.

6-7 წლის დაკვირვების შედეგად აღმოჩნდა, რომ არ ყოფილა საცდელ უბნებზე რკინაბეტონის შპალების წყობიდან გამოსვლის არც ერთი შემთხვევა.

გზათა სამინისტროს მიერ უკვე შემუშავებული და დამტკიცებულია ტექნიკური პირობები და პროექტები მაგისტრალურ რკინიგზებზე სიმებიანი არმატურის მთლიანელოვანი და ერთლეროვანი ორსახსროვანი შპალების გამოყენების შესახის.

ამჟამად მუშაობა ტარდება კიდევ ორი ტიპის  
შპალის საცდელი ნიმუშების ღასაპროექტებლად.  
რეინაბერონის შპალების საცდელი ნიმუშების  
ღამზალება ხდება სპეციალურ სტანცზე (ნახ. 3).

1957 წლს უნდა აშენდეს რკინაბეტონის შპალების დასამზადებელი 4 ქარხანა ურალში, შუა აზიაში, ოონბასსა და რუსეთის ცენტრალურ რაიონში.



ნახ. 3

ონებში თითოეული არა ნაკლებ 250.000 ცალი შპალის მწარმოებლობით წელიწადში. შემუშავებულია განუწყვეტელი არმირებით სიმებიანი რკინაბეტონის შპალის დამზადების ახალი მეთოდი, რაც სიმებიანი რკინაბეტონის ქარხნის მწარმოებლობას ერთობრად გაზრდის. მორიგ ამოცანად დგას შპალების დამზადების კონვეიერული მეთოდის გამოყენების საკითხი.

ასეთი შპალების დამზადება შეიძლება არა მარტო სპეციალურ ქარხნებში, არამედ სხვა საწირმოებშიც. მაგალითად, 1954 წელს კიევის ტრამვაი-ტროლეიბუსების სამართველომ უკრაინის საქალაქო და სასოფლო მშენებლობის სამინისტროს სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის დახმარებით შეძლო წინასწარ დაჭიმული არმატურიანი რკინაბეტონის შპალების დამზადება როგორც ქალაქის ტრამვაის ხაზისათვის, ისე სხვა სამრეწველო რკინიგზებისათვის.

წინასწარ დაჭიმული არმატურიანი რკინაბეტონის შპალების გამოყენების საკითხის შესწავლა ხდება საზღვარგარეთაც, განსაკუთრებით კი დემოკრატიულ ქვეყნებში.

ამერიკის შეერთებულ შტატებში, ინგლისში, საფრანგეთში, გერმანიაში და სხვაგან იყენებენ როგორც რკინაბეტონის, ისე ლითონის შპალებს. ლითონის შპალების გამოყენება კაპიტალისტურ ქვეყნებში აიხსნება არა მათი ტექნიკურ-ეკონომიკური მაჩვენებლებით, არამედ იმით, რომ დატვირთონ მომხმარებლები ლითონის პროდუქციით, შეინარჩუნონ ლითონის წარმოება საჭირო სიმაღლეზე კრიზისის თავიდან აცილების მიზნით.

გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის რკინიგზებშე გამოიყენება ორი ტიპის რკინაბეტონის

შპალი. ამ ქვეყნის სპეციალისტების აზრით ღეროვან შპალებს დადა უწირატესობა აქვს და ამიტომ აქვთ მდგრად უმთავრესად ღეროვან შეტერის შესაბამის შპალებს გამოიყენებენ.

დემოკრატიულ ქვეყნებიდან რკინაბეტონის შპალების გამოყენების ყველაზე დიდი გამოცდილება აქვს უნგრეთის სახალხო რესპუბლიკას, სადაც ასეთი სახის შპალებზე უკვე დაგებულია 1356 კილომეტრი რკინიგზა, ქვეყნის მთელი რკინიგზის 11%. ეს პროგრესი აისწერა შპალების დამზადების სასტენდო მეთოდის მაგიერ კონვეიერული მეთოდის გამოყენებით. უნგრეთში გამოიყენება ორი ტიპის რკინაბეტონის შპალი: ჩვეულებრივი და წინასწარ დაჭიმული რკინაბეტონის შპალები. 1955

წლიდან უნგრეთის რკინიგზებზე შემოღებულ იქნა რელსების დამაგრება შპალებზე ზამბარის საშუალებით, რამაც კარგი შედეგი გამოიღო.

ჩეხოსლოვაკიაში წარმატებით იყენებენ უწყვეტი მოქმედების ბეტონსარევ დანადგარებს. გარდა ზემოაღნიშნულისა ბეტონის დამზადება ხდება კონვეიერული მეთოდით. ჩეხოსლოვაკიის რკინიგზებზე იყენებენ ინკ. როზენბერგის სისტემის რკინაბეტონის შპალებს SB1 და SB2 (230 კგ მინიმალური წონით).

მონოლითური და ორსახსროვანი რკინაბეტონის შპალების შესაფასებლად მხედველობაში უნდა იქნეს მიღებული ის, რომ: а) შპალის მუშაობა დამოკიდებულია დრეკადი შუასადების მდგომარეობასა და ხანგრძლიობაზე; б) მონოლითურთან შედარებით ბეტონის მოცულობის შემცირებიდან მიღებული ეკონომია დაიფარება დრეკადი შუასადების ლირებულებით (თითოეულის ლირებულება 15 მან.) და სხვ.

აღნიშნული ფაქტორების გათვალისწინებით მონოლითური შპალი უფრო რაციონალურია. მაშასადამე, ჩვენი ქვეყნის სამხრეთის რკინიგზებისათვის, რომლის უდიდესი ნაწილი გადაყვანილი უნდა იქნეს ლორლის ბალასტზე, ყველაზე პერსპექტიულია მონოლითური რკინაბეტონის შპალი, რუსეთის ცენტრალურ რაიონებსა და ჩრდილოეთის რკინიგზებზე კი — ორსახსროვანი რკინაბეტონის შპალები. ყველა ეს მოსაზრება მხედველობაში მიიღება რკინაბეტონის დასამზადებელი ქარხნების დასაპროექტებლად ადგილის არჩევისას.

რკინაბეტონის შპალებზე რელსების დამაგრებისათვის გამოიყენება მაგარი ჯიშის ხის ძელაკები, რომლის ჩამაგრების კონსტრუქცია უნდა გვაძლევდეს მათი გამოცვლის საშუალებას საჭიროე-

ბის მიხედვით (მათი სამსახურის ვადა უნგრეთის რეინიგზის ცნობების მიხედვით 15 წელია). ხის ძელაკებზე რელსები მაგრება მობორების, ხრახნებისა და ზამბარების საშუალებით. ამჟამად არსებული სამარები საქმარისად ვერ უზრუნველყოფს ლიანდაგის იზოლირებას, რაც არა-სასურველია ავტობლოკირებისა და ცენტრალიზაციის უზნებზე.

რკინაბეტონის შპალების დაწყობისას მთავარი ყურადღება უნდა მიექცეს მიწის ვაკისის ვარგი-სობას. მათი დაწყობა ხდება როგორც ჩვეულებრივი ამწების, ისე სხვა სახის მექანიზაციის საშუალებით.

ცდებისა და დაკვირვებების შედეგად აღმოჩნდა, რომ რკინაბეტონის შპალის სამსახურის ხანგრძლიობა 45-50 წელია, ხის შპალი კი 12-15 წელს ძლებს. ეს მაშინ, როცა რკინაბეტონის შპალების

ღირებულება სამჯერ ნაკლებია, ვიდრე ხის შპალისა.

რკინაბეტონის შპალების კონსტრუქციის მიზანი თი დაწყობის მექანიზების შემდგომი განვითარებისა და საბჭოთა კავშირის რკინიგზებზე მისი მთლიანად ათვისების მიზნით საჭიროა გავაძლიეროთ სამეცნიერო-კვლევითი მუშაობა, რათა შესრულებულ იქნეს საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XX ყრილობის გადაწყვეტილებანი მაგისტრალურ და სამრეწველო რკინიგზებზე უახლოეს წლებში რკინაბეტონის შპალების ფართოდ გამოყენების შესახებ. ეს დააქმაყოფილებს ძვირფასი სამშენებლო ხე-ტყის ეკონომიას და მნიშვნელოვნად შეამცირებს როგორც სატრანსპორტო ხარჯებს, ისე რკინიგზების მშენებლობის ღირებულებას.

## იზოტოპები ამინდის გიუროში

ჩეხოსლოვაკეთმა სწავლულებმა მთებში ააგდეს ახალი მუდმივობრივები სადგური, სადაც დაგდგულია ხელსაწყოები, რომელიც რადიაციურ იზოტოპებს იყენებს მთის მწვერვალებზე თოვლის ტენანტის ხარისხის გაზომვისათვის. მთებში თოვლის ტენანტის ჭუსტი განსაზღვრა აუცილებელია ამინდის შეცვლას, მოსალოდნელი წყალდიდობის, მდინარეთა ადიდების სწრაფი წინასწარმეტყველებისათვის. ადრე ამ მიზნისათვის სხვადასხვა ადგილიდან იღებდნენ თოვლს და თერმოსებით მიპქონდათ ლაბორატორიაში. გაზომვები არაზუსტი იყო.


ახლო მომავალში მთებში დაგდგული იქნება ავტომატური ხელსაწყოები გადამცემით, რომელიც მთიდან პირდაპირ ამინდის ბორტოში რადიოთი გადასცემს სიგნალებს.

## ნიადაგის ტენიანობის გაზომვა

ფირმა „ინდასტრიალ ინსტრუმენტ“ (ამერიკის შეერთებული შტატები) უშვებს ნიადაგის ტენანტის გასაჭირი ხელსაწყოს გაუმჯობესებულ კონსტრუქციას.

ურნალში — „აგრიკალჩერ ენგინიერინგი“ (1956, №4) აღნიშნულია, რომ ამ ხელსაწყოს მნიშვნელოვანი უპირატესობა აქვს ძველ კონსტრუქციასთან შედარებით. ვაკუუმური მილაკები მასში ტიპის ნიადაგისათვის.

შეცვლილია ნახევრადგარიანი ტრიოდებით. ტრიოდისთვის წინაღიბ დაყვანილია მინიმუმიმდე, რაც საშუალებას იძლევა ანათვალი აღებულ იქნეს შეუცდომლად 75 მეტრამდე მანძილზე (ძველი კონსტრუქციის ხელსაწყო ნიადაგის მაღალი ტენანტის პირობებშიც კი გათვლებს აწარმოებდა 2,6 მეტრამდე მანძილზე).



ხელსაწყო მუშაობს ცვლადი დენით, რაც ზრდის მის მგრძნობელობას; ახალი ხელსაწყოს სკალის მეშვეობით შესაძლებელია არა მარტო ანათვლების აღება, არამედ იგი აგრეთვე უჩვეულებს შესაბამის წინაღიბას ომებში. წინაღიბის სრულყოფილი სქემა საშუალებას იძლევა განისაზღვროს ნიადაგის ცნობილი ტიპების დროის მიზნით, რომელთა აღმართავი აიგოს ახალი მრუდების სხვა ნაკლებად ცნობილი ტიპის ნიადაგისათვის.

გარდა ამისა, წინაღიბის შეცვლა გარკვეულ წარმოდგენას გვაძლევს მეტად მაღალი გატენიანების დროს სხვადასხვავით ნიადაგებში მარილების კონცენტრაციის შესახებ.

ამ ხელსაწყოს დახმარებით განსაზღვრავენ სხვადასხვავარი ტიპის ნიადაგების მორჩვის ნორმებს პორიტონტების ტენანტის გათვალისწინებით.

## უკედლებო გარეშე

ჩიკაგოში (აშშ) აგებულია ათზე მეტი პარკი-გარაჟი, რომელთა უმრავლესობა 12-14 სართულის სიმაღლისაა. მაღლივი პარკი-გარაჟი რკინაბეტონის ნაგაბობაა, შორიდან მოგვაგონებს ფართო თარიღებს. გარეთა კედლები მას არა აქვთ, მათ მაგივრად მთელ სიმაღლეზე გაჭიმულია ფოლადის გვარებით, რომელთა ბარიერი მნიშვნელოვნდ იაფია მთლიან კედლებზე და ამასთან ავტომობილი არ ზიანდება ამ ზღუდეზე შემთხვევით დაჭახების დროს.

გარაჟის ნებისმიერ სართულზე ავტომობილის ატანას წამამდე დრო სჭირდება და ის ხდება ლიფტების საშუალებით. ცენტრიკალურ მოძრაობასთან ერთად ამ ლიფტებს შეუძლია პორიტონტების მოძრობა. ჭრილი ლიფტებისათვის გარაჟის შუაშია, მის ორივე მხარეს განლაგებულია „უჭრედები“ ავტომობილებისათვის.

# მუსიკური პრესტიჟის განვითარება

\* 100 წლის წინათ, 1857 წლის 1 თებერვალს, სოფელ სორალში (ვიატკის გუბერნია) დაბადა გამოჩენილი რუსი ნევროპათოლოგი და ფსიქიატრი ვლადიმერ მიხეილი ძე ბერძენიშვილი ვარევა, რომელსაც შესანიშნავი გამოკვლევები აქვს ტვინის მიკროსკოპული მორფოლოგიის, ფიზიოლოგიისა და ფსიქოლოგიის სფეროში.

ბერძენიშვილი სკოლაშივე ამერიკანებდა ბუნებისმეტყველებისაღმი დიდ ინტერესს, იგი ბავშვობიდანვე დაწაფებია დაჯინის შრომების კითხვას. მას გრძა, ახალგაზრდობაშივე გაუცვნა დობროლიუბინისა და პისარევის ნაწარმოები, რომელთაც მასზე მნიშვნელოვანი კვალი დაუტოვებდა.

გმნაზიის დამთავრების შემდეგ ბერძენიშვილი ბერძენბურგის სამხედრო-ქიმიურ-გულ აკადემიში შედის. აյ იგი საგანგებოდ ეცნობა ბიოლოგიასა და მედიცინას.

1878 წელს ბერძენიშვილი წარჩინებით დამთავრა აღნიშნული აკადემია, სადაც რატოვებულ იქნა მეცნიერული მოღვაწობისათვის.

სამეცნიერო-კვლევითი მუშაობა ბერძენიშვილი დაწყო ი. პ. მერქევსკის ხელმძღვანელობით. 1880 წელს დაიცვა სადოქტორო დისერტაცია, „შემდეგ კი მას ყაზანის უნივერსიტეტის პროფესორად ირჩევენ.

ყაზანში ბერძენიშვილის მოღვაწობა მეტად ნაყოფერი იყო. აյ მან შექმნა იმ ღრისისათვის პირველი ფსიქოფიზიოლოგური ლაბორატორია, ჩამაყალიბდა ყაზანის ნევროპათოლოგთა და ფსიქიატრთა სამეცნიერო საზოგადოება, რომელიც „ნევროლოგიურ მოამზეს“ ცემდა, დაწერა „ნერვული სწერულებანი ცალკეულ დაკაიარებებათა მიხედვით“ და გამოსაცემად მოამზადა თავისი კლასიკური გამოკვლევა „ზურგისა და თავის ტვინის გამტარი გზები“.

1893 წელს ბერძენიშვილი ისევ ბერძენბურგის სამხედრო-ქიმიურ-გულ აკადემიაში იწყებს მუშაობას, ხოლო რამდენიმე თვის შემდეგ იგი ქალთა სამედიცინო ინსტიტუტში ნევროლოგიისა და ფსიქიატრიის კათედრის გამგეც მიწვიებს.

ბერძენბურგში მოღვაწეობის პერიოდს განეცულება ბერძენიშვილი ცნობილი მონიგადაცემი: „ტვინის ფუნქციის შესახებ მოძღვრების საფულევები“, „ფსიქიატრია და ცხოვრება“, „მამიერალის იცავა და დაალერგიული მატერიალიზმის პოზიციაზე დაგომა. ფსიქიკურისა და ფიზიკურის ურთიერთობის სფეროში ბერძენიშვილის მიერთა მიმდევად და დაალერგიული რეალექსების განსხვავებულ სახეებს.

„შთაგონბა და მისი როლი საზოგადოებრივ ცხოვრებაში“ და 200-მდე სხვა გამოკვლევა ანატომიის, ფიზიოლოგიის, ფსიქოლოგიისა და ნევროლოგიის საკუთხებზე.

1905 წელს, სხვა მეცნიერებათ ერთად, ვ. მ. ბერძენიშვილი მოაწერა პროტესტს, რომელიც მიმართული იყო



ცარიზმის რეაქციული პოლიტიკის და განათლების დარგში არსებული უმსგავსოების წინააღმდეგ. პროტესტის ავტორები მოითხოვნენ პირველი ცხოვრების სხვადასხვა ფრამენტებს მისაღისას შედეგად განვითარებული ფსიქიური აშლილობა.

რო-ქიმიურგიული აკადემიის ხელმძღვანელი აირჩიეს.

1908 წელს, რეაქციის პერიოდში, ბერძენიშვილი ახერხებს ფსიქიკუროლოგიური ინსტიტუტის გახსნას.

დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის შემდეგ ეს შესანიშნავი მეცნიერი უყოყმანოდ მიემსხრო საბჭოთა ხელისულებას.

დიდია ვ. მ. ბერძენიშვილის დამსახურება მეცნიერების წინაშე. დინამიკური მორფოლოგიის სფეროში მას ეკუთვნის ტენის უკრედების სტრუქტურის მოქმედებასთან დაკავშირებული შეცვლის შესწავლა. მან პირველმა მიუთითა, თუ რა მნიშვნელობა აქვს სინაფსების მოგომარეობას ნევრონებს შორის კონტაქტის დასამყარებლად. ბერძენიშვილი აღწერა ნერვთა კონა (გამტარი გზები) და უგრედონგანი წარმოქმნან (ბირთვები), მეოთხე პარკუჭის კუთხის გარეთ მდებარებითითი კი ბერძენიშვილის სახელითაა ცნობილი. მან გამოიტანა დასკვნა, რომ ცენტრალური ნერვული სისტემის თალამუსის სფეროში არსებობს უმაღლესი ვეგოტატიური, კერძოდ, სმიპატკური ცენტრობი. მასევ ნაწვევნები აქვს თალამუსის ნერვული ცენტრობის მნიშვნელობა ემციურების აღმოცენებისათვის.

არანაკლები დამსახურება მიუღვის ბერძენიშვილის ფსიქიატრიის წინაშე. მან აღწერა „ჰიპნოზით მოხიბლების“ ბოლგა, რეპტილოდენენია (ქვეპარმატებისადმი შიშით შეპარმობილობა), სმიპატკური ცუჭ-ნილების მიშლის შედეგად განვითარებული ფსიქიური აშლილობა).

ბერძენიშვილი თავიდანვე ინტენსიურად სწავლობდა ფსიქოფიზიოლოგიის პრობლემებს. ნაშრომში — „ობიექტური ფსიქოლოგია“, მან ცადა რეფლექსების შესახებ მატერიალისტური შეხედულების დამუშავება. ფსიქიკური ცხოვრების სხვადასხვა ფრამენტებს იგი იხილავდა, როგორც შეულებული რეფლექსების განსხვავებულ სახეებს.

რეფლექსების მიხედვით ფსიქიკის აგება, რომელსაც ბერძენიშვილი თავის ცხოვრების მეტად მნიშვნელოვანი დრო დაუთმო, ისე წარიმართა, რომ ვერ შეძლო მექანიკური მატერიალიზმის პოზიციაზე დაგომა. ფსიქიკურისა და ფიზიკურის ურთიერთობის სფეროში ბერძენიშვილის მიერთა მიმდევად და დაალერგიული მატერიალიზმის პოზიციაზე დაგომა. ფსიქიკურისა და ფიზიკურის ურთიერთობის სფეროში ბერძენიშვილის მიერთა მიმდევად და დაალერგიული რეალექსების განსხვავებულ სახეებს.

შტელებელური უმაღლესი მატერიის პრაგანდის სპეციალურ კანონზომიერებას. ამით მან ფსიქიურს არსებობის უფლება წარათვა და იგი ბიოლოგიურ მოვლენებამდე დაკიყანა.

მიუხედავად ამისა, ბეტერევის დაწლი მეტად დიდია: მან ბევრი გააკეთა ექსპერიმენტული და კლინიკური ფაქტებით მეცნიერების გამდიდრებისათვის.

### II. 8.

\* 35 წლის წინათ, 1922 წლის 3 თებერვალს, გარდაიცვალა გამოჩენილი რუსი მეცნიერი, მცენარეთა ფიზიოლოგიის მკვლევარი ვლადიმერ ივანეს ძე პალა დიმიტრის ძე.

ვ. პალადინი დაიბადა 1859 წელს. დაბთავრი მოსკოვის უნივერსიტეტი, სადაც მცენარეთა ფიზიოლოგიის კათედრაზე კ. ა. ტიმირაზევის ხელმძღვანელობით დაიწყო მუშაობა.

შემდეგში პალადინი იჩინეს საკუთარ თემას და, მატერიალური ხელმოყენების მიუხედავად, ამუშავებს სამაგისტრო დასერტაციას — „მცენარიისათვის კანგალის მნიშვნელობა“, რომელსაც წარმატებით იცავს 1886 წელს.

